ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი: „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე გვ. 4-5

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №178 (3219) სამშაბათი, 6 ივლისი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლით დასრულდება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც გაეროში გაწევრიანებით დაიწყო“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 5 ივლისის რადიოინტერვიუ

— გასული კვირა განსაკუთრებით დატვირთული იყო შეხვედრებით. თქვენი მონაწილეობით მთავრობისა და ეკონომიკური საბჭოს სხდომებზე განიხილეს მრეწველობის განვითარების კონცეფცია, მთავრობის სხდომაზე კი ჯანდაცვის სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების პერსპექტივა. უკვე საკმაოდ რეალურია საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, თუმც, ისევ ისმება კითხვა — რა დადებითი შედეგები მოჰყვება ამას საქართველოს ეკონომიკისათვის? და ბოლოს, როგორია თქვენი კომენტარი ბიუჯეტის შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით? მით უმეტეს, რომ მსოფლიო ბანკმა გასულ კვირას მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსათვის ახალი კრედიტების გამოყოფის თაობაზე, — ჟურნალისტ ნატო ონიანის თხოვნით, ამ თემებზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ:

იხ. მე-2 გვ.

ვიზიტი

ზურაბ ჟვანია იტალიაში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ოფიციალური ვიზიტით იტალიაში იმყოფება.

დღეს გაიმართება მისი შეხვედრები იტალიის სენატის თავმჯდომარესთან ნიკოლა მანჩინოსთან, იტალიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან ლუჩანო ვიოლანტესთან, იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრთან პიერო ფასინოსთან. ხვალ, ვატიკანში შედგება ზურაბ ჟვანიას აუდიენცია რომის პაპთან იოანე პავლე მეორესთან.

პარლამენტის პრესსამსახური.

მოულოდნელი რაკურსი

საქართველო არ მოხვდა მსოფლიოს კორუმპირებული ქვეყნების სიაში. ეს დაადგინეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა.

ევროპის ყველაზე მეტად კორუმპირებულ ქვეყნად მიჩნეულია ბულგარეთი; ქალაქებიდან - ვარშავა, სოფია, ბუქარესტი და ა.შ.

რუსეთში პირველ ადგილზეა მოსკოვი, მეორეზე — სანკტ-პეტერბურგი.

აფრიკაში კორუმპირებულობის პირველი საფეხური ნიგერიას უკავია, ამერიკაში — მექსიკას.

სამძიმარი

საქართველოს პრეზიდენტი თანაგრძნობას უცხადებს

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მწუხარება გამოთქვა იმ ტრაგედიის გამო, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე დატრიალდა და თბილისი-სალონიკის მიმართულებით მიმავალი სამგზავრო ავტობუსის 13 მგზავრის სიცოცხლე იმსხვერპლა.

სახელმწიფოს მეთაური თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს. მან საგანგებო დავალება მისცა შესაბამის უწყებებს, დაღუპულთა ოჯახებისა და დაზარალებულთათვის სათანადო დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

პროკურატურა

თუ დღეს აჭარის პროკურორი თბილისში ჩამოვა...

მაშინ საქართველოს საზღვაო სანაოსნოსთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, ერთობლივი ძალებით, ბაცილებით სრულყოფილად გამოიძიება და ყველა დამნაშავეც იმხილება. სწორედ ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესებიც!

რაც დრო გადის, ვითარება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ირგვლივ უფრო და უფრო იძაბება. ბათუმი და თბილისი უკვე მკვახე

იხ. მე-3 გვ.

„როსტომ ჯაფარიძეს ტელეფონითაც ბევრჯერ ვესაუბრეთ და ფაქსიც ბევრჯერ გავუგზავნეთ. ბოლო ფაქსი გუშინ, 17 საათსა და 30 წუთზე გადავეცით. და კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოვითხოვეთ საქმის თბილისში გადმოგზავნაც და გენერალურ პროკურატურაში გამოცხადებაც“.

პრეზიდენტი

საქართველო მეორე აკვანია რუსული პოეზიისა,

— განაცხადა ცნობილმა რუსმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ 5 ივლისს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას.

9-წლიანი პაუზის შემდეგ პოეტი კვლავ ეწვია საქართველოს, სადაც მას უამრავი მეგობარი ჰყავს. ამჯერად ოცნება აისრულა და ის ერთადერთი კუთხეც — რაჭაც მოინახულა, სადაც აქამდე ნამყოფი არ იყო. ევგენი ევტუშენკომ საქართველოს პრეზიდენტს გაუზიარა შთაბეჭდილებები, რომლებიც რამდენიმე დღის მანძილზე დაუგროვდა. მისი შეფასებით, სერიოზული სასიკეთო ძვრებია როგორც ქვეყნის აღმშენებლობის, ასევე ურთიერთობების თვალსაზრისითაც. ყველასათვის ცნობილმა მოვლენებმა, სხვა პრობლემებთან ერთად, ბზარი გაუჩინა ქართულ-რუსული ინტელიგენციის ტრადიციულ მეგობრობასაც. ეს ბევრმა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზმა განაპირობა. საბედნიეროდ, ძველი კავშირები ნელ-ნელა ახალ სიცოცხლეს იწყებს.

ევგენი ევტუშენკოს თქმით, ძველი დროის მონატრება ორივე მხარეს მოსძალებია და მზად არიან კვლავ მეგობრობის ხელი გაუწოდონ ერთმანეთს. „ანტირუსული განწყობა ვერსად ვიგრძენი საქართველოში“, განაცხადა პოეტმა. „გარწმუნებთ, არც რუსეთშია ანტიქართული განწყობა. რა თქმა უნდა, საზოგადოების სალად მოაზროვნე ნაწილს ვგულისხმობ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა, გარკვეული ჯგუფები დღესაც ცდილობენ შუღლის დათესვას“.

საქართველოს პრეზიდენტი დაეთანხმა პოეტის შეფასებებს და დასძინა, რომ აგრესიული ნაციონალიზმი ყოველთვის პროვინციულია. ედუარდ შევარდნაძის თქმით, შეცდომები ორივე მხარეს გვქონდა, რამაც უსიამოვნების მეტი არაფერი მოგვიტანა. „ჩვენ მზად ვართ რუსეთის ინტელიგენციასთან, მთელი რუსეთის პროგრესულ ძალებთან ჯანსაღი, ახალი თანამშრომლობისათვის. მჯერა, ადამიანური ურთიერთობები ხშირად განსაზღვრავს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსაც“, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

„საქართველო ძალიან სწრაფად, ალბათ, ვერა, მაგრამ კორუფციას ძირითადად დაძლევს. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრიფინგი 1999 წლის 5 ივლისს.

(სტენოგრაფიული ჩანაწერი)

სააგენტო „პრაიმ-ნიუსი“: გასულ კვირას პარლამენტის რამდენიმე დეპუტატმა, მათ შორის, მოქალაქეთა კავშირის წევრებმაც, დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება ჯაბა იოსელიანის განთავისუფლების თაობაზე. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი?

ე. შევარდნაძე: ხელმოწერებისადმი — ჩვეულებრივი. ყველას აქვს უფლება ხელმოწერები შეაგროვოს. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, ამას გარკვეული დრო, ფიქრი სჭირდება. ჯერჯერობით ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ჩვენ, რაც შეგვეძლო,

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

ედუარდ შევარდნაძე მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვისა და ბალტიის რეგიონების მეთაურთა შეხვედრაში

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პრინციპული თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიიღოს შავი ზღვისა და ბალტიის რეგიონების სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრაში, რომელიც სექტემბერში უკრაინაში გაიმართება ამ ქვეყნის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ინიციატივით, აცნობა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსის მოადგილემ შალვა ფიჩხაძემ.

სამიტზე განიხილება ორი რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები, სატრანსპორტო დერეფნების განვითარების პერსპექტივები და სხვა ერთობლივი პროექტები.

შავი ზღვისა და ბალტიის რეგიონების თანამშრომლობის პერსპექტივაზე საუბარი გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო საქართველოში ლიტვის სეიმის თავმჯდომარის ვიტაუტას ლანდსბერგისის ვიზიტისას, რომელმაც ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბალტიის ქვეყნები დაინტერესებული არიან შავი ზღვის რეგიონის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობით.

ვაჟა ლორთქიფანიძე აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე რვადღიანი სამუშაო ვიზიტით გუშინ დილით აშშ-ში გაემგზავრა ვაშინგტონის ადმინისტრაციის მიწვევით. როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა ლორთქიფანიძემ აშშ-ში გამგზავრების წინ, შეხვედრებზე თეთრ სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტში, კონგრესში, სენატში, აშშ სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში განხილული იქნება ორმხრივი საქართველო-აშშ ურთიერთობის, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების, დასავლეთის ბაზარზე კასპიის ენერგომემცველების ტრანსპორტირების და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა.

კერძოდ, განიხილება ქართველი დევნილების აფხაზეთში მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საკითხი, აგრეთვე, სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში აფხაზთა ტყვეობაში მყოფი ქართული სეინერის ეკიპაჟის 9 წევრის და უფრო ადრე ტყვედ აყვანილი ორი ქართველის მძევლობიდან გათავისუფლების პრობლემა, აღნიშნა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

მისი თქმით, ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია, აგრეთვე, შეხვედრები და მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდში.

ივლისის მესამე დეკადაში სავალუტო ფონდის ოფისში გადაწყდება საქართველოსთვის მორიგი 46 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ტრანშის გამოყოფის საკითხი. ივნისის ბოლოს მსოფლიო ბანკმა საქართველოს კრედიტი გამოუყო 115 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოდან - აზერბაიჯანში

სამი შეთანხმების ხელმოწერით დამთავრდა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურის ბორის ტარასიუკის ოფიციალური სამი დღის ვიზიტი აზერბაიჯანში. როგორც გახსოვთ, იგი ცოტა ხნის წინათ თბილისში იმყოფებოდა.

აზერბაიჯანსა და უკრაინას შორის საავტომობილო ტვირთზიდვის, ორი ქვეყნის სავაჭრო სანაოსნოს და ტურიზმის შესახებ შეთანხმებებს ხელი მოაწერეს ტარასიუკმა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა თოფიკ ზულფუგაროვმა.

დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიამდე გაიმართა ბ. ტარასიუკის მოლაპარაკება აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან.

ჰ. ალიევმა განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ განვითარდება სატრანსპორტო ურთიერთობა უკრაინასა და აზერბაიჯანს შორის პოტენციალის გამოყენებით, რომელსაც შეიცავს „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტი. ჰ. ალიევის აზრით, ეს ხელს შეუწყობს ცენტრალური აზიის რეგიონს, კავკასიასა და ევროპას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა.

დაბლობში: ღამით +15+20; დღისით +26+31.

მთაში: ღამით +13+18; დღისით +24+29.

მაღალ მთაში: ღამით +10+15; დღისით +19+24.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი.

ბარში: ღამით +15+20; დღისით +27+32.

მთაში: ღამით +12+17; დღისით +25+30.

მაღალ მთაში: ღამით +7+12; დღისით +18+23.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა.

ღამით +18+20; დღისით +30+32.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.1133 ლარი
გერმანული მარკა	1	1.0436 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9450 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3112 ლარი
ევრო	1	2.0411 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0805 ლარი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მხატვართა კავშირის წევრების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მხატვართა კავშირის წევრები:

ღირსების ორდენით:

სიმონ ართმელაძე — აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრი;

ხასან ინაიშვილი — აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

ღირსების მედლით:

ოთარ დარჩია — ქ. ბათუმის ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი, მოქანდაკე;

ნინო ნიჟარაძე — ქ. ბათუმის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, მხატვარი;

ზაურ წულაძე — მხატვარი;

ზურაბ ხაბაძე — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი;

მზია ხალვაში — ქ. ბათუმის ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი, მხატვარი.

ე. შევარდნაძე.

ვიზიტის წინ

ვოლფგანგ შუსელი

ავსტრიის ვიცეკანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი

ვოლფგანგ შუსელი დაიბადა 1945 წლის 7 ივნისს ვენაში. სახალხო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მოტენის გიმნაზიაში, რომელიც დაასრულა 1963 წელს. სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში.

1968 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. 1968-1976 წლებში იყო ავსტრიის სახალხო პარტიის საპარლამენტო კლუბის მდივანი, ხოლო 1975-1991 წლებში — სახალხო პარტიის ერთ-ერთი შემადგენელი ორგანიზაციის — ავსტრიის ეკონომიკური კავშირის გენერალური მდივანი. 1979 წლიდან 1989 წლამდე ეკავა სხვადასხვა თანამდებობა, იყო ეროვნული საბჭოს წევრი, სახალხო პარტიის კლუბის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მინისტრი კანცლერ ფრანც ვრანიცკის მეთაურობით ჩამოყალიბებულ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ავსტრიის სახალხო პარტიის კოალიციურ მთავრობაში.

1995 წელს სახალხო პარტიის თავმჯდომარეა, ამავე წელს ვიცეკანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვრანიცკის მეოთხედ არჩეულ კაბინეტში.

1996 წელს ეკავა ვიცეკანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ვრანიცკის მეხუთე კაბინეტში.

1997 წლიდან არის ავსტრიის ვიცეკანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი კლიმას პირველ კაბინეტში.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

მოვლენათა სამართლებრივი შეფასებისათვის

„აფხაზეთში (საქართველო) გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღია“, — ამ თემისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია-სემინარი 6 ივლისს იხსნება თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში. მისი ორგანიზატორები არიან აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესი და ჟურნალისტთა ქარტია.

სემინარის ამოცანები ჟურნალისტებს გააცნეს პრესკონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ორშაბათს, 5 ივლისს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

როგორც საერთაშორისო სამართლის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მთავარმა მრჩეველმა ლევან ალექსიძემ განაცხადა, ფორუმის ძირითადი ამოცანაა

იხ. მე-3 გვ.

გამარჯობათ!

დღევანდელი 9 თეთრი ხვალ 12 გახდება

მინდოდა, დღევანდელი ნომრის მკითხველი რაიმეთი მესიამოვნებინა. კარგი იყო, მაგრამ არ გამომივიდა — ჩემდა და თქვენდა სამწუხაროდ, ისეთ თემას უნდა შევეხო, ვერაფრით გაგახარებთ.

ლაპარაკია ელექტროენერგიის ტარიფებზე, რომელიც, გვინდა თუ არ გვინდა (ჩვენ ნდომაზე ვინ არის, თორემ...), წარამარა იცვლება. თანაც ისე იცვლება, რომ ქვემოთ კი არა, სულ ზემოთ და ზემოთ მიიწევს.

მახსოვს (ალბათ, თქვენც გახსოვთ), **AES-ი** „თელასის“ მეპატრონე რომ გახდა, ენერგეტიკის „მამები“ გვპირდებოდნენ — აი, ნახავთ, დედაქალაქს დენი შეუზღუდავად ექნება, გადასახადი კი ჯერჯერობით თავის „ძველ ადგილზე“ დარჩებაო. პირობის პირველი პუნქტი მართლაც კაცურად შეასრულეს (ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ), მეორე კი რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ... 20 ივნისიდან თბილისში ელექტროენერგიის ტარიფი 6-ის ნაცვლად 9 თეთრი გახდა.

არ გაგვემტყუნებაო, თავს იმართლებენ, ენერგეტიკა უსახსრობის გამო ისედაც დიდ გასაჭირშია და გამომუშავებული პროდუქცია რაც გვიჯდება იმაზე ნაკლებად რომ გავყიდოთ, ცოდონი ვართ, ზარალს კიდევ ზარალი მიემატება და მთლად დავიღუპებითო.

ამას რომ მოისმენ, არ შეიძლება გული არ აგიჩუყდეს და არ ჰკითხო: — მაინც რა გიჯდებათ ელექტროენერგიის წარმოება?

იხ. მე-2 გვ.

უკანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვში დამთავრდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს წარმომადგენელთა მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა. საუბრის შინაარსი გასაიდუმლოებულია. ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ პირველი თვითმფრინავი რუსეთის მშვიდობისმყოფელებით დღეს გაფრინდება კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში.

ბორის ელცინმა „იზვესტიის“ მოსკოვის გამოშვების გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი პრეზიდენტობაზე კენჭს არ იყრის.

მისი განცხადებით, ლენინს მაინც დამარხავენ, ხოლო რუსეთის კომპარტია პრეზიდენტის ბრძანებულებით კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საითკენაც მიდის საქმე.

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გუშინდელი შეხვედრისას პრემიერ-მინისტრ სერგეი სტეპაშინს დაავალა პირადად უხელმძღვანელოს ბელორუსიასთან ხელშეკრულების მომზადებას.

გუშინ სამარაში ქარიშხალმა 12 წლის გოგონას სიცოცხლე იმსხვერპლა და 9 ადამიანი დაშავდა.

№178. სამშაბათი, 6 ივლისი, 1999 წელ

„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლით დასრულდება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც გაეროში გაწევრიანებით დაიწყო“

(პირველი გვერდიდან)

— გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ის გახლავთ, რომ 29 ივნისს მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსათვის ფინანსური დახმარების გაგრძელების შესახებ. თქვენ იცით, რომ ამას წინ უძღოდა ძალიან დიდი მოსამზადებელი მუშაობა, თავად მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ბატონი ვულფენსონი ბრძანდებოდა საქართველოში, იგი გაეცნო ქვეყანას, და, მე ვიტყოდი, კარგი და დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა, ყოველ შემთხვევაში, იმ პროცესებთან დაკავშირებით, უკვე რომ დაწყებულია და მიმდინარეობს. შემდეგ აქ ბრძანდებოდნენ სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლები, მათ კიდევ ზოგიერთი ახალი მოთხოვნა წამოაყენეს და ჩვენ პარლამენტთან ერთად თითქმის მთლიანად მოვაგვარეთ ეს საკითხები. სწორედ ამის საფუძველზე მიიღო მსოფლიო ბანკმა საქართველოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩმა თედო ჯაფარიძემ უკვე ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს სესხის შესახებ, ანუ ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში მიიღებს 114 მილიონ 900 ათას დოლარს. მათ მორის, სტრუქტურული გარდაქმნების მესამე კრედიტს (ეს გახლავთ 60 მილიონი დოლარი), ენერგოსექტორის სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტს (25 მილიონი დოლარი).

სტრუქტურული რეფორმის მხარდაჭერის პროექტი ითვალისწინებს 16 მილიონ 500 ათასი დოლარის გამოყოფას და, მივაქციოთ ყურადღება — დაფინანსებულია სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტი 13 მილიონ 400 ათასი დოლარის ოდენობით. მსოფლიო ბანკი, სხვათა შორის, თითქოს გრძნობს, რომელი მიმართულებაა, ასე ვთქვათ, ძალიან მგრძნობიარე და გარდა სტრუქტურული გარდაქმნებისა, რომელს სჭირდება საქართველოში ყველაზე აქტიური მხარდაჭერა. თავის დროზე მან სავსებით სწორად შეარჩია კულტურული მემკვიდრეობის პროექტის დაფინანსება. ახლა კი — სასამართლო რეფორმა, რომელიც ბოლომდე მისაყვანი და იგი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი გახდება.

კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ ჩაირიცხება ბიუჯეტში და მოხმარდება სოციალურ პროგრამათა დაფინანსებას — ეს გახლავთ ხელფასები, პენსიები, დახმარება და ასე შემდეგ. ასე რომ, მიმდინარე წელი გადამწყვეტი იქნება იმ დავალიანებათა გასტუმრების თვალსაზრისითაც, რომელთა შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია საქართველოში განვითარებულ საბიუჯეტო-ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით.

შაბათს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე ვიმსჯელეთ სამრეწველო პოლიტიკის კონცეფციაზე, რომელიც მრეწველობის სამინისტრომ წარმოადგინა.

დოკუმენტში პრობლემა საკმაოდ კარგად არის დამუშავებული. დასახულია საკვანძო საკითხების გადაწყვეტის გზები, ამდენად, კონცეფცია უდავოდ იმსახურებს ყურადღებას და კიდევ უფრო ფართო შემადგენლობით განხილვას — ფართო საზოგადოების, მრეწველთა, ბიზნესმენთა და მეცნიერთა მონაწილეობით. თუმცა, მეცნიერთა დიდი ჯგუფი უკვე თითქმის წელიწად-ნახევარია მრეწველობის სამინისტროსთან, ბატონ ბადრი მოშიტაიშვილთან ერთად მუშაობდნენ ამ კონცეფციაზე, ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ მეცნიერებათა აკადემია, საინჟინრო აკადემია, კერძოდ, იერი ფრანგიშვილი, და ახლა საკმაოდ დასრულებულ სახეს იღებს ეს კონცეფცია, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც მიზანშეწონილი იქნება გაიმართოს მთავრობის გაფართოებული სხდომა და მთლიანად გადაიცეს ტელევიზიით, რათა რაც შეიძლება ფართო სპექტრი მონაწილეობდეს ამ ურთულესი პრობლემის განხილვაში და შემდგომ მონაწილეობა მიიღოს მის განხორციელებაში.

პერსპექტივა კი ნამდვილად არსებობს და ჩვენ ამჟამად უკვე ისეთ პრობლემებზეც უნდა ვიზრუნოთ, როგორიც არის მსოფლიო სამრეწველო სტანდარტთან სამამულო პროდუქციის მიახლოება და (შემდგომ ეტაპზე) სრული უნიფიკაცია.

ეს მით უფრო აქტუალურია, რომ საქართველო უახლოეს მომავალში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდება. ამისათვის ყველა წინაპირობა არსებობს.

ერთხელ უკვე ვთქვი: პრაქტიკული თვალსაზრისით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ქვეყნის გაწევრიანება სახელმწიფოსათვის გაეროს წევრობის მნიშვნელობას არ ჩამოუვარდება.

აქვე უნდა დავამშვიდო ყველა, ვინც გულწრფელად წუხს, ვაითუ ამ ორგანიზაციაში შესვლამ საერთოდ მოშალოს ყოველგვარი ბარიერი უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციაში.

ეს შეშფოთება უსაფუძვლოა, ვინაიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს ხუთწლიან გარდამავალ პერიოდს ახალი წევრებისათვის — მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოთა ბაზრები დაუყოვნებლივ გაიხსნება ქართული პროდუქციისათვის.

მაგრამ ხუთი წლის შემდეგაც საბაჟო ტარიფები შეიძლება სულ რაღაც ორიოდე პროცენტით შემცირდეს, მეტად არა. ნუ დავივიწყებთ იმ უპირატესობასაც, რომელსაც ევროკავშირთან საპარტნიორო ურთიერთობის ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესის დამთავრება გვაძლევს და, რაც ევროპის ბაზარზე საქართველოს პროდუქციის ყოველგვარი კვოტების გარეშე გატანას ითვალისწინებს (თუმცა, აქაც, ბუნებრივია, პროდუქციის ხარისხი, ეკოლოგიური საიმედოობა და სხვა სტანდარტების შესაბამისობა იგულისხმება).

მეორე მხრივ, ჩვენ უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკა მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში შეიძლება არსებობდეს. მხოლოდ ამ გზით განავითარებთ სამამულო წარმოებას და კონკურენტუნარიანს გავხდით მას. ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სპეციფიკა კი ხუთწლიან გარდამავალ პერიოდსა და სხვა შეღავათებს ითვალისწინებს.

თუმცა, ეს სირთულეები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადავლახოთ, არაფერია იმ პრივილეგიებთან შედარებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთანავე რომ მოვიპოვებთ. ვფიქრობ, ეს ის თემაა, რომელსაც შეიძლება სპეციალური, საკმაოდ ხანგრძლივი სატელევიზიო გადაცემა მიეძღვნას იმ სპეციალისტების მონაწილეობით, რომლებიც ახლა ამაზე მუშაობენ. მხედველობაში მყავს ქონების მართვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს ხელმძღვანელობა და სხვები და სხვები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ამ ორგანიზაციაში შესვლით დასრულდება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც გაეროში გაწევრიანებით დაიწყო. განსაკუთრებით ეს საგარეო ასპექტებია.

საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ აღრიცხვის სფეროს მოწესრიგებასთან დაკავშირებული ერთიანი სტატისტიკური რეგისტრის წარმოებისა და გაუმჯობესების საკითხი, რომელსაც მე ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ერთიან სტატისტიკურ რეგისტრში დაფიქსირდება საქართველოში საზოგადოებრივ ან სამეწარმეო სფეროში დასაქმებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი თავიანთი წარმომადგენლობითა და ფილიალებით, რაც გარკვეულწილად ნათელს მოჰფენს ჩრდილოვან ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას, რათა სტატისტიკური დაკვირვების მიღმა არ დარჩეს არც ერთი მეურნე სუბიექტი. სხვათა შორის, ეს პრობლემაც, რომელიც უკვე კარგა ხანია დამუშავების პროცესშია და გარკვეულ ტექნოლოგიურ სრულყოფას განიცდის, ესეც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დიდი პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

უაღრესად საინტერესო იყო, აგრეთვე, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შემდგომი განვითარების კონცეფცია, რომელიც მთავრობის სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ წარმოადგინა.

რასაკვირველია, საკითხი ეხება თითოეულ მოქალაქეს, ყოველ ოჯახს, ამიტომ კონცეფცია უნდა გამოქვეყნდეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ეს გახლავთ ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ჯანმრთელობის სფეროში უახლოესი 10 წლის განმავლობაში განხორციელდება.

მინაარსობრივად ეს დოკუმენტიც ღრმად არის გააზრებული და აპრობირებული უმაღლესი რანგის უცხოელ სპეციალისტთა მიერ.

რაც მთავარია, იგი შეესაბამება არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელი დღის მოთხოვნებსაც, — ითვალისწინებს ახალ ტექნოლოგიათა შემოტანას და გულისხმობს ჩვენი მესანიშნავი სამედიცინო ინტელიგენციის, ექიმების, ქირურგებისა და სხვათა უდიდესი ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალის სრულად ამოქმედებას ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

რა თქმა უნდა, კვლავაც დაგვეხმარებიან ჩვენი მეგობრები. მსოფლიო ბანკის კრედიტზე უკვე ვისაუბრეთ, ამას წინათ კი საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი ქირურგის, დოქტორ დებეიკეს წარმომადგენელი.

ალბათ, გახსოვთ, ამერიკაში, კერძოდ, ჰიუსტონში ყოფნისას მე შევხვდი ამ უნიკალურ პიროვნებას მის გრანდიოზულ კლინიკაში, რომელსაც ასევე ეწოდება — დებეიკეს ცენტრი, და მან აღმითქვა, რომ უახლოეს მომავალში გამოგზავნიდა წარმომადგენელს საქართველოში კარდიოლოგიური ცენტრის დაფუძნების მოსამზადებლად.

თქვენ გახსოვთ, იქ მემორანდუმსაც მოვაწერეთ ხელი ამ ურთიერთთანამშრომლობის დასაწყებად.

რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრების მობილიზებას: წინასწარი მონაცემებით, საგადასახადო დეპარტამენტმა ივნისში ბიუჯეტის სასარგებლოდ აკრიფა 35 მილიონი ლარი — სავარაუდო ოდენობაზე მილიონი ლარით მეტი. ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 19 მილიონ 500 ათასი ლარი, ანუ წინასწარ დაგეგმილზე 11 პროცენტით მეტი. მიმდინარე წლის ექვს თვეში საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით ბიუჯეტში სულ მობილიზებულია 193 მილიონი ლარი, შარშანდელზე 45 მილიონ 600 ათასი ლარით მეტი.

საბაჟო დეპარტამენტმა ივნისში ბიუჯეტს გადაურიცხა 27 მილიონ 600 ათასი ლარი, აქედან ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 25 მილიონ 600 ათასი ლარი, რაც 3 მილიონ 600 ათასი ლარით აღემატება პროგნოზით გათვალისწინებულს. საბაჟო ორგანოების მიერ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სულ ბიუჯეტში მობილიზებულია 136 მილიონი ლარი, ანუ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 35 მილიონი ლარით მეტი. ასეთია ეს მონაცემები.

— გადასახადების აკრეფა ბოლო წლების მანძილზე საქართველოსათვის საკმაოდ სერიოზული პრობლემა იყო. ამბობენ, რომ ამჯერად მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— მართლაც, ეს კითხვა ხშირად ისმება: არის რაიმე სერიოზული გარდატეხა, თუ ეს ციფრების მანიპულაციაა, რატომ იზრდება შემოსავალი ისეთი ტემპით, რომელზეც მე მოგახსენებთ, მაშინ, როცა ქვეყანა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ გამოსულა კრიზისიდან, და ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლარის კურსი დასაშვებ, ჩვენს მიერ წინასწარ დაგეგმილ და გააზრებულ ფარგლებში მერყეობს და ჯერჯერობით საკმაოდ მტკიცეა.

უპირველეს ყოვლისა, ნაყოფი გამოიღო სადღეღამისო, როგორც იტყვიან, მუხლჩაუხრელმა შრომამ ხელისუფლების სხვადასხვა, მათ შორის, უმაღლეს რგოლში. ასევე მხედველობაში მყავს რწმუნებულები, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელები, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები და სხვები და სხვები.

რაც მთავარია, ეს სამუშაო მიზანშეწონილი, მიზანმიმართული იყო და სწორი კონცეფციის შესაბამისად ხორციელდებოდა. ამიტომ სათანადო სპეციალური კომისიებისა და ჯგუფების (მათ შორის, განსაკუთრებით გამოვყოფდი სახელმწიფო მინისტრის ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით მოქმედ კომისიას) მარგი ქმედების კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. ასევე, ჯერჯერობით კვლავ მოქმედებს საგანგებო საერთო-სახელმწიფოებრივი კომისია, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. შესანიშნავი შედეგი მოჰყვა სააქციზო მარკების შემოღებას. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ამის შედეგად შემოსავლის ზრდა იმდენად შთამბეჭდავია, რომ, ალბათ, უპრიანი იქნება ვიფიქროთ სააქციზო მარკების მოქმედების არეალის გაფართოებაზე. ესე იგი, მარტო იმის შედეგად, რომ სიგარეტი იბეგრება სააქციზო მარკების გავრცელების გზით, ყოველთვიურად ბიუჯეტის შემოსავალი 8-9 მილიონ ლარს აღემატება, მაშინ როცა, წინა პერიოდში, აქციზური მარკების შემოღებამდე, ეს 500 ათას-600 ათას ლარს არ სჭარბობდა. ასე რომ, როგორც ხედავთ, ეკონომიკური და ფინანსური ეფექტი მოსალოდნელზე გაცილებით მეტია.

— გაფართოებაში რას გულისხმობთ?

— ვგულისხმობ იმას, რომ სააქციზო მარკებმა უნდა მოიცვას პროდუქციის (განსაკუთრებით, სასმელების) უფრო ფართო სპექტრი, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის ლეგალიზაციას და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ასე აწუხებს ყველა პატიოსან მეწარმესა და ბიზნესმენს. მე მივესალმები, მაგალითად, მამუკა ხაზარაძის ინიციატივას ბორჯომის მარკირების თაობაზე. ეს პატიოსანი ბიზნესმენის პოზიციაა, რომელსაც არ აშინებს სააქციზო მარკები, ვინაიდან, პატიოსნად უხდის გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტს. რასაკვირველია, მოგებაც დიდი ექნება და ღმერთმა შეარგოს. სახელმწიფოს წინაშეც პირნათელი იქნება და მოგებასაც მიიღებს. ასეთნაირად უნდა შეეხოს ეს ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელების საკმაოდ ფართო სპექტრს. მაგრამ არც ეს იქნებოდა საკმარისი, რომ არ გაძლიერებულიყო, ვიმეორებ, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ — ისევ და ისევ ხელისუფლების ყველა რგოლში და ყველა რეგიონში. თუმცა, ეს მაინც საქმის დასაწყისია.

მაგალითად, ძალზე მწვავედ ვიმსჯელეთ შიდა ქართლში ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ. ლაპარაკია კონტრაბანდული საქონლის შემოტანაზე იმ ტერიტორიიდან, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვაკონტროლებთ. თუმცა, იქაური ხელმძღვანელობაც გვარწმუნებს, რომ მზად არიან ჩაებან ამ მუშაობაში და კონტრაბანდის შემოსვლა საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე, ყოველ შემთხვევაში იმ მხრიდან, აღკვეთონ. საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია მრავალი ფაქტი საქართველოს საზღვაო სანაოსნოსთან დაკავშირებით.

აქ ჭეშმარიტად შემაძრწუნებელ თაღლითობასთან და მომხვეჭელობასთან გვაქვს საქმე.

მე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, რაღაც უნდა დაუჯდეთ, ბოლომდე მიიყვანონ ეს საქმე. შესაძლოა, ყველა ფაქტი არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს, შესაძლოა, ფაქტები იმაზე მეტი იყოს, ვიდრე დღეს ჩვენ ვიცით და, როგორც მე მითხრეს, სხვადასხვა ბანკებში, სხვადასხვა საფინანსო ცენტრებში მოპოვებულია საკმაოდ დიდი მასალა, რომელზეც საჭიროა სერიოზული ანალიტიკური მუშაობა, საჭიროა საგამოძიებო საქმიანობა და ამის შემდეგ შეიძლება საბოლოო დასკვნების გამოტანა.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სად მიდიოდა და რას ხმარდებოდა სახელმწიფო ქონება, თუ ეს მოგება და გემების გაყიდვით მიღებული შემოსავალი ისევ გემების შეძენას, ისევ ფლოტის გაძლიერებას ხმარდებოდა, ჩვენი მიზანიც ეს იყო და ჩემი ბრძანებულებითაც სწორედ იმას ვითვალისწინებდი, რომ ეს უნდა მომხდარიყო არსებული წესებისა და კანონის ფარგლებში, მაგრამ; თუ ქვეყანას ძარცვავდნენ, თუ, ასე ვთქვათ, ფსევდოპატრიოტული რიტორიკით შენიღბული პირები ქვეყნის შეცდომაში შეყვანას ცდილობდნენ და დაკავშირებული იყვნენ ამ ფლოტთან, რა თქმა უნდა, ისინი მზის სინათლეზე უნდა გამოვიყვანოთ. შეიძლება ისინი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებია, შესაძლოა, სხვა ქვეყნების მოქალაქენი არიან, შეიძლება იყოს ცენტრალური თუ რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, სიმართლე სიმართლეა და სიმართლე უმაღლესი კატეგორია უნდა იყოს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, ხელმძღვანელი იქნება იგი, თუ რიგითი მოქალაქე.

აქვე უნდა ვთქვა, რომ დემოკრატიული ატმოსფერო და სიტყვის თავისუფლება საუკეთესო ფონია კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზოგიერთი სწორედ იმიტომ აღრჭიალებს კბილებს დამოუკიდებელი მასმედიის წინააღმდეგ, რომ ჟურნალისტური გამოძიების ეშინია. ჩვენმა ახალგაზრდა ჟურნალისტიკამ ბევრჯერ ჩემთვისაც არცთუ სასიამოვნო წერილი გამოაქვეყნა, მაგრამ მე მათთვის ხშირად მადლობაც მითქვამს ასეთი დაინტერესებისათვის და მოუწოდებია (და კვლავაც მოვუწოდებ) ბოლომდე თქვან სიმართლე, თუ ეს სიმართლეა, მე სიმართლეზე ვლაპარაკობ, რაოდენ გამაღიზიანებელიც უნდა იყოს იგი ვინმესთვის, თუნდაც პრეზიდენტის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისათვის. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სიტყვის, პრესის თავისუფლება, პიროვნების თავისუფლებასთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია და ამაზე ჩვენ უარს ვერ ვიტყვით. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, გადასახადების გადახდაში მიღწეული პროგრესი და ერთადერთი სწორი პოლიტიკის შედეგად დასავლელი მეგობრებისაგან მიღებული მრავალმილიონიანი ფინანსური დახმარება საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ დავძლიოთ საბიუჯეტო-ფინანსური კრიზისი (ჩვენ ახლა დამამთავრებელ ფაზაში ვიმყოფებით) და შევასრულოთ ყველა ვალდებულება, როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენი თანამემამულეების წინაშე.

— გასულ კვირას ისევ განახლდა მოლაპარაკება ხუდონჰესის მშენებლობის დამთავრების შესახებ. ოთხმოციანი წლების ბოლოს მშენებლობა შეჩერდა ეკოლოგიური უსაფრთხოების მოსაზრებებით. მაშინ ეს საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნა იყო, თუმცა, შემდეგ ენერგოკრიზისმა ეს პრობლემა კვლავ აქტუალური გახადა. არის თუ არა დღეს ხუდონჰესის მშენებლობა ჩვენთვის უსაფრთხო და რა შედეგს მოიტანს იგი ჩვენი ენერგოსისტემისათვის?

— შეიძლება ცოტა ნაჩქარევიც იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, რადგან კითხვა დაისვა, მაინც მოგახსენებთ.

ეს იყო პირველი შეხვედრა ბიზნესმენთა იმ ჯგუფთან, მათ შორის ფინანსისტებთან, რომლებიც გვთავაზობენ პარტნიორობას ხუდონჰესის მშენებლობის დასამთავრებლად. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი რამ შესასწავლია, კერძოდ, ამ კომპანიების შესაძლებლობა და მათი ფინანსური პოტენციალი. შეხვედრა გაიმართა ბატონ ოთარ ფაცაციას ინიციატივით, რომელიც კარგა ხანია ამ პრობლემაზე მუშაობს და რომელმაც დამოუკიდებლად შეძლო ინვესტორთა მოძიება და ამ აქტიურობისათვის მას, რა თქმა უნდა, მადლობა მინდა გადავუხადო.

ინვესტორები, რომელთაც ვესაუბრე, გვარწმუნებენ, რომ ხუდონჰესის მშენებლობის განახლება რამდენიმე თვის განმავლობაში სავსებით შესაძლებელია, თუკი, როგორც თვითონ ამბობენ, აქეთ ის წყაროები, რომლებზეც ჩვენთან იყო საუბარი.

ეს უაღრესად კეთილშობილური პროექტია: დავიწყოთ იმით, რომ იგი ითვალისწინებს ასობით მილიონი დოლარის ინვესტირებას, ათასობით სამუშაო ადგილის შექმნას სამეგრელოსა და სვანეთში, გზების კეთილმოწყობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, საქართველოს რამდენიმე რაიონის, მათ შორის მესტიის ურთულეს პრობლემათა გადაწყვეტას, საბოლოოდ კი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედებას, რაც განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას.

ამრიგად, ხუდონჰესის მშენებლობის განახლება და დასრულება (რა თქმა უნდა, აბსოლუტური ეკოლოგიური უსაფრთხოების მოსაზრებათა გათვალისწინებით) საქართველოს სახელმწიფოებრივი უშიშრობის სრულყოფის ერთიანი პროგრამის ნაწილია. მე კიდევ ვიმეორებ: საბოლოოდ კონტრაქტი ჯერ არ არის გაფორმებული, ზოგი რამ კიდევ შესასწავლია, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქმე უკვე დაიძრა. რახან გამოჩნდა ინვესტორთა ერთი ჯგუფი, თუ მათთან ყველაფერი ისე არ გამოგვივიდა, როგორც საჭიროა, იქნებიან სხვა ჯგუფებიც და ხუდონს უკვე პერსპექტივა გაუჩნდა.

და კიდევ ერთი. ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლების გარეშე შეუძლებელი იქნება ბოლომდე მივიყვანოთ ის დიდი გეგმები, რომლებიც უკავშირდება დიდი აბრეშუმის გზის აღორძინებას, ნავთობსადენებისა და გაზსადენების ამოქმედებას, სხვადასხვა საშუალებებით ტვირთზიდვასა და ადამიანთა გადაყვანას, ჩვენი სანავსადგურო ქალაქების განვითარებასა და საავტომობილო გზების კეთილმოწყობას, რკინიგზის განვითარებას. მინდა გაცნობოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ორი დღის წინათ მიიღო ისტორიული, მე ასე დავარქმევდი, კანონი „დიდი აბრეშუმის გზის მხარდაჭერის სტრატეგიის შესახებ“. თქვენ გახსოვთ, როცა ვაშინგტონში ვიყავით, საკმაოდ ღრმაშინაარსიანი საუბრები მიმდინარეობდა კონგრესში, სადაც განსაკუთრებით აქტიურობდა სენატორი სემ ბრაუნბეკი, რომელთანაც პირადად თქვენ გქონდათ შეხვედრა და ინტერვიუც ჩამოართვით. ამჯერად, სტრატეგიული მხარდაჭერის თაობაზე ეს ისტორიული დადგენილება უკვე მიიღო კონგრესმა. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ეს ისტორიული მოვლენაა, როგორც იტყვიან, წრე შეიკრა, იმის გათვალისწინებით, რომ იაპონიის მთავრობამ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, ხოლო მთელი წარმმართველი მუშაობა ამ გრანდიოზული პროექტების განხორციელებაში ევროკავშირმა შეასრულა. ერთ-ერთი ცენტრალური ქვეყანა ამ დიდი პროექტების განხორციელების გზაზე საქართველოა. სხვათა შორის, მე შევეცადე საკმაოდ დეტალურად მელაპარაკა ჩვენი ქვეყნის პერსპექტივებზე ამ გეგმებთან დაკავშირებით ჩემს ახალ წიგნში „დიდი აბრეშუმის გზა“. კარგა ხანს ვმუშაობდი ზოგიერთ სხვა კოლეგასთან ერთად და ახლა ამ წიგნმა, ასე ვთქვათ, მზის სინათლე იხილა. გარდა ამისა, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (ბატონი გია ჭანტურია) ინიციატივით ჩვენ ბევრს ვფიქრობთ ახლა იმაზე, თუ რა გზებით შეიძლება გავხადოთ საქართველოს ყველა მოქალაქე ამ დიდი პროექტების მონაწილე, ესე იგი, გარკვეული აზრით, აქციათა მფლობელი. მიწის მფლობელობასთან ერთად, ახალი გიგანტური პროექტების განხორციელების შედეგად მიღებულ დივიდენდებში, მათს განაწილებაში საქართველოს ყველა მოქალაქის მონაწილეობა სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანს საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ყველა მოქალაქის ზრუნვასა და მათს კონკრეტულ მონაწილეობას.

საქინფორმი.

დედაქალაქის ექვსი თვის ბიუჯეტი შესრულდა

ექვსი თვის შედეგების მიხედვით დედაქალაქში ბიუჯეტით გათვალისწინებული მაჩვენებლები შესრულდა, — განაცხადა თბილისის მერიაში გამართულ თათბირზე დედაქალაქის საგადასახადო სამსახურის უფროსმა ომარ კიზიაძემ.

გასულ კვირას ქალაქის მერი ვანო ზოდელავა თბილისის რაიონების გამგებლებსა და საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელებს ექვსი თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ქალაქის 7 რაიონში დასრულდა პედაგოგების საშვებულებო ხელფასების დარიგება, გლდანის, ნაძალადევის და ისნის რაიონებს კი ქალაქის მერია დაეხმარება.

თბილისის სავალუტო ბირჟაზე

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ გამართული ვაჭრობის შედეგებით ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში წინა სესიასთან შედარებით 0,0049 ნიშნულით შემცირდა და 1,9349 ლარით განისაზღვრა, — აცნობებს პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში.

ვაგზლის მოედანზე განლაგებულ გადამცვლელ პუნქტებში შუადღის მდგომარეობით, აშშ დოლარის შესყიდვისა და გაყიდვის კურსმა შესაბამისად 1,9350 და 1,945 ლარი შეადგინა.

თსბბ-ს გუშინდელ ვაჭრობაზე მონაწილეობდა 5 კომერციული ბანკი, ხოლო ბრუნვის საერთო მოცულობა 150 000 აშშ დოლარს გაუტოლდა.

მუხიანში აღდგენითი სამუშაოები დაიწყება

მუხიანის მეოთხე მიკრორაიონში მე-20 კორპუსის გასწორება-გამაგრებითი სამუშაოები, რომელიც 42 სანტიმეტრითაა გადახრილი, უახლოეს ხანში დაიწყება.

როგორც პრაიმ-ნიუსს ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ოთარ ჭიპაშვილმა აცნობა, უკვე დაიწყო საკვლევ-საძიებო სამუშაოები და მიმდინარეობს პროექტის დამუშავება.

პროექტის ავტორია ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო საწარმოო საპროექტო ტექნოლოგიური ცენტრის „მშენინდუსტრიას“ ხელმძღვანელი ლევან მახვილაძე.

კორპუსის გასწორება-გამაგრების სამუშაოებს საქართველო-რუსეთ-უკრაინის სამეცნიერო საპროექტო სამშენებლო კოლექტივები აწარმოებენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს მახვილაძემ განუცხადა, თბილისში 6000 ამორტიზებული ბინაა, რომელთაგან 327 სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

განცხადება

1999 წლის 6 ივლისს 10-დან 17 საათამდე გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოების გამო ძაბვა შეუწყდება ქვესადგურ „დინამოს“ 22-ე, მე-20, მე-2, 21-ე და მე-14 ფიდერებს.

„ეი-ი-ეს თელასი“ ბოდიშს იხდის ელექტროენერგიის დროებითი შეწყვეტის გამო და იმედოვნებს, რომ მოსახლეობა გაგებით მოეკიდება ამ აუცილებელ ღონისძიებას.

გამარჯობათ!

დღევანდელი 9 თეთრი ხვალ 12 გახდება

(პირველი გვერდიდან)

როგორც ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრმა დემურ ჩომახიძემ განაცხადა, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული 1 კილოვატსაათი ენერგია ჯდება 1,7 თეთრი, თბილსრესში - 7,9 თეთრი, ხოლო თბოელექტროცენტრალში გამომუშავებული — 19 თეთრი, თითოეული კილოვატსაათის წარმოება და მომხმარებლამდე მიტანა კი — 10-12 თეთრი.

ვერაფერს იტყვი. ამ ციფრების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, ტარიფის მომატების მიუხედავად, ენერგეტიკოსები კვლავაც ზარალდებიან — ერთ კილოვატსაათს 9 თეთრად გვაძლევენ, თვითონ კი თურმე 10-12 თეთრი უჯდებათ.

რა ეშველებათ? უნდა ვთხოვოთ სასწრაფოდ კიდევ გაზარდონ ტარიფი, თორემ თვითონაც დაილუპებიან (განა შეიძლება წაგებით იმუშაონ) და ჩვენც დაგვღუპავენ — დენი საერთოდ აღარ გვექნება.

ეს ზაფხულში, როცა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ენერგიას მოვიხმართ (არ დაგავიწყდეთ, მათ ერთი კილოვატსაათის წარმოება 1,7 თეთრი უჯდებათ), თორემ ზამთარში, როცა თბილსრესისა და თბოელექტროცენტრალის პროდუქციაზე გადავალთ (მათ შესაბამისად კილოვატსაათი 7,9 და 19 თეთრი უჯდებათ), ახლანდელი ტარიფის, ალბათ, 2-3-ჯერ გაზრდაც მოუხდებათ. მით უფრო, რომ თბილსრესი გასაყიდად უკვე გამზადებულია. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თემურ გიორგაძის თქმით, მის საწვავით უზრუნველყოფას 80 მილიონი დოლარი სჭირდება, გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურად კი, წელიწადში საშუალოდ 25 მილიონ დოლარს იღებს. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ თბილსრესი გაიყიდა, მისი ახალი მეპატრონე, პროდუქციას ახლანდელ ფასად აღარ გაყიდის.

ასე თუ გავყევით, შეიძლება ელექტროენერგიის ტარიფებმა რეკორდულ ზღვარს მიაღწიოს, მაგრამ ახლა ისიც ვიანგარიშოთ, გვყავს კი ასეთი ტარიფით გადახდისუნარიანი მომხმარებელი? მეწარმეს, რომელსაც ამდენი გადასახადებისგან კონკურენტუნარიანი პროდუქცია ველარ შეუქმნია, დენზე გადიდებული ტარიფი მუშაობაზე საერთოდ ხელს ხომ არ აალებინებს? ან მას როგორ გადაიხდის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ისედაც მცირე ხელფასები, პენსიები და დახმარებები თვეობით არ მიუღია?

აკი ვერც იხდის. ადრე თუ დედაქალაქში გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა 50 პროცენტს მაინც შეადგენდა, ახლა ეს მაჩვენებელი 14 პროცენტამდე დაეცა. ამის მიზეზი ის არის, რომ ტარიფის გაზრდის პარალელურად გაიზარდა დენის „ლევად“ გადინების მოცულობა, კერძო გარიგებების რიცხვი. რადგან არ არსებობს დახარჯული ელექტროენერგიის ზუსტი აღრიცხვა, ბევრი იმის ნახევარსაც არ იხდის, რასაც ხარჯავს, ზოგი კი (მათ შორის, ფულიანებიც) სარგებლობს შექმნილი „ბაირამობით“ და საერთოდ არაფერს იხდის. რა თქმა უნდა, ასეთებისთვის ტარიფის გაზრდა არაფერს ნიშნავს, პატიოსან გადამხდელს კი მძიმე ტვირთად აწვება.

საშველიც რომ არ ჩანს? „AES-თელასის“ ხელმძღვანელთა განმარტებით, მოსახლეობაში მრიცხველების გარეთ გამოტანას და ზუსტი აღრიცხვის მექანიზმის შექმნას დედაქალაქში ორი-ორნახევარი წელი მაინც დასჭირდება. მანამდე რა ექნათ, ტარიფები ვზარდოთ იმათ ხარჯზე, ვინც დენის დანახარჯს პატიოსნად იხდის? ხომ არ აჯობებდა, ტარიფები შეგვემცირებინა და გადამხდელთა რიცხვი გაგვეზარდა?

თუ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელიც კანონით არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ ემორჩილება, ამ პრინციპს მაინც დაემორჩილება, ვფიქრობთ, ელექტროენერგიის ხარჯვის ზუსტი აღრიცხვის მოწესრიგებაზე უფრო მეტი ზრუნვა დასჭირდება, ვიდრე ტარიფების მოწესრიგებაზე. შედეგიც უმალ გამოჩნდება — გაიზრდება გადახდის პროცენტი, დარგიც მოგებული დარჩება, ქვეყანაც და მომხმარებელიც.

მორიგე რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიფინგი

„საქართველო ძალიან სწრაფად, ალბათ, ვერა, მაგრამ კორუფციას ძირითადად დაძლევს. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს“

(პირველი გვერდიდან)

ყველაფერი გავაკეთეთ. ბატონი ჯაბას ჯანმრთელობის მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო. მას უმაღლეს დონეზე ჩაუტარდა საკმაოდ რთული ოპერაცია და მისი მდგომარეობა დღეს სავსებით ნორმალურია. ხელისუფლებას და მეც მიგვაჩნია, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ადამიანის სიცოცხლეს, თავისუფალია ის თუ თავისუფლებააღკვეთილი, საფრთხე არ ემუქრებოდეს.

„პრაიმ-ნიუსი“: 6-7 ივლისს თბილისში დაგეგმილია აფხაზეთის პრობლემის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის გამართვა. მიიღებთ თუ არა მონაწილეობას მის მუშაობაში და, საერთოდ, რა მნიშვნელობას ანიჭებთ მას?

ე. შევარდნაძე: ვიფიქრებ, არის თუ არა მიზანშეწონილი ჩემი მონაწილეობა. შეიძლება, ღირდეს მონაწილეობის მიღება, შეიძლება, უმჯობესი იყოს ჩემს გარეშე გაიმართოს, რათა არ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტი კონფერენციის მონაწილეებს თავს ახვევს თავის შეხედულებებს. შეიძლება ასე ჯობდეს. მე ცოტა დრო კიდევ მაქვს და ვიფიქრებ.

სააგენტო „ინტერფაქსი“: ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლო დღეებში და, საერთოდ, ბოლო ხანებში ძალიან იძაბება. თუ შეგიძლიათ გააკეთოთ პროგნოზი, როგორ განვითარდება მოვლენები და ეს დაძაბულობა რაიმე გავლენას ხომ არ მოახდენს საქართველოზე?

ე. შევარდნაძე: ჩემთვის ძალიან ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება, მაგრამ როცა გამოვედი ინიციატივით „მშვიდობიანი კავკასიის“ შესახებ, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსაც ვგულისხმობდი. ბევრი მათგანი, ბევრი მოქალაქე, ყოველ შემთხვევაში, ბევრი პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენელი ამ მოძრაობაში ჩაბმულია. ეს შემთხვევითი არ არის. ყოველგვარი არასტაბილურობა ჩრდილოეთ კავკასიაში გარკვეულ გავლენას იქონიებს საქართველოზე და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. ასევე, ყოველგვარი არასტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში აუცილებლად აირეკლება ჩრდილოეთ კავკასიის ცხოვრებაზე.

„ინტერფაქსი“: რუმინეთმა, უნგრეთმა და ბულგარეთმა ნება არ დართეს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებს გადაეფრინათ ამ ქვეყნებზე. ამასთან, რუსეთის თვითმფრინავებმა გაუფრთხილებლად გადაუფრინეს საქართველოს. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ რუსეთი საერთოდ არაფრად აგდებს საქართველოს?

ე. შევარდნაძე: სიმართლის ნაწილი თქვენს კითხვაში, რა თქმა უნდა, არის. ამ ქვეყნებს რუსეთმა მეტი ანგარიში გაუწია და წინასწარ ითხოვა ნებართვა. ამიტომ მათ ჰქონდათ საშუალება გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ამ თხოვნის მიმართ და, ფაქტობრივად, უარი უთხრეს. რაც შეეხება საქართველოზე გადაფრენას, უნებართვოდ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ეს არის ქვეყნის უპატივცემულობა. დიდია ქვეყანა თუ პატარა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე ამას წინათ ვისაუბრე ამის შესახებ და ეს სერიოზული განხილვისა და მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს. ჩვენ არ გვინდა მივმართოთ უკიდურეს ღონისძიებებს, ჩვენ დაინტერესებული ვართ რუსეთთან მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობით და მომავალშიც ასე იქნება. ამიტომ ორივე მხარე უნდა შეეცადოს, რომ ამის მსგავსი ინციდენტები არ დაუშვან.

სააგენტო „რია-ნოვოსტი“: გასულ კვირას არაოფიციალურმა წყარომ სომხეთიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ 12 ივლისს ხელი მოეწერება ხელშეკრულებას საბერძნეთს, ირანსა და სომხეთს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის შესახებ. ნათქვამი იყო, რომ ოფიციალურმა ათენმა თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას შეუერთდეს უკვე შექმნილ ეკონომიკურ კავშირს ამ ქვეყნებს შორის და რომ მომავალში შეეცდებიან საქართველოს შეერთებას ახალ კავშირთანაც, რომელიც თითქოს მიმართულია რუსეთთან თანამშრომლობისაკენ და ნატოს წინააღმდეგ. თუ გაქვთ ასეთი ინფორმაცია და როგორ კომენტარს გაუკეთებდით?

ე. შევარდნაძე: არ მაქვს ასეთი ცნობა და არ შემიძლია კომენტარი გავუკეთო თქვენს ნათქვამს. არც წამიკითხავს და არავის არაფერი შემოუთავაზებია. 1-2 წლის წინათ იყო კონსულტაციები ირანს, საბერძნეთსა და სომხეთს შორის. ჩვენ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. ლაპარაკი იყო ჩვეულებრივ კონსულტაციებზე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ არ გაგვიპროტესტებია, მაგრამ ვთხოვეთ ჩაერთოთ ამ კონსულტაციებში აზერბაიჯანიც. ასეთ პატარა რეგიონში რომელიმე სახელმწიფოს იზოლირება არცთუ გამართლებულია პოლიტიკურად, სტრატეგიულად და ტაქტიკურად. ამ თემაზე მეტი საუბარი ჩვენ არ გვქონია.

გაზეთი „ალია“: რადიოინტერვიუში ბრძანეთ, რომ გადასახადების ამოღება იზრდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოციალური სფერო ხელისუფლების კვლავაც ყველაზე სუსტ წერტილად რჩება. მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია არა არჩევნების წინ დარიგებული ხელფასები და პენსიები, არამედ იმ პირების დასჯა, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს ქვეყანას და, ასე ვთქვათ, კორუმპირებულები არიან. ასეთ ფონზე ასლან აბაშიძის განცხადება, რომ, თუ ის მოვა ხელისუფლებაში, ძალიან მკაცრად მოსთხოვს ყველას პასუხს, საკმაოდ მაცდუნებლად ჟღერს, რადგან თბილისი ლოიალურად არის განწყობილი იმათ მიმართ, ვინც სირთულეებს უქმნის არჩევნებში ხელისუფლებას.

ე. შევარდნაძე: ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, ვინც მოვა საქართველოს ხელისუფლებაში. ვინ იქნება ეს არ ვიცი, იცის მხოლოდ ხალხმა და მხოლოდ ხალხს შეუძლია გადაწყვიტოს. რაც შეეხება ხელფასებთან დაკავშირებულ პრობლემებს, არაერთხელ მითქვამს, რა გახდა ამის მიზეზი. მიზეზია ის კრიზისი, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით. ქვეყნის შიგნით განვითარებული საბიუჯეტო კრიზისი დაკავშირებულია გარკვეულწილად კორუფციასთანაც, აღურიცხაობასთანაც და ბევრ სხვა მოვლენასთან. ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი არის ძალიან მძლავრი, სერიოზული გავლენა რუსეთის კრიზისისა. რუსეთის კრიზისმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკასა და ფინანსებს. ისევე, როგორც თვითონ რუსეთისა და იმ ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც რუსეთთან არიან დაკავშირებული ეკონომიკური კავშირებით.

რაც შეეხება კორუფციას, ის არ არის ისეთი პრობლემა, რომელიც, როგორც ზოგიერთს ჰგონია, პრეზიდენტის მაგიდაზე ხელის გაბედული დარტყმით მოგვარდება. ასე არ არის. ბევრიც დააპატიმრეს, ბევრიც პასუხისგებაშია მიცემული. მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან ათასამდე კაცია დათხოვნილი. ბევრი დაპატიმრებულიც არის. ასევეა საგადასახადო სამსახურში. მაგრამ, ამავე დროს, გარდა ადმინისტრაციული და, მე ვიტყოდი, რეპრესიული ღონისძიებებისა, აუცილებელია სათანადო მიზეზების მიგნება და აღმოფხვრა. მაგალითად, სიგარეტის ბიზნესიდან ქვეყნის ბიუჯეტში შემოდიოდა სულ რაღაც 300-600 ათასი ლარი. მას შემდეგ, რაც აქციზური მარკები შემოვიღეთ, სიგარეტის ბიზნესიდან 10 მილიონამდე ლარი შემოდის ყოველთვიურად. ესე იგი, საჭიროა არა მარტო მოწოდებები, ხმაური და თუნდაც შიშველი ხმალი, არამედ ისეთი ხერხებისა და მეთოდების ძიება, რომლებიც გამორიცხავს კორუფციის ფართო მასშტაბით გავრცელებას. დიდი ხანია ეს საკითხი მზადდება. მთავრობის სხდომაზე მოვისმინეთ სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოხსენება, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს საქართველოში სახელმწიფო რეგისტრის საკითხი. ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც რაღაცას ქმნის, უნდა იყოს რეგისტრირებული, აღრიცხული. აღრიცხვა იგზავნება ავტომატურად საგადასახადო ინსპექციაში და, თუ პიროვნებას ეკუთვნის გადასახადის გადახდა, უნდა გადაიხადოს. ასევე, ზოგიერთ სხვა დარგში. ის ღონისძიებები, რომლებიც მიმდინარეობს საქართველოს საზღვაო ფლოტში, ერთ-ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ ქვეყანა იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ, რომელ სფეროშიც უნდა იყოს. ასეთი გეგმა კიდევ ბევრია სხვადასხვა დარგში. მაგალითად, საბაჟო სამსახურში მიმდინარე ღონისძიება — უცხოელთა დაქირავება აპრობირებული მეთოდია. კონტრაქტში ჩადებულია პირობა, რომ ისინი გარკვეული დროის შემდეგ ჩამოვლენ, დადგებიან საქართველოს საბაჟოებზე ორივე მხარეს (მოსაზღვრე ქვეყნებთანაც ექნებათ სათანადო კონტრაქტები გაფორმებული) და საბაჟო შემოსავლებს, როგორც მინიმუმი, 50 პროცენტით გაადიდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ 50 პროცენტი იკარგება. სხვა გზით, რამდენი მებაჟეც უნდა დავიჭიროთ და გავასამართლოთ, მე გაძლევთ გარანტიას, რომ აბსოლუტური წესრიგის დამყარება შეუძლებელია. უნდა იყოს იდეალური აღრიცხვა, უცხო თვალი, ისეთი ადამიანი, რომლის მოსყიდვა შეუძლებელია, და მას უნდა გააჩნდეს ყველა ხერხი და მეთოდი, რათა ეს არხი ამოიგმანოს. თანდათანობით, მსოფლიო გამოცდილების გაზიარებით, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად ასეთი ძალიან დიდი და მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს და, ვფიქრობ, შედეგებს მივიღებთ. საქართველო ძალიან სწრაფად, ალბათ, ვერა, მაგრამ კორუფციას ძირითადად დაძლევს. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. ეს არის ჩვენი პრინციპის საკითხი და არავითარ საარჩევნო კამპანიას არ უკავშირდება. რა თქმა უნდა, ამომრჩეველს უნდა ვუთხრათ, რას ვაპირებთ, მაგრამ არა იმისათვის, რომ მისი ხმები ვიყიდოთ, არამედ იმისათვის, რომ იცოდეს სიმართლე, რას აკეთებს ქვეყანა, რა პერსპექტივები აქვს. ხოლო ვის აირჩევენ პრეზიდენტად, ეს მათი საქმეა.

„ალია“: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტთან დაკავშირებით ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთი ქვეყანა ამ მარშრუტს მხარს უჭერდა, ზოგი — ეწინააღმდეგებოდა. ხომ არ შეცვლილა თბილისის პოზიცია ამასთან დაკავშირებით?

ე. შევარდნაძე: ანკარაში ჩვენ ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას იმის შესახებ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი აუცილებლად აშენდება. ჩვენ სიტყვის პატრონი ვართ და ეს დეკლარაციაც ძალაში რჩება.

სააგენტო „იტარ-ტასი“: ამ დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო მიაღწევს იმას, რომ ივლისის ბოლოსთვის გაეროს უშიშროების საბჭომ ოფიციალურად დააფიქსიროს აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტი, დააფიქსიროს ის, რაც ეუთოს ლისაბონისა და ბუდაპეშტის სამიტებზე არის აღიარებული. რა ნაბიჯებს დგამს საქართველოს ხელისუფლება და პირადად თქვენ იმისათვის, რომ უშიშროების საბჭომ ნამდვილად მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება და შეიტანოს ასეთი პუნქტი რეზოლუციაში? არ არის გამორიცხული, რომ უშიშროების საბჭოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა ამგვარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდეს.

ე. შევარდნაძე: სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება. ამ დღეებში ხელს მოვაწერ წერილს გაეროს გენერალური მდივნისა და უშიშროების საბჭოს ყველა წევრისადმი, რომელშიც არის შესაბამისი არგუმენტაცია და თხოვნა, რომ მხარი დაუჭირონ ამ სამართლიან მოთხოვნას. მეორეც, თბილისში იმყოფება საქართველოს წარმომადგენელი გაეროში პეტრე ჩხეიძე, გაიმართა კონსულტაციები საგარეო საქმეთა სამინისტროში, მეც შევხვდი. მან მიიღო აუცილებელი მითითებები და იწყება სერიოზული მუშაობა ამ დოკუმენტის მომზადებისათვის და საბჭოს წევრი ზოგიერთი ქვეყნის პოზიციის მოსამზადებლად, რომლებიც როგორც ყოველთვის, ან სიფრთხილეს იჩენენ, ან იკავებენ ჩვენთვის მიუღებელ პოზიციას. ძირითადად, ეს არის რუსეთი, რომელმაც, არ შემიძლია არ აღვნიშნო, ლისაბონისა და ბუდაპეშტის სამიტებზე ძალიან აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს პოზიციას. არ გამოვრიცხავ, რომ უშიშროების საბჭოშიც იგივე მოხდება. ეს ჩვენი პრინციპული თხოვნაა. შეიძლება, საგარეო საქმეთა მინისტრს სპეციალურად მოუწიოს გამგზავრება. არ გამოვრიცხავ აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა, დეპუტატების გამგზავრებასაც. თავად უშიშროების საბჭოს სხდომაზე მათი დასწრება, ალბათ, არ მოხერხდება, რადგან არ არის ასეთი პრაქტიკა. თუ მიიწვევენ ერთ მხარეს, უნდა მიიწვიონ მეორეც. რაც შეეხება საქართველოს, მას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. თქვენ გახსოვთ, მე იქ ორჯერ გამოვედი სიტყვით, ასევე — მენაღარიშვილი. ასე რომ, ღონისძიებები ხორციელდება და, ვნახოთ, რა გამოვა.

„იტარ-ტასი“: ივნისის ბოლოს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის გაიმართა კონსულტაციები სამხედრო თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით. მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოგახსენებდათ შედეგების შესახებ. მოგახსენათ თუ არა და რა გადაწყვეტილება მიიღეთ?

ე. შევარდნაძე: მომახსენა და გადავწყვიტეთ, გავაგრძელოთ კონსულტაციები.

„იტარ-ტასი“: ამერიკის კონგრესის მიერ „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინების მხარდამჭერი პროგრამის მიღება ხომ არ ნიშნავს, რომ აშშ-მ ოფიციალურად გადაწყვიტა უფრო აქტიურად ჩაერთოს კავკასიის ათვისებასა და რეგიონიდან რუსეთის გაძევებაში?

ე. შევარდნაძე: გულახდილად გეტყვით, რომ ჩვენ შევეცადეთ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, დაგვეჩქარებინა კონგრესის მიერ ამგვარი, ძალზე საჭირო, მე ვიტყოდი, ისტორიული კანონპროექტის მიღება. ვფიქრობ, აქ არ არის არანაირი მეტოქეობა. ასეთივე პროგრამა მიღებული აქვს იაპონიის მთავრობას. ბაქოს შეხვედრაში, სადაც დეკლარაცია მივიღეთ, მონაწილეობდა 34 სახელმწიფო, მათ შორის, რუსეთი. მე არაერთხელ შევთავაზე რუსეთის ხელმძღვანელობას, სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებს, უფრო აქტიურად ჩაერთონ ამ პროექტის განხორციელებაში. რუსეთისთვის ეს მომგებიანია და საქართველო ყველაფერს იღონებს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეგვიშალოს, აფხაზეთში კონფლიქტია. მისი მოწესრიგება გიგანტურ შესაძლებლობებს შექმნის ტვირთებისა და ხალხის ნაკადების მოძრაობისათვის ჩრდილოეთიდან სამხრეთისა და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს არ ვგულისხმობ. იგულისხმება უფრო დაშორებული სახელმწიფოებიც.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“: რუსულ და თურქულ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა ასლან აბაშიძეზე დაყრდნობით, სადაც იგი აცხადებს, რომ მან საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს პრეზიდენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მის გარემოცვაში გარკვეული პირები ერთგვარი სამხედრო გადატრიალებისათვის ემზადებიან და ამისათვის იყენებენ მუსულმან ტერორისტებს. იყო თუ არა თქვენს შორის მსგავსი საუბარი და თუ დაადასტურებთ ამ ინფორმაციას?

ე. შევარდნაძე: როდესაც ბატონ ასლანთან მაქვს შეხვედრები, ტერორიზმის თემას, რა თქმა უნდა, ვეხებით და არცთუ უსაფუძვლოდ. ჩემს თავს თუ ვგულისხმობთ და იმას, რაც მას ადრე შემთხვა, საფუძველი არის.

რაც შეეხება იმას, რომ ჩემს გარემოცვაში უცხოელი თუ მუსულმანი ტერორისტები არიან, ანდა აქ, საქართველოს რომელიმე რეგიონში ასეთი ხალხი რეალურად არსებობს, მე არა მგონია, ამას სერიოზული საფუძველი ჰქონდეს. ერთადერთი უცხო ძალა საქართველოში არის რუსეთის სამხედრო ბაზები. მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ ასეთი არსებობს, სწორედ იქ არის თავმოყრილი, სხვაგან სერიოზული ტერორისტული ძალების თავმოყრა წარმოუდგენელია. მე არა მგონია, რომ რუსეთმა იკადროს ასეთი რამ და ასეთი რაზმები შექმნას.

მეორე საკითხია (მე ბოდიშს მოვუხდი ბატონ ასლანს, თუ მან ასე არ თქვა, მაგრამ მე ასე გავიგე), რომ მუსულმანებზე აქცენტის გადატანა, როცა ლაპარაკია ტერორისტებზე, ერთგვარად შეურაცხმყოფელია მთელი მუსულმანური სამყაროსათვის. მე ჩემი საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ორჯერ ჩემზე თავდასხმა განახორციელეს არა ისლამისტებმა და მუსულმანებმა, არამედ ჩვენმა ძმებმა ქართველებმა, ქრისტიანებმა. ასე რომ, ასეთი დაყოფა, რომ მუსულმანურ სამყაროში არიან ტერორისტები და ქრისტიანული სამყარო უცოდველია, მიუღებელია ჩემთვის.

„რუსთავი-2“: გაზეთ „იზვესტიაში“ გუშინ გამოქვეყნდა, რომ საქართველოს გენერალურ შტაბს აქვს აფხაზეთის სამხედრო ძალით დაბრუნების გეგმა. რამდენად სერიოზულია ეს განცხადება?

ე. შევარდნაძე: ჯერ ერთი, ასეთი გეგმა თუ არსებობს, უნდა არსებობდეს საიდუმლოდ. თუ ასეთი გეგმა საიდუმლო არ არის, მაშინ ის გეგმა აღარ არის. მე ათასჯერ განმიცხადებია, რომ ჩვენს მეგობრებთან, თანამოაზრეებთან და კოლეგებთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობას ვგულისხმობ, ჯერჯერობით კურსი გვაქვს მშვიდობიან მოწესრიგებაზე. თქვენ იცით, რა ძალისხმევა დაგვჭირდა იმისათვის, რომ გალის კონფლიქტი არ გადაზრდილიყო დიდ კავკასიურ ომში და მაშინ ეს მოხერხდა. ვიმეორებ, თუ არსებობს რაღაც სერიოზული გეგმა, ვერავითარი დაზვერვა იქამდე ვერ მიწვდება და ასეთი ინფორმაცია მხოლოდ ჭორის დონეზე შეიძლება იყოს.

გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“: დაახლოებით ორი თვის წინათ აჭარის ხელისუფლებამ საქართველოს ფაქტობრივად ბრალი დასდო ტერორიზმში. ეს თემა ჩაიფარცხა. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების მინისტრი იყო ბათუმში, პასუხი მაინც ძალიან ბუნდოვანია. ამ დღეებში საქართველოს ხელისუფლებას ასეთი სიტყვები უწოდეს, ჩემთვის გამეორება ძალიან ძნელია. რა მდგომარეობაა, ეს ნორმალური მდგომარეობაა თუ ავადმყოფური? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ შეიძლება არჩევნებიც საეჭვო გახდეს? საით მივდივართ?

ე. შევარდნაძე: რაღაც მინიშნებების გამო საქართველოს პრეზიდენტის მიერ ტერორისტების მიმართ ხელშეწყობის შესახებ თავის მართლება რომ დავიწყო, სერიოზულად არც თქვენ მიიღებთ და არც მე, რადგან ამის მსგავსი ბუნებაში იდეაც კი არ შეიძლება არსებობდეს. ადრე, როცა ქვეყანაში ქაოსი სუფევდა, შეიძლება, რაღაც ჯგუფებს მსგავსი მიზნები ჰქონდათ. რაც მე სახელმწიფოს მეთაური და შემდეგ პრეზიდენტი ვარ, ამის მსგავსი რამ არ ყოფილა. რომ ყოფილიყო, ალბათ, ჩემთვის აუცილებლად ცნობილი გახდებოდა.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, მე მგონია, რომ ზედმეტი დრამატიზება ხდება იმისა, რის დრამატიზებაც საჭირო არ არის. საქართველოს სანაოსნოში რომ წესრიგი უნდა იყოს, ამით აჭარაც და ცენტრალური ხელისუფლებაც ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებული. მე არაფერს მოვითხოვ გარდა იმისა, რომ ჩატარდეს გამოძიება და აღვადგინოთ სრული სურათი, რა მოხდა ამ ბოლო წლების განმავლობაში. წინა წლებში, როცა ჩვენ ფაქტობრივად სახელმწიფო არ ვიყავით, რა თქმა უნდა, ვერ ვფლობდით სიტუაციას. მაგრამ ახლა მოვიდა დრო, რომ ცენტრმა თავისი საქმე აკეთოს და რეგიონმა — თავისი. მე, მაგალითად, ერთ-ერთ გამოსავლად მიმაჩნია ის, რომ რაც შეიძლება სწრაფი ტემპით ჩატარდეს გამოძიება, დადგინდეს ყველაფერი და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. ამავე დროს, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების უფლებაა, რადგანაც ფლოტი სახელმწიფოს საკუთრებაა და უნდა განაგებდეს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება, დანიშნოს საერთაშორისო აუდიტი ფლოტში თანხების მოძრაობის შესამოწმებლად. როცა ჩატარდება აუდიტი და დამთავრდება გამოძიება, მე საშუალება მექნება უფრო დეტალურად გიპასუხოთ. დღეს ყველას მოვუწოდებ, რომ ზედმეტი დრამატიზებისაგან თავი შევიკავოთ იმიტომ, რომ ხშირად, თუ ფაქტი შეუმოწმებელი და საეჭვოა, იწვევს ზედმეტ დაძაბულობას არა მარტო ერთ რეგიონთან, არამედ მთელ საზოგადოებაში. ეს აჭარასაც ეხება და სხვებსაც, ვისაც სათანადო ფაქტები არ გააჩნიათ. ფაქტები თუ არის, ალბათ, უნდა დავწეროთ და ვილაპარაკოთ კიდეც. მით უმეტეს, თავი უნდა შევიკავოთ და ნერვები მოვთოკოთ, როდესაც წინ გვაქვს ისეთი სერიოზული გამოცდა, როგორიც არის არჩევნები, პარლამენტის და შემდეგ პრეზიდენტის. ამ ორი-სამი თვის წინათ მოვუწოდე ყველას, რომ შევეცადოთ (ჩვენ საკმაოდ წავიწიეთ წინ დემოკრატიული განვითარების გზაზე) ვიყოთ მაქსიმალურად კორექტულნი, განსაკუთრებით, როცა ლაპარაკია პრეტენდენტზე — მხედველობაში მაქვს პარტიები, პოლიტიკური ძალები და პრეზიდენტობის კანდიდატები. ვიყოთ მაქსიმალურად კორექტულნი ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაში. შეიძლება ყოველთვის ვერ მოვახერხოთ, შეიძლება მდგომარეობა ცოტათი უფრო გამწვავდეს, მაგრამ არჩევნები საქართველოში ყველა შემთხვევაში გაიმართება. აჭარამ რატომ უნდა თქვას უარი იმ შესაძლებლობაზე, რომელიც მას აქვს — „აღორძინების კავშირმა“ საკმაოდ ბევრი ადგილი მოიპოვა მუნიციპალური არჩევნების დროს. მას აქვს საშუალება, რომ იბრძოლოს და წესიერი და პატიოსანი გზით არჩევნებში მიაღწიოს გარკვეულ წარმატებებს და პარლამენტშიც სათანადო ძლიერი ჯგუფი ჰყავდეს. ასე რომ, საფუძველი იმისათვის, რომ არჩევნებს რაღაც ემუქრება, ჯერჯერობით არ არსებობს. მე მგონია, რომ არც იარსებებს.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“: უკაცრავად, მაგრამ გუშინდელ გამოსვლაში გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ აჭარის პროკურატურა პრაქტიკულად არ აძლევს მასალებს. არის საშიშროება, რომ ეს საქმეც ისე ჩაიფარცხება, როგორც სხვა საქმეები. ყველასათვის ცნობილია, რომ ის გემები ხუთი წლის წინათ იყო გაყიდული. რა ბანკში ტრიალებდა ეს თანხები, ვინ დგას ამ ბანკის უკან და რომელი ოჯახის წევრები — ესეც ცნობილი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ამოტივტივდა...

ე. შევარდნაძე: არავის აქვს უფლება საქართველოს ტერიტორიაზე, ყოველ შემთხვევაში, იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, გენერალურ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროებას აუკრძალოს სათანადო ღონისძიებების, მით უმეტეს, საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელება. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ რაღაც დამატებითი ძალები, შეიარაღებული რაზმები უნდა შეიყვანონ — ეს, ბუნებრივია, გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ გამომძიებლების შესვლა ჩვეულებრივი მოვლენაა და ვისაც სიმართლის არ ეშინია, ხელი უნდა შეუწყონ მათ, რომ თავისი მოვალეობა შეასრულონ, მათ შორის, ქვეყნის გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს.

გაზეთი „მენორა“: დღევანდელი მსოფლიო პრესა და მთელი ისრაელი ძალიან შეშფოთებულია იმ მოვლენების გამო, რაც ირანში ვითარდება — დაიწყო ებრაული მოსახლეობის მასობრივი დაპატიმრება. ამის გამო მთელ მსოფლიოში დაიწყო მოძრაობა მათი, განსაკუთრებით, ებრაელი სასულიერო მოღვაწეების მხარდასაჭერად. მასში ჩაერთნენ საკმაოდ ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები. თქვენ პატივს გცემენ მთელ მსოფლიოში, ისევე რა პატივისცემით გეკიდებიან ასევე ირანის პოლიტიკური მოღვაწეები. თქვენ ადრეც იბრძოლეთ იმისათვის, რომ გადაგერჩინათ ებრაელი მფრინავი, რომელიც ირანში ჩავარდა ტყვედ. ახლაც ხომ არ მიიღებდით მონაწილეობას ებრაელი სასულიერო პირების სიცოცხლის გადარჩენაში ამ აქციის მონაწილე სხვა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად?

ე. შევარდნაძე: მინდა გითხრათ, რომ ძალიან განვიცდი ყოველივე ამას, თუმცა არ შემიძლია ვიყო მსაჯული, სამართლიანია თუ უსამართლო ამა თუ იმ პიროვნებისათვის თავისუფლების აღკვეთა. მინდა შეგახსენოთ: ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი არსი არის ის, რომ მსოფლიოში მხოლოდ და მხოლოდ მეგობრები ვეძიოთ და ვპოვოთ. აბსოლუტურ უმრავლესობასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, მათ შორის, ირანის ხელისუფლებასთან, ირანის სახელმწიფოსთან. ხოლო საქართველო-ისრაელის დამოკიდებულების შესახებ თქვენ კარგად მოგეხსენებათ. იმის გარანტიის მიცემა, რომ რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორი ავტორიტეტულიც უნდა იყოს ის, შეუძლია ამ პრობლემის გადაწყვეტა, ზედმეტი თვითდაჯერებულობა იქნება. მაგრამ, რაც შემიძლია და რაც ჩემს უფლებას თუ მოვალეობას არ აღემატება, თითქმის ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ჩვენს ირანელ მეგობრებს ეგრძნოთ საქართველოს დაინტერესება ამ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტით. ვიცი, რომ მსოფლიოს მრავალი პოლიტიკური მოღვაწეც ამ გზას ადგას. კაცმა რომ თქვას, ეს ირანის საშინაო საქმეა, მათი შინაური პოლიტიკის პრობლემაა. ერთადერთი, რაც შემეძლო გამეკეთებინა, ის იყო, რომ გადამეცა ჩემი თანამემამულეების, ებრაელებისა და ქართველების შეშფოთება ამ ამბავთან დაკავშირებით. ეს საიდუმლო არ არის. ჩვენი ასეთი თხოვნა არსებობს. როგორი იქნება შემდგომი დამოკიდებულება მის მიმართ, ეს სხვა საკითხია.

სააგენტო „ელიზი-ნიუსი“: როგორც ცნობილი გახდა, კოლხურ კოშკში მიმდინარე აქციას ზუგდიდშიც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ახალი დაბრკოლების ტალღა იქნება სამეგრელოში წინასაარჩევნოდ. თქვენ, როგორც დემოკრატი პრეზიდენტი, რაშიც ეჭვი არავის ეპარება, რა თქმა უნდა, ალბათ, შეწუხებული ბრძანდებით იმ ადამიანების ბედით, რომლებმაც ასე გადადეს თავი გარკვეული იდეაფიქსისათვის. რამდენად ჯანსაღია ეს აზრი, სხვა საკითხია, მაგრამ თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?

ე. შევარდნაძე: თუ საზოგადოების რაღაც ნაწილს მიაჩნია, რომ პროტესტის ასეთი ფორმაა საჭირო, ეს კანონის მიერ აკრძალული არ არის. არავითარი ზომების მიღება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს აქცია შეწყდეს ან გაგრძელდეს, სამწუხაროდ, არ შემიძლია, უძლური ვარ. თავისთავად ვწუხვარ, რომ ასეთი რამ ხდება. ძალიან ცუდია, რომ ადამიანები შიმშილობენ. არ შეიძლება ასეთ აქციებს შედეგი მოჰყვეს. არჩევნები ახლოვდება, არცთუ ცხრა მთას იქეთ არის ეს დღე და საქართველოს მოსახლეობას ექნება საშუალება თავისი ნება, არჩევანი გამოხატოს წესიერი, კანონიერი და საყოველთაოდ აღიარებული წესით.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

პროკურატურა

თუ დღეს აჭარის პროკურორი თბილისში ჩამოვა...

(პირველი გვერდიდან)

დებატებს მართავს პრესაშიც და ტელევიზიაშიც. დებატები დებატებად, მაგრამ რა მდგომარეობაშია ის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ბათუმში აღიძრა და რომელიც აქამდე თბილისში უნდა გადმოგზავნილიყო? ამ და კიდევ სხვა კითხვებზე გვპასუხობს საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე რევაზ ყიფიანი:

— ბატონო რევაზ, როგორც ჩანს, აჭარის პროკურორმა თქვენს მიერ წინა ინტერვიუში გამოთქმული იმედები არ გაამართლა და საქმე თბილისში არ გადმოგზავნა.

— მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: მე კარგად ვიცნობ როსტომ ჯაფარიძეს. იგი წესიერი კაცია. თანდათან ვრწმუნდები, რომ როსტომ ჯაფარიძის მიმართ აჭარის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები ახორციელებენ გარკვეულ ზეწოლას და არ აძლევენ საქმის თბილისში გადმოგზავნის საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში როსტომ ჯაფარიძე ამას არც იკადრებდა და ვერც გაბედავდა.

— როდის მოსთხოვეთ როსტომ ჯაფარიძეს საქმის თბილისში გადმოგზავნა?

— გუშინ, 5 ივლისს, 11 საათისა და 15 წუთზე, ჩემი დავალებით აჭარის პროკურორს ტელეფონით ესაუბრა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ზურაბ ცინცაძე. მას ჰკითხეს, — მიიღო თუ არა გადაწყვეტილება საქართველოს საზღვაო სანაოსნოში გამოვლენილ სამართალდარღვევათა ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გენერალურ პროკურატურაში წარმოდგენის შესახებ. ბატონმა როსტომ ჯაფარიძემ უპასუხა, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად მსჯელობა ახლა მიმდინარეობსო.

აჭარის პროკურორს ისიც აცნობეს, რომ მას აუცილებლად ველოდებით თბილისში დღეს, 6 ივლისს. ჩამოვა თუ არ ჩამოვა, ამაზე პირდაპირი პასუხი არ გაუცია.

— რა, აქამდე ტელეფონითაც არ გისაუბრიათ?

— რას ბრძანებთ, ტელეფონითაც ბევრჯერ ვესაუბრეთ და ფაქსიც ბევრჯერ გავუგზავნეთ. ბოლო ფაქსი გუშინ გავუგზავნეთ, 17 საათსა და 30 წუთზე. ამ ფაქსით კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოვთხოვეთ საქმის თბილისში გადმოგზავნაც და დღეს გენერალურ პროკურატურაში გამოცხადებაც. ეს ფაქსი მან მიიღო.

— ბატონო რევაზ, როგორც გავიგე, აჭარის პროკურორს შუამდგომლობა წამოუყენებია ამ საქმის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის წარმოებაში დატოვების შესახებ.

— დიახ, ბატონმა როსტომ ჯაფარიძემ 4 ივნისს შუამდგომლობა წარმოადგინა, მაგრამ ეს შუამდგომლობა გენერალურმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მისი გამოძიება კანონით ექვემდებარება საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

— თითქოს ვალერი გელბახიანს თავად უთხოვია ჯამლეთ ბაბილაშვილისთვის და ისიც დასთანხმებია.

— არა, ვალერი გელბახიანს ჯამლეთ ბაბილაშვილისთვის არ მიუმართავს. რომ მიემართა, მე აუცილებლად მეცოდინებოდა. გარდა ამისა, ამ საკითხის გადაწყვეტაში ჩარევის პროცესუალური უფლება არა აქვს არც ვალერი გელბახიანს და არც ხელისუფლების სხვა ნებისმიერ წარმომადგენელს. კანონი კანონია. მის უზენაესობას კი ყველა უნდა დაემორჩილოს, ვინც არ უნდა იყოს იგი.

— ბატონო რევაზ, ამ ქვეყანაზე თურმე ყველაფერი ხდება. დავუშვათ და სანაოსნოს საქმე თბილისში არ გადმოიგზავნა და გამოძიება ბათუმში გაგრძელდა.

— ეს იქნება პროცესუალური კანონმდებლობის უხეში დარღვევა. ასეთ საქმეს ვერც ერთი სასამართლო ვერ განიხილავს და მას დააბრუნებს ხელახალ გამოძიებაში.

— და გენერალური პროკურატურა გულხელდაკრეფილი ასე შორიდან უყურებს, მაპატიეთ და, „პინგ-პონგის“ თამაშს?

— არავითარ შემთხვევაში! ჩვენ აქ პარალელურად მეორე სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთ. ბათუმში საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 188-ე მუხლებით. ესაა თანამდებობის ბოროტად გამოყენებით და დაუდევრობით სხვისთვის ზარალის მიყენება. აქ ძალზე იოლი სასჯელია. ჩვენ კი სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთ სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების მუხლებით, რომლებიც გაცილებით მკაცრ სანქციებს ითვალისწინებს.

— როგორ, ერთმანეთის პარალელურად სისხლის სამართლის ორი საქმე იარსებებს?

— არა, ეს ორი საქმე ოდესღაც აუცილებლად გაერთიანდება. წესითა და კანონით ეს ასე უნდა მოხდეს. მაგრამ ამას მაინც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება გენერალური პროკურორის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის. მსგავსი რამ კი ჩვენს ცხოვრებაში, პირადად ჩემი მუშაობის 47 წლის პრაქტიკაში, არასოდეს ყოფილა.

— და ბოლოს, ბატონო რევაზ, სადღეისოდ რა იცით სანაოსნოს ხელმძღვანელების ბიჭიკო ვარშანიძისა და ანზორ გვარჯალაძის შესახებ?

— ამ პირთა ოჯახის წევრების შეტყობინებით, ისინი ამჟამად ბათუმში, შინაპატიმრობაში იმყოფებიან და მათზე მკაცრ ზედამხედველობას ახორციელებენ. ოფიციალურად კი მათთვის აღმკვეთი ღონისძიება არავის შეუფარდებია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ აჭარის სამართალდამცავი ორგანოები იგნორირებულია და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლება უკანონო მითითებებს იძლევა!

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

მოვლენათა სამართლებრივი შეფასებისათვის

(პირველი გვერდიდან)

ის, რომ შეაფასონ აფხაზ სეპარატისტთა ქმედება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თვალსაზრისით, მსოფლიო გაერთიანების ყურადღება მიაპყრონ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტებს. კონფერენცია-სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გაეროს, ეუთოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები, საქართველოს ხელმძღვანელობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ლეგიტიმურ ორგანოთა წარმომადგენლები, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები, აფხაზეთის მოვლენათა თვითმხილველები.

— მიგვაჩნია, — აღნიშნა ლევან ალექსიძემ, — რომ სეპარატისტთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ობიექტური შეფასების მიცემა არათუ არ შეუშლის ხელს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს, არამედ, პირიქით, დააჩქარებს მას. საქართველო კვლავ ადგას სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის პოზიციას. მაგრამ, ყველაფერს თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ, ჩვენ საქმე გვაქვს სეპარატისტთა დამნაშავე რეჟიმთან, რომლის გამოც დაზარალდა არა მარტო აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა, არამედ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის, თვით აფხაზებიც. და ეს მთელმა მსოფლიომ უნდა შეიტყოს.

კონფერენცია-სემინარზე წარმოადგენენ აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების კვლევის სახელმწიფო კომისიის მიერ შეკრებილ მდიდარ მასალას. უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმს, რომელიც ასახავს აფხაზ სეპარატისტთა დანაშაულს. რუსთაველის სახელობის თეატრის ფოიეში გაიხსნება ამ თემისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. როგორც ლევან ალექსიძემ განაცხადა, კონფერენციის მონაწილეთა განსახილველად წარმოდგენილ მრავალ დოკუმენტსა და ფაქტს პირველად გამოიტანენ საჯაროდ. მონაწილეები მიიღებენ მიმართვას გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მოთხოვნით — მისცენ შესაბამისი შეფასება აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტებს. — კონფერენციის ერთ-ერთი ამოცანაა, — განაცხადა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, — ვუჩვენოთ მსოფლიო გაერთიანებას, რომ აფხაზეთში მომხდარი მოვლენები არსებითად არ განსხვავდება ბალკანეთის მოვლენებისაგან. ეს გვაძლევს საფუძველს, ვილაპარაკოთ ქართველი მოსახლეობის გენოციდის საქმის საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემაზე. აფხაზეთში ეთნიკური წმენდის ფაქტები აღიარეს ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებზე. დღეს დგას საკითხი, რომ ეს ფაქტები ცნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. ამიტომ, ამ კონფერენციის გამართვა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის წინ, რომელიც ივლისის დამლევისათვის არის დანიშნული, ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

საქინფორმი.

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ., №31-33, მუხ. 671) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები საყოველთაოა: არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, განათლებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

2. პარლამენტის წევრად არჩეული არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ ცხოვრობს საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე".

2. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი საარჩევნო კომისიები".

3. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ:

ა) ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას;

ბ) ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნულ პარტიათა საარჩევნო ბლოკს;

გ) ამ კანონით დადგენილი წესით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს — მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში".

4. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით".

5. მე-10 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე წინადადება.

6. მე-11 მუხლის:

ა) სათაურში სიტყვები „არჩევნების კანონის" შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო კანონმდებლობის";

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებს, აგრეთვე, ოლქში წარდგენილ კანდიდატებს, რომლებიც გადაამეტებენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრულ ოდენობას ან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგენენ არჩევნებში გამოყენებული სახსრების ანგარიშს, ეკრძალებათ საქართველოს პარლამენტის მომავალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემების მიხედვით საარჩევნო ბარიერგადალახულ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს და პარლამენტის წევრად არჩეულ დამოუკიდებელ კანდიდატებს ჩამოერთმევათ პარლამენტში მათ მიერ მოპოვებული მანდატები. ასეთი დარღვევების საქმეებს არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამებიდან არა უგვიანეს 3 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისიის, არჩევნებში მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან დამოუკიდებელი კანდიდატის წარდგინების საფუძველზე 3 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი სასამართლო".

7. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 მუხლი:

„მუხლი 11^1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება (გარდა იმ დადგენილებებისა, რომლებიც შეეხება საკადრო და პერსონალურ, აგრეთვე, არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის და არჩევნების შედეგების შეჯამების საკითხებს) არის ნორმატიული აქტი".

8. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. არჩევნების დანიშვნა

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 40 დღისა და არა უგვიანეს 15 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა".

9. მე-13 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. პარტიამ, რომელსაც სჭირდება 50 000 მხარდამჭერი ამომრჩევლის სიის წარდგენა, განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპარლამენტო არჩევნების წლის არა უგვიანეს 1 ივლისისა და 30 დღის ვადაში უნდა წარადგინოს მხარდამჭერთა სია. პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის მომენტისათვის ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 55-ე დღისა. კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება და პარტიის რეგისტრაციის მოწმობის ასლი. განცხადების ფორმას ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სახელწოდება, რომლითაც იგი რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროში, ხელმძღვანელი პირის (პირების), რწმუნებულის და საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლების მქონე პირის (პირების) სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

2. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულებიდან 6 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხს და აძლევს სათანადო ცნობას მის რწმუნებულს. რეგისტრაციაში არ გატარდება პარტია, რომლის საქმიანობა შეჩერებულია კანონით დადგენილი წესით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, ფორმდება დადგენილებით. დადგენილებაში სრულად უნდა აისახოს ის გარემოებანი, რომელთა გამოც პოლიტიკურ გაერთიანებას უარი ეთქვა საარჩევნო რეგისტრაციაზე ან გაუუქმდა იგი.";

ბ) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მე-4 და მე-5 პუნქტებად, ხოლო მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლის მეშვეობით რეგისტრაციაში გატარებული პარტიის შესაბამისი დეპუტატის სხვა პარტიულ სიაში აღმოჩენის შემთხვევაში, თუ პარტიის მიერ წარდგენილ სიაში რეგისტრაციის მომენტისათვის არ იქნა პარლამენტში მისი სხვა წარმომადგენელი, ამ პარტიას (საარჩევნო ბლოკს) უუქმდება პარტიული სია და საარჩევნო რეგისტრაცია".

10. მე-14 მუხლის:

ა) პირველ პუნქტში რიცხვი „25" შეიცვალოს რიცხვით „36";

ბ) მე-4 პუნქტის პირველი წინადადებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საარჩევნო კომისიის წევრთა და", ხოლო მეორე წინადადებიდან — „საარჩევნო კომისიის წევრი და";

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ბლოკს უფლება აქვს უარის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის დადგენილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება".

11. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. საარჩევნო უბნები

1. პარლამენტის არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა. ძნელად მისადგომ ადგილებში, საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები.

2. საარჩევნო უბნებს ქმნიან ან/და შექმნილი უბნების საზღვრებს აზუსტებენ საოლქო საარჩევნო კომისიები რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წარდგინების გათვალისწინებით. არჩევნების დღეს საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში — დისლოკაციის ადგილის მიხედვით, ნაოსნობაში მყოფ გემებზე — გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით საარჩევნო უბნები იქმნება იმავე წესით. სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით. საარჩევნო ოლქისათვის ამ უბნების მიკუთვნების საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

3. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე, ძნელად მისადგომ ადგილებში ხმის მიცემა შეიძლება მოხდეს გადასატანი ყუთის მეშვეობით.

4. საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის შექმნიდან 5 დღის ვადაში ადგილობრივ გაზეთებში, ადგილობრივი რადიოთი და ტელევიზიით აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, მათ საზღვრებს, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ხმის მისაცემი შენობების მისამართებს".

12. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

1. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არჩეული ან დანიშნული შეიძლება იყოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

2. საარჩევნო კომისიებში ყოველი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თითო წევრს ნიშნავს პროპორციული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით 5 საუკეთესო შედეგის მქონე პარტია (საარჩევნო ბლოკი).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პარტიები ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებში წევრებს ნიშნავენ 4 წლის ვადით არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა, საუბნო საარჩევნო კომისიებში — არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა, მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი — არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა უფლებამოსილება წყდება უბნებში არჩევნების შედეგების შეჯამებისთანავე.

4. თუ კომისიის წევრი დანიშნული იყო ბლოკის მიერ და მორიგ არჩევნებში ეს ბლოკი არ ღებულობს მონაწილეობას, მაშინ მის მაგიერად წევრის დანიშვნის უფლება თანამიმდევრულად ენიჭებათ ბლოკის სიაში დასახელებულ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიებს.

5. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლება არ გამოიყენა რომელიმე პარტიამ (საარჩევნო ბლოკმა), ამ შემთხვევაში კომისიის წევრს ნიშნავს ზემდგომი კომისია, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში — პარლამენტი.

6. თუ ერთსა და იმავე კომისიაში თავისი წარმომადგენელი დანიშნა ერთზე მეტმა პარტიულმა ორგანომ, კომისიის წევრად ჩაითვლება ზემდგომი ორგანოს მიერ დანიშნული პირი.

7. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნული ან არჩეული პირი მის წევრად ჩაითვლება საარჩევნო კომისიაში დანიშვნის ან არჩევის მომენტიდან.

8. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დანიშნული კომისიის წევრები საარჩევნო კომისიის წევრებად ჩაითვლებიან შესაბამის კომისიაში გამოცხადების მომენტიდან, ხოლო ზემდგომი კომისიის მიერ დანიშნული პირები — დანიშვნის მომენტიდან.

9. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დაინიშნონ საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოთა წევრები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს წევრობის კანდიდატები, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რწმუნებულები, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირები.

10. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის ან წევრის უფლებამოსილება წყდება:

ა) გადადგომის შემთხვევაში (განცხადება გადადგომის შესახებ წარედგინება ზემდგომ საარჩევნო კომისიას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირისათვის კი თვით ამ კომისიას და დაკმაყოფილდება მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.);

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

გ) უფლებამოსილების ჩამორთმევისას;

დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას;

ე) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;

ვ) გარდაცვალებისას.

11. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ საქართველოს გენერალურ პროკურორს.

12. კომისიის წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უფლებამოსილი სუბიექტი ნიშნავს (ირჩევს) შესაბამის წევრს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით".

13. მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. საარჩევნო კომისიებში ყველა სახის დოკუმენტის მიღება წარმოებს 18 საათამდე".

14. მე-20 მუხლის:

ა) პირველ პუნქტში სიტყვის „მდივანს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და კომისიის წევრებს";

ბ) მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ამასთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალ ყველა პირს";

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13. უფლებამოსილების განხორციელების მანძილზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი".

5. 21-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტში სიტყვები „არანაკლებ 20 წევრისაგან" შეიცვალოს სიტყვებით „14 წევრისაგან", ხოლო პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადებები „ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი არის სახელმწიფო მოხელე. მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.";

ბ) მე-2 პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს პარლამენტი ყოველი საპარლამენტო არჩევნების წლის საგაზაფხულო სესიის ბოლო თვეს 4 წლის ვადით დადგენილებით ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 5 წევრს, რომელთაგან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი არ უნდა იყოს სამზე მეტი.";

გ) მე-3-6 პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მე-4-7 პუნქტებად, ხოლო მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 4 წევრს და პარლამენტის თანხმობით — თავმჯდომარეს 5 წლის უფლებამოსილების ვადით, ხოლო სესიათაშორის პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე და მის კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს შეკრებისთანავე.";

დ) მე-5 პუნქტში რიცხვი „23" შეიცვალოს რიცხვით „17";

ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს";

ვ) მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს პარტიები ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით".

16. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) ქვეპუნქტები დალაგდეს ანბანის მიხედვით;

ბ) „ა" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ორი მესამედის";

გ) „ვ" ქვეპუნქტში სიტყვები „ორ-ორ" შეიცვალოს სიტყვებით „ოთხ-ოთხ".

17. 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. საოლქო საარჩევნო კომისია

1. საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და 7 წევრისაგან.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს საპარლამენტო არჩევნების წლის მაისის თვეში 4 წლის ვადით, ხოლო 5 წევრს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი პარტიები. საოლქო საარჩევნო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

3. საოლქო საარჩევნო კომისია თავის და ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს შექმნიდან 3 დღის ვადაში აქვეყნებს შესაბამისი ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

4. პარტიები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით".

18. 24-ე მუხლის:

ა) ქვეპუნქტები დალაგდეს ანბანის მიხედვით;

ბ) „გ" ქვეპუნქტში სიტყვა „ორ" შეიცვალოს სიტყვით „ოთხ";

გ) „ზ" ქვეპუნქტში სიტყვის „რწმუნებულს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და ოლქში წარდგენილი კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს".

19. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. საუბნო საარჩევნო კომისია

1. საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და 7 წევრისაგან.

2. საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს. თუ საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმები თანაბრად გაიყო, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია. საუბნო საარჩევნო კომისიის 5 წევრს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი პარტიები.

3. საუბნო საარჩევნო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

4. საუბნო საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს აქვეყნებს დაუყოვნებლივ.

5. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება მთავრდება ოლქში არჩევნების შედეგების შეჯამებისთანავე.

6. პარტიები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით".

20. 27-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს";

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ) შესაბამის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტის წევრს";

გ) მე-2 პუნქტის პირველ წინადადებას დაემატოს სიტყვები „აგრეთვე ამ პირის თანხმობა საარჩევნო კომისიაში წარდგენაზე (დანიშვნაზე)".

21. 28-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტში სიტყვა „მე-8" შეიცვალოს სიტყვით „მე-10";

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს, ხოლო მე-3 და მე-4 პუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს მე-2 და მე-3 პუნქტებად;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიაში შემავალი პირის მოვალეობისაგან გათავისუფლებისას ან მისი გარდაცვალებისას კომისიაში ამ კანონით დადგენილი წესით ახალ წევრს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით, არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 30 დღისა, ნიშნავს ის ორგანო, რომელსაც დანიშნული ჰყავდა კომისიიდან გამოკლებული წევრი".

22. 29-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხდება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა — საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა".

23. 30-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების სავარაუდო ოდენობას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც არჩევნების წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში აისახება ცალკე მუხლით";

ბ) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს ორი კვირისა, მაგრამ არჩევნებამდე არა უგვიანეს 58 დღისა ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტში არჩევნებისათვის გამოყოფილი თანხის ჩარიცხვას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე.

3. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველი პარტია, საარჩევნო ბლოკი და ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი ქმნის საარჩევნო ფონდს ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშის გახსნით, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, თავიანთი სახსრები, მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა (რომლებშიც არ არის სახელმწიფო წილი), საქართველოს მოქალაქეთა და პოლიტიკურ გაერთიანებათა შემოწირულობანი";

გ) მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებაში სიტყვები „პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატი" შეიცვალოს სიტყვებით „ხოლო პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატის ფონდს განაგებს კანდიდატის მიერ დანიშნული ფონდის გამგებელი";

დ) მე-6 პუნქტში სიტყვები „უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღისა" შეიცვალოს სიტყვებით „უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 47 დღისა";

ე) მე-8 პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო პარტიები და საარჩევნო ბლოკები, რომლებმაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემების მიხედვით გადალახეს ბარიერი, აგრეთვე, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით პარლამენტის წევრად არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს":

ვ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში უფასოდ გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობებს. სატელეფონო საუბრები ანაზღაურდება არჩევნების ხარჯებიდან. საარჩევნო კომისიები, როგორც წესი, არ უნდა იყვნენ განთავსებულნი იმავე შენობებში, რომლებშიც განთავსებული არიან სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ან/და პარტიები".

24. 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს შესაბამის საარჩევნო ოლქში, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს, კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული იმ პარტიების თითო წარმომადგენელს, რომლებსაც შესაბამის კომისიაში არ დაუნიშნავთ კომისიის წევრი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული საზოგადოებრივი გაერთიანებების თითო წარმომადგენელს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ აკრედიტებულ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს (რეგისტრაციისა და აკრედიტაციის შესახებ განცხადება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნების დღემდე. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს განცხადების წარდგენიდან 6 დღის ვადაში), მეთვალყურეებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობაში, ხმის მისაცემი შენობების გახსნიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე, — პარლამენტის წევრობის კანდიდატებს, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დანიშნულ თითო მეთვალყურესაც. პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულის უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება ამ კანონითა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტით".

25. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

1. ამომრჩეველთა სია თითოეული უბნის მიხედვით დგება ორ ცალად. სიას ყველა გვერდზე ხელს აწერენ საუბნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

2. სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა უზრუნველყოფენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა, მათ შორის იმათი, ვისაც არჩევნების დღისათვის უსრულდება 18 წელი, აღრიცხვას და გადასცემენ საარჩევნო კომისიებს იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად. ამომრჩეველთა სიაში შედის ამომრჩევლის პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი.

3. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო დევნილთა სიას საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს არჩევნებამდე 55 დღის ადრე. თუ დევნილის სტატუსის მქონე პირი აღმოჩნდება რეგისტრირებული რომელიმე საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, იგი ამოღებულ იქნება დევნილთა საარჩევნო სიიდან. დევნილთა სიები საარჩევნო ოლქის მიერ კეთდება იმ რაიონების მიხედვით, სადაც ცხოვრობდნენ დევნილი ამომრჩევლები და გადაეცემა შესაბამის უბანს მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში, ადგენენ შესაბამისი საუბნო კომისიები ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე."

26. 33-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და რომელიც სიის შედგენის მომენტისათვის რეგისტრირებულია მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, ხოლო საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები საარჩევნო სიებში შეაქვთ მათი დისლოკაციის ადგილის მიხედვით. იძულებით გადაადგილებული პირები საარჩევნო სიებში შეაქვთ მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; მათთვის დგება ცალკე სია და ისინი მონაწილეობას არ იღებენ ერთმანდატიან ოლქში მაჟორიტარულ არჩევნებში".

27. 34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34. მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

1. საარჩევნო სიები ქვეყნდება არჩევნებამდე 30 დღით ადრე. პრეტენზიები საუბნო საარჩევნო კომისიაში მიიღება არჩევნებამდე არა უგვიანეს 20 დღისა. პრეტენზიებს საუბნო საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ გადასცემს საარჩევნო ოლქს, რომელსაც პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამომრჩეველი შეყავს ამომრჩეველთა სიაში, რომელიც ქვეყნდება არჩევნებამდე 10 დღით ადრე. თუ პრეტენზია არ დაკმაყოფილდა, ამომრჩეველს უფლება აქვს 3 დღის ვადაში სარჩელი შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს 3 დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამომრჩეველი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეყავთ ამომრჩეველთა სიაში.

2. ამომრჩეველთა დამატებით სიაში შეყვანილი იქნებიან კომისიის წევრები, რომლებიც კომისიის წევრად დანიშნულნი არიან იმავე ოლქის სხვა საუბნო საარჩევნო კომისიაში. ამ შემთხვევაში ამომრჩეველი ხმას აძლევს ხმის მიცემის მოწმობის საფუძველზე. თუ პირი დანიშნულია სხვა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად, იგი მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში".

28. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:,

„მუხლი 36. პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

საქართველოს პრეზიდენტი, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწე-

იხ. მე-5 გვ.

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

(მეოთხე გვერდიდან)

სებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი მოადგილეები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, რაიონის ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები (მდივნები), საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები, მოსამართლეები და მათი თანაშემწეები, საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილეები, საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები (რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები), საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე და მოადგილეები, აგრეთვე, პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გამომძიებლები არ შეიძლება წარდგენილ იქნენ პარლამენტის წევრობის კანდიდატად, თუ რეგისტრაციამდე განთავისუფლებულნი არ იქნებიან დაკავებული თანამდებობიდან“.

29. 37-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტში სიტყვები „რიცხვს, რომელიც ტოლია ერთმანდატიან ოლქებში პარტიის, ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატების რაოდენობისა და 150-ის ჯამისა“ შეიცვალოს რიცხვით „235“.

ბ) მე-6 პუნქტში რიცხვი „30 შეიცვალოს რიცხვით „36“, ხოლო მე-2 წინადადებას სიტყვის „იყოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი, ორი ფოტოსურათი და“.

30. 38-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტში სიტყვები „ყოველ საინიციატივო ჯგუფს“ შეიცვალოს სიტყვებით „არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და საინიციატივო ჯგუფს“, ხოლო სიტყვები „მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა“ – სიტყვებით „იმ შემთხვევისა, თუ დასახელებული კანდიდატი ბოლო არჩევნებში არჩეული იყო პარლამენტის წევრად“.

ბ) მე-3 პუნქტში რიცხვები „50“ და „45“ შესაბამისად შეიცვალოს რიცხვებით „40“ და „36“, ხოლო მე-2 წინადადებას სიტყვის „იყოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი, ორი ფოტოსურათი“.

გ) მე-5 პუნქტში რიცხვი „40“ შეიცვალოს რიცხვით „36“.

31. 39-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მაგრამ არა უგვიანეს არჩევნებამდე 34-ე დღისა“.

32. მე-40 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტში სიტყვების „პრეზიდენტობის კანდიდატად“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატად“ სიტყვები „პოლიტიკური გაერთიანების“ შეიცვალოს სიტყვებით „პარტიის ან“, ხოლო სიტყვები „ან პარტიული სიითა და ამომრჩეველთა მიერ წარდგენილ კანდიდატად კენჭისყრაზე“ ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-5 პუნქტს დასაწყისში დაემატოს სიტყვები „პარტიის და“, ხოლო სიტყვები „არჩევნების დღის წინა დღის 12 საათამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „არჩევნებამდე არა უგვიანეს 2 დღისა“.

გ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ოლქში წარდგენილი კანდიდატისა და პარტიული სიების რიგითობის დასადგენად წილისყრის ჩატარების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია“.

33. 41-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში სიტყვები „კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა“, ხოლო პირველ პუნქტში სიტყვა „რეგისტრაციის“ – სიტყვებით „უფლებამოსილების ცნობის“.

34. 42-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას დადგენილებით ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია“.

ბ) მე-3 პუნქტის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ყოველ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცემა შესაბამის საარჩევნო ოლქში, უბანში ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისი ბიულეტენები“.

35. 47-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტში სიტყვები „შესაბამისად დაისჯება“ შეიცვალოს სიტყვებით „ისჯება საქართველოს კანონმდებლობით“;

ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12 საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ ცნობის გამოქვეყნების დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებს, აგრეთვე, ოლქში წარდგენილ კანდიდატებს, მათ რწმუნებულებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს მათი სახელით ეკრძალებათ გადასცენ ამომრჩევლებს ფულადი სახსრები, საჩუქრები და სხვა სახის მატერიალური ფასეულობანი, ჩატარონ საქონლის შეღავათიან ფასებში გაყიდვა, მიაწოდონ ან უფასოდ გაავრცელონ ნებისმიერი საქონელი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული პროპაგანდისტული მასალისა, აგრეთვე, დაინტერესონ ამომრჩევლები მათთვის ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის, დაპირებით. ასეთი ფაქტის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურების შემთხვევაში არჩევნებში მონაწილე ამ პარტიის საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით“.

36. 48-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტში რიცხვი „15“ შეიცვალოს რიცხვით „25“.

ბ) მე-4 პუნქტში რიცხვი „14“ შეიცვალოს რიცხვით „10“.

37. 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებში და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა“.

38. 50-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პასუხისმგებლობა კენჭისყრის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების ობიექტური გამოვლინების, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისა და შენობის მოწყობისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას, ხოლო პერსონალურად – კომისიის თავმჯდომარეს. არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა კენჭისყრის შენობაში დასწრების უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა. ხმის მისაცემ შენობაში წესრიგის დასაცავად გამოყოფილი პოლიციელი დარღვევების თავიდან აცილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის შემთხვევაში და მისი პირადი პასუხისმგებლობით. ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში“.

ბ) მე-5 პუნქტში სიტყვები „პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენისას“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენისას. ბიულეტენის გაცემისას ამომრჩეველთა სიაში შეიტანება პირადობის მოწმობის ნომერი“.

გ) მე-8 პუნქტში სიტყვები „დღის 12 საათამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „წინა დღის 18 საათამდე“.

39. 51-ე მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) პირველი პუნქტი ჩაითვალოს მე-2 პუნქტად, ხოლო მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პირველი პუნქტი:

„1. საარჩევნო ბიულეტენი მოწმდება საარჩევნო კომისიის ორი წევრის ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით“.

გ) მე-4 პუნქტში სიტყვა „ამომრჩეველს“ შეიცვალოს სიტყვებით „ამომრჩეველსა და საარჩევნო ყუთთან მდგომ კომისიის წევრს“;

დ) მე-6 პუნქტში სიტყვები „თითო სხვადასხვა ფერის“ შეიცვალოს სიტყვებით „კანონმდებლობით დადგენილი რაოდენობის“, ხოლო სიტყვები „ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს“ – სიტყვებით „ისინი ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ“;

ე) პუნქტები შესაბამისად გადაინომროს.

40. 52-ე მუხლის პირველი პუნქტის:

ა) ქვეპუნქტები დალაგდეს ანბანის მიხედვით;

ბ) „ე“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „მაინც“;

გ) „ი“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი“;

დ) „კ“ ქვეპუნქტში სიტყვების „თითო ცალი“ წინ დაემატოს სიტყვა „ოქმების“.

41. 53-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 53. არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში

1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით ადგენს გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას, თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას, არჩევნების შედეგებს.

2. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც.

3. საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა ერთი მესამედისა.

4. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ადგენს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს ოქმს.

5. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს ოლქში დასახელებული კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი და წევრები და მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

6. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმი და საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების თითო ცალი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი ინახება თვით საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი გადაეცემა პარლამენტის წევრობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს.

7. საუბნო საარჩევნო კომისიების იმ ოქმების თითო ცალი, რომლებშიც შეჯამებულია პარტიული სიებით ჩატარებული არჩევნების შედეგები, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

8. საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიაში შედგენილ უნდა იქნეს არჩევნების დღეს 07-დან 20 საათამდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს დარღვევის შესახებ ოქმი, რომელშიც აღინიშნება: ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევი პირის შესახებ; დარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; მოწმეთა გვარები და მისამართები; დამრღვევის ახსნა-განმარტება და სხვა დამატებითი ცნობები.

9. საუბნო საარჩევნო კომისია ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნულ განცხადებას ოქმთან ერთად არჩევნების მომდევნო დღეს გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს 2 დღის ვადაში და თავის მოსაზრებას არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

10. ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით შედგენილი და წარდგენილი განცხადება არ განიხილება.“

42. 54-ე მუხლის:

ა) პირველ პუქტში სიტყვის „მაინც“ შემდეგ ტექსტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტის პირველ წინადადებას დაემატოს სიტყვები „ხოლო თუ საუკეთესო ერთნაირი შედეგი აღმოაჩნდა რამდენიმე კანდიდატს ან საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატს, მეორე ტურში გადის ყველა აღნიშნული კანდიდატი“, ხოლო პუნქტს ბოლოში დაემატოს შემდეგი წინადადება „თუ ყველა კანდიდატმა ერთნაირი შედეგი მიიღო, მაშინ არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მიიღო ხმათა მეტი რაოდენობა“.

გ) მე-3 პუნქტში რიცხვი „20“ შეიცვალოს რიცხვით „10“;

დ) მე-10 პუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვები „უბნებში არჩევნების შედეგს შეუძლია არჩევნების საბოლოო შედეგზე გავლენის მოხდენა“ შეიცვალოს სიტყვებით „ამ უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მეტია საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატისა და მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა სხვაობის რაოდენობაზე“, ხოლო სიტყვების „რაოდენობა ამ უბნებში“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „საქართველოს“;

ე) მე-11 პუნქტში სიტყვის „აგრეთვე“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „მათში“;

ე) მე-12 პუნქტში სიტყვის „ცნობას“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ოქმში მოცემული“.

43. 57-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 57. ხელახალი არჩევნები იმ ერთმანდატიან ოლქში,

სადაც არჩევნები არ შედგა გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად და უკანასკნელის ადგილმონაცვლის განსაზღვრის წესი“;

ბ) პირველ პუნქტში სიტყვების „საქართველოს პარლამენტის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ამ კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით არჩევნების ჩაუტარებლობის შემთხვევაში“.

44. 58-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს სიტყვები „5 წლის განმავლობაში მაინც“.

45. კანონის „გარდამავალი დებულებანი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი VIII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 59. აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე და საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე:

ა) 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პარლამენტის წევრებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის არიან პარლამენტის წევრები, უგრძელდებათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნების ჩატარებისა და მათი უფლებამოსილების ცნობისთანავე უფლებამოსილებაგაგრძელებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეწყდება;

ბ) თუ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პარლამენტის წევრი რეგისტრირებული იქნება პარლამენტის წევრობის კანდიდატად, მას უფლებამოსილება არ უგრძელდება.

მუხლი 60.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია კომპლექტდება შემდეგი წესით:

ა) საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში 5 წლის ვადით ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 4 წევრს და პარლამენტის თანხმობით – კომისიის თავმჯდომარეს;

ბ) საქართველოს პარლამენტი ამ კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 5 წევრს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადითა და წესით, რომელთაგან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;

გ) კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში თითო წევრს ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადით;

დ) კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თითო წევრს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პროპორციული სისტემით 1998 წლის არჩევნებში (ქალაქების თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის და რაიონების საკრებულოების შედეგების მიხედვით) 7 საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტია (საარჩევნო ბლოკი). ამ წევრების უფლებამოსილება გრძელდება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5 საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიიდან (საარჩევნო ბლოკიდან) ერთ-ერთის მიერ თავისი წევრის დანიშვნამდე.

მუხლი 61.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 6 წევრს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ მე-60 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები (საარჩევნო ბლოკები) ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 62.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 6 წევრს ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ მე-60 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები (საარჩევნო ბლოკები).

მუხლი 63.

ამ კანონის გარდამავალი დებულებების მიხედვით დაკომპლექტებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება იწყება ამ კანონის ამოქმედებიდან 30-ე დღეს. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების არსებული შემადგენლობის უფლებამოსილება წყდება ამ კანონით დადგენილი წესით ფორმირებული შესაბამისი საარჩევნო კომისიის პირველი შეკრებისთანავე.

მუხლი 64.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის შრომის ანაზღაურება გაიცემა ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების დაწყებიდან.

მუხლი 65.

საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება მოხდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 45 დღის ვადაში.

მუხლი 66.

1. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა სიები დგება ამომრჩეველთა რეგისტრაციის საფუძველზე, რომლის წესსა და ვადებს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. 1999 წლის არჩევნებისათვის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტში სიტყვები „საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენისას. ბიულეტენის გაცემისას, ამომრჩეველთა სიაში შეიტანება პირადობის მოწმობის ნომერი“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული სურათიანი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო დევნილთათვის აგრეთვე, დევნილის მოწმობის წარდგენისას“.

მუხლი 67.

1. პარტიებმა, რომლებსაც ამ კანონის მიღებამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გავლილი აქვთ საარჩევნო რეგისტრაცია, ამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ხელახალი რეგისტრაციისათვის განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა.

2. იმ არასაპარლამენტო პარტიებმა, რომელთაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ გაუვლიათ საარჩევნო რეგისტრაცია, ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი წესით მხარდამჭერთა სიების წარსადგენად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით უნდა მიმართონ კანონის ამოქმედებიდან 15 დღის ვადაში“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

III. ამ კანონის I მუხლის 45-ე პუნქტით გათვალისწინებული „მუხლი 59.“ ამოქმედდეს 1999 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,
1999 წლის 25 ივნისი.

საქართველოს კანონი

„საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 21 თებერვლის კანონის დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი განაკვეთები:

1. პარლამენტის თავმჯდომარე – 290 ლარი;
2. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი – 270 ლარი;
3. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე – 250 ლარი;
4. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო ფრაქციის მდივანი – 235 ლარი;
5. პარლამენტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე – 230 ლარი;
6. პარლამენტის წევრი – 220 ლარი;

II. ამ კანონით განსაზღვრული თანამდებობრივი განაკვეთებით გათვალისწინებული ანაზღაურება მოხდეს 1999 წლის 1 ივლისიდან.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 22 ივნისი.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

ქ. დუგლაძის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ქეთევან დუგლაძე თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

ნ. დოთიაშვილის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნაზი დოთიაშვილი თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

დ. თოდრაძის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დავით თოდრაძე თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

ნ. კვარაცხელიას თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნუგზარ კვარაცხელია თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

მ. ფუხაშვილის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მთვარისა ფუხაშვილი თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

მ. ხიყაშვილის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მარინა ხიყაშვილი თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

თ. თოდრიას თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ თოდრია თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

გ. ლიპარტელიანის ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გულნარა ლიპარტელიანი ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

ი. მახათაძის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ირმა მახათაძე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

ღირსეულნი

ფსიქიატრი გაიოზ შარაშიძე

მე ის პირველად დავინახე ეკრანზე, როცა თერთმეტი წლის ვიყავი. მაშინ დიდი სამამულო ომის მეორე წელი იწურებოდა და მრისხანე მტერი ჯერ კიდევ ძლიერი და ქმედობაუნარიანი იყო, თუმცა, თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ საბჭოთა კავშირი არა მარტო მოიგერიებს ფაშიზმის გლობალურ შემოტევას, არამედ წირვას გამოუყვანს მიხაკისფერ ჭირს.

გუშინდელ დღესავით მახსოვს — მამამ წაგვიყვანა ჩემი უფროსი ძმა და მე „საქკინმრეწვში", ასე ერქვა იმხანად მომავალ კინოსტუდია „ქართულ ფილმს" (ჩემი ორი უფროსი ძმა სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა მაშინ, რასაც დღეს ზოგიერთი „ზედემოკრატი" ჩვენი ოჯახის დიდ ნაკლად მიიჩნევს). იქ შედგა არაოფიციალური პრემიერა მიხეილ ჭიაურელის ფილმისა „გიორგი სააკაძე", აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ვერიკო ანჯაფარიძისა და სერგო ზაქარიაძის მონაწილეობით მთავარ როლებში. მას მერე ლამის სამოცი წელი გავიდა, მაგრამ იმ დღის შთაბეჭდილება და სიამაყით გაჯერებული მღელვარება ახლაც ცოცხლობს გულის მეხსიერებაში.

...შაჰ-აბას დიდის გრანდიოზული სასახლის სატახტო დარბაზი. ტახტზე ფეხმორთხმით ზის შაჰი (გაცილებით გვიან ვნახე დიდოსტატურად შესრულებული შაჰ-აბასის ფრესკა და დავრწმუნდი მაშინდელი ქართველი მხატვარ-გრიმიორების მაღალ პროფესიონალიზმში). თავზე ოქროს ჩალმა, დიდი, ნაპატიები ულვაშები, ვერაგულად მოჭუტული ფოცხვერის თვალები, ის მედიდურობა, რასაც უკიდეგანო ძალაუფლება და ასევე უკიდეგანო სიმდიდრე ბადებს.

...და როგორც „ირანის ლომის" სრული ანტიპოდი, ისიც თითქოს აღმოსავლური ფრესკიდან გადმოსული, დარბაზში გამოჩნდება გიორგი სააკაძის მეორე ვაჟი — პაატა — საოცრად ლამაზი, დახვეწილი, კეთილშობილი, მდიდრულ სპარსულ სამოსელში. ხელში მოოქროვილი ყუთი უჭირავს — შაჰისთვის განკუთვნილი საჩუქრით. აბას პირველი სიამოვნებით შეჰყურებს სააკაძის ბოკვერს, მან ჯერ არ იცის, რომ ამავე ყუთით პაატას თავს გაუგზავნის „მოღალატე გიაურს".

„პაატა — გაიოზ შარაშიძე" ამცნობდა მაყურებელს ტიტრი. რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს 14 წლის მოხდენილი ყმაწვილი იქნებოდა მომავალში ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი და ძირითადი თანამზრახველი, მიუხედავად ჩვენი ზოგიერთი იდეალსაზრისის სხვაობისა; რა ვიცოდი მაშინ, რომ „პაატა" ანუ გაიოზი, ჩემი თაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი გახდებოდა (ამ შემთხვევაში, თავისთავად ცხადია, მხედველობაში არა მაქვს რომელიმე პოლიტიკური პარტია ან სახელისუფლებო სტრუქტურა). ეს ლიდერობა ინტელექტუალურ და ზნეობრივ სფეროებში ვლინდება, იმ ავტორიტეტულობაში, რასაც ვერავითარი საკადრო სუბიექტივიზმი, ნათლიმამობა, პროტექციონიზმი თუ სიმდიდრე ვერ დაუპირისპირდება. დიდი ხანია ხმარებაშია ერთი, საკმაოდ (სამწუხაროდ) ჭეშმარიტებასთან ახლოს მყოფი პოსტულატი: „რაც არ შეუძლია ფულს, შეძლებს დიდი ფული". მაგრამ ვერავითარი სიმდიდრე, „მწვანე მასა", აი დოლართა სიუხვეს რომ ეტყვიან, ჩვენს დამშეულ მამულში ვერ უზრუნველყოფს მორალურ ავტორიტეტს. არაერთგზის მითქვამს, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი სპეციფიკა ის არის, რომ ყველამ შესანიშნავად იცის, თუ ვინ რას წარმოადგენს ამ ჩვენს პატარა, ტურფა საქართველოში; ვინ არის ქურდი, მექრთამე, ყაჩაღი, დამანგრეველი და გამყიდველი, და ვინ არის ღირსეული მამულიშვილი, პატრიოტი, მოქალაქე, აღმშენებელი, ქვეყნისა და ხალხის მოსარჩლე. შესანიშნავად ბრძანა აბრაამ ლინკოლნმა: „შეიძლება ზოგჯერ გააბრიყვო მთელი ხალხი, მაგრამ გარკვეული დროით. უფრო დიდხანს ხალხის ერთი ნაწილი, მაგრამ შეუძლებელია მუდამ ჟამს აბრიყვებდე მთელ ხალხს". ეს კარგად უნდა გაითავისონ ძლიერთა ამა ქვეყნისა და თუნდაც ახლო ისტორიას (ძველზე აღარ ვამბობ) შეაჯერონ თავისი ქმედება.

დღეს ბევრი მსჯელობს პროფესიონალიზმზე და განიცდის მის დეფიციტს, მათ შორის (და უმეტესად) სწორედ არაპროფესიონალები. ამიტომაც არის ეს მსჯელობანი ხშირად ზერელე და უსაგნო. ზოგს ჰგონია, რომ პროფესიონალიზმი შემოიფარგლება მხოლოდ დარგის სრულყოფილი ცოდნით. ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. პროფესიონალი ის გახლავთ, ვინც თავისი პროფესიის სიღრმისეული ფლობის გარდა ყოველთვის მუშაობს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმით, მუშაობს თავდადებით, თავისი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობის სრული შეგნებით, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს და სწამს თავისი პროფესიისა და რომელსაც ფართო, საერთო ერუდიცია გააჩნია. სწორედ ასეთი გახლავთ გაიოზ შარაშიძე.

უმაღლესი რანგის თანამედროვე ფსიქიატრი-კლინიცისტი და მეცნიერი, ის სადღეღამისო მზადყოფნაშია დაეხმაროს ავადმყოფს, რომელსაც არა მარტო თანაუგრძნობს, არამედ უყვარს კიდეც დიდი, ქრისტესმიერი სიყვარულით. არის ჭეშმარიტი ერუდიტი, როგორც თავის სამედიცინო სფეროში, ისე საერთოდაც: პროფესიონალის დონეზე იცის ლიტერატურა და ხელოვნება, ისტორია, ფილოსოფია; აზროვნება თამამი, ორიგინალური, ზოგჯერ პარადოქსულიც; მოვლენისა თუ პიროვნების აღქმა სიღრმისეული და უშუალო, კეთილგანწყობილი; იუმორი მრავალგანზომილებიანი, მდიდარი რეგისტრებითა და ნიუანსებით, ძირითადად რბილი, თუმცა, ზოგჯერ მასში სარკაზმისა და სატირის ღმერთიც იღვიძებს; მიმტევებელი და გამგები. მოფერება — განსაცვიფრებელი და გამოსავლიანი ფსიქოთერაპიის ნაირსახეობა, ალბათ. ერთად ვიყავით კანადასა და შეერთებულ შტატებში, იმ დროს, როცა გამოიკვეთა კომუნისტური სამყაროს ფატალური კრიზისი. არ დავმალავ, ზოგიერთი ჩემი კოლეგისაგან განსხვავებით, განვიცდიდი ამ მტკივნეულ პროცესს. გაიოზი ამჩნევდა, გრძნობდა ჩემს შეფარულ განცდებს და ცდილობდა ჩემს გამხნევებას. კანადაში დიდი მანძილების გადალახვა გვიხდებოდა ავტობუსით (ჩვენი დელეგაცია 25 წევრისგან შედგებოდა) ლანდშაფტი ხშირად ერთფეროვანი იყო და მგზავრები ზოგჯერ მოიწყენდნენ ხოლმე. გადავწყვიტე მათი გართობა. ვიღებდი ხელში მიკროფონს და ვახსენებდი ჩემს თანამემამულეებს ბარათაშვილს, აკაკის, გალაკტიონს, ლეონიძეს, ჩიქოვანს, მაიაკოვსკის, ესენინს, პასტერნაკს; შექსპირის სონეტებისა და ბერნსის ბალადების მარშაკისეულ ვერსიებს. ხანაც იმიტაციის მეშვეობით წარმოვუდგენდი კოლეგებს ხორავას, ვასაძეს, გოძიაშვილს, შავგულიძეს, ზაქარიაძეს, დავითაშვილს, ბესო ჟღენტს და ასე შემდეგ. როცა მონრეალიდან სან-ფრანცისკოში გაფრენის წინ ქართველები აეროპორტში შევიკრიბეთ და კანადაში ყოფნის შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს, ერთი მანდილოსანი, რომელზეც, როგორც ჩანს, გაიოზმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, შეეკითხა მას: ყველაზე უფრო რა მოგეწონათ კანადაში, გაიოზ ბატონო? თითქოს ამ შეკითხვას დიდი ხანია ელოდა და საპასუხოდ მზად იყო, გაიოზმა ეშმაკური ციცინათელები აათამაშა თვალებში და ხმამაღლა, ყველას გასაგონად მიუგო მანდილოსანს: თქვენი არ ვიცი და მე პირადად კანადაში ყველაზე უფრო დევი მომეწონა. ატყდა ერთი სიცილ-კისკისი. ყველამ ამ პასუხში ხუმრობა ამოიკითხა, მხოლოდ მე ამ იუმორში დიდი, ადამიანური მხარდაჭერა და სითბო ვიგრძენი. მეგობარმა ამ ხუმრობით შემიძახა და მერე, როცა მოვიკალათეთ „ლოკხიდის" მყუდრო სავარძელში, მითხრა ვაჟას ცნობილი ლექსი, რომელიც ასე თავდება:

„მოზღვავებული ნაღველი
მოგეჩვენება ლხინადა!

მერე კი დააყოლა: დიდი ფსიქოთერაპევტები იყვნენ ჩვენი და სხვა კლასიკოსებიც, ხოლო თითქმის 15 წლის შემდეგ დასტამბა გაზეთ „ახალ საქართველოში" სტატია, სადაც იყო ასეთი პასაჟი:

„ყოველი ქართველი თავისი ბუნებით მეგობრების წრეში, განსაკუთრებით სუფრასთან, ჩინებული ფსიქოთერაპევტია, მას ემარჯვება მოფერება, გამხნევება; მხარდაჭერა და თანადგომა, მაგრამ პოლიტიკის სფეროში იგივე ქართველი ანტიფსიქოთერაპევტია, მისთვის უცხოა კომპრომისი, მომთმენობა, მიმტევებლობა..." ეს სიტყვები ჭეშმარიტი, დიდი ჰუმანისტის ნააზრევია.

საქართველოს პრესაში, ელექტრონული მედიის საშუალებით გაიოზ შარაშიძე ვაჟკაცურად, როგორც მეომარი და რაინდი, მხარში უდგას თავის ერს, ჩვენს საზოგადოებას გარდაქმნებისა და ახლის დანერგვის რთულ და მძიმე ეპოქაში.

იმავე „ახალ საქართველოში" სტატიაში „დღევანდელობის ზოგიერთი პრობლემა ფსიქიატრის თვალით" გაიოზ შარაშიძე წერს:

„საშინელი, უმაგალითო, ტოტალური მარცხის შემდეგ მეორე მსოფლიო ომში, გერმანელმა ხალხმა, დიდმა და პატარამ დიდი შრომით აალორძინა თავისი დალეწილი სამშობლო, ისე, რომ ერთი არ დაუკვნესია. ჩვენ რაღა დაგვემართა? დავმარცხდით, თუმცა, ომი არ წაგვიგია. რა არის ამდენი გაუთავებელი წუწუნი და ვაივაიში? ტყუილად არ გავიხსენე 1941-45 წლებში ერთ მუშტად შეკრული ქართველობა. ადამიანებზე, ამას ვადასტურებ, როგორც ფსიქიატრი, ძალზე დამთრგუნველად მოქმედებს ეს წუწუნი, წამდაუწუმ იმის ძახილი, რომ „ვიღუპებით", „კატასტროფისკენ მივექანებით", „უფსკრულში ვიჩეხებით", იმის მაგიერად, რომ შევეძახოთ ერთმანეთს, როგორც ეს ჩვენ წინაპრებს ემარჯვებოდათ!

ჩვენს საზოგადოებას მუდმივად სჭირდება ფსიქოთერაპიული ზემოქმედება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, ხოლო ცალკეულ ადამიანს — პირადი ფსიქოთერაპევტი. ფსიქოთერაპია არ ცვლის მდგომარეობის დრამატიზმს, ვინაიდან ეს ობიექტური რეალობაა, მაგრამ ფსიქოთერაპია უკეთესობისაკენ ცვლის პიროვნების ადაპტირების უნარს მდგომარეობის დრამატიზმთან მიმართებაში, უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქო-ბიოლოგიური ძალების მობილიზაციასა და წარმართავს მას სწორი ორიენტირით (ეს საოცრად ზუსტი და ღრმა თეორიული მინიშნებაა — დ.ს.)...

დღევანდელი ქართული პრესა თავისუფალია. ის განთავისუფლდა პარტიული ზედამხედველობის მარწუხებისგან, უმკაცრესი ცენზურისაგან. ამან წარმოშვა სრულიად გასაგები ეიფორია. მაგრამ მე, როგორც ფსიქიატრი, ვთვლი, რომ ეს ეიფორია, რომელსაც აშკარად გამოხატული ყვითელი ფერი დაჰკრავს, ნორმის ფარგლებს გასცდა და ერთგვარად პათოლოგიური ხასიათი მიიღო. ჩვენს მასმედიაში ლამის გაბატონდა ყალბი, მყვირალა სენსაციურობა, განქიქება, ლანძღვა-გინება, ადამიანის ღირსების შელახვა. განსაკუთრებით ეჯიბრებიან გაზეთები ერთმანეთს ხელისუფლების დისკრედიტაციაში, რასაც არაფერი აქვს საერთო კონსტრუქციულ კრიტიკასთან. ამბობენ, რომ ეს, ასე ვთქვათ, ეტაპი მაინც გასავლელია და გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ღმერთმა ქნას! ერთი კია, ამ გარდამავალი პერიოდის უკიდურესობანი ადამიანის, მთლიანად ერის ფსიქიკურ ჯანმრთელობას საგრძნობ ზიანს აყენებენ და ეს უნდა შეიგნონ ჩვენი მასმედიის მესვეურებმა".

გაიოზ შარაშიძის პრაქტიკულად ყველა წერილი მედიცინისა და მებრძოლი პუბლიცისტიკის მესაზღვრეზეა ჩაფიქრებული და განხორციელებული. ამას მოწმობს, თუნდაც, ამ სტატიების სათაურები. აი, ზოგიერთი მათგანი: „სულ ძილი, ძილი?", „თანამდევი სული", „მედიცინის „დედოფალი" ანუ შფოთიანთა ქალაქი", „ტელესერიალები „კეთილი ნარკოტიკის" ნაირსახეობა", „ჩვენ პრესას საყმაწვილო სენი ჭირს", „გარემოს ვერ შევცვლით, შეგვიძლია შევცვალოთ დამოკიდებულება გარემოსადმი" და სხვა... კარგია, რომ სულ ახლახან გამოვიდა გაიოზ შარაშიძის წერილების კრებული, რომელიც ღრმად დააფიქრებს მის კოლეგებსა და იმათაც, ვისგანაც დამოკიდებულია დღეს ჩვენი ქვეყნის ბედი.

ქართველებს მაინცა და მაინც არ გვიყვარს ეპისტოლარული ჟანრი, მით უმეტეს დღეს, ურთიერთობების ელექტრონული საშუალებებით დამყარების ჟამს, მაგრამ გაიოზ შარაშიძის ფოსტა განსაცვიფრებელია თავისი მოცულობითა და, განსაკუთრებით, შინაარსით.

მცირე ამონარიდი ერთ-ერთი ავადმყოფის მამის წერილიდან: „მე თქვენი ოჯახის სამუდამოდ მადლობელი და მორალურ ვალში ვარ იმ გონივრული, გულთბილი და კეთილშობილური დამოკიდებულებისათვის, რომელსაც თქვენ და ქალბატონი როზა (გაიოზის მეუღლე, შესანიშნავი ფსიქიატრი, მეუღლე, დედა, ბებია, დიასახლისი — დ. ს.) იჩენდით ჩემი ოჯახის მძიმე და მწარე განსაცდელის დროს... ჩემი შვილი მაიმედებდა: ყველაფერი კარგად იქნება — მე განვიკურნებიო. ამ რწმენას თქვენ, ჩემო ძვირფასო გაიოზ, მას მტკიცედ უნერგავდით და არწმუნებდით. ის თავის მძიმე ავადმყოფობისა და ამასთან დაკავშირებით, დიდი განცდების ჟამს თქვენთან და თქვენს ოჯახში პოულობდა სულიერ ხსნასა და შველას..." ასეთი დამოკიდებულება ავადმყოფთან, მის ოჯახთან, დიდ მკურნალთა და ჰუმანისტთა მაღალი ტრადიციების ერთგულებაა.

ბატონ გაიოზის ფოსტაში მადლობის პოეტური ფორმით გამოხატულებაც გვხვდება, თანაც ბევრჯერ. აი, რამდენიმე სტროფი:

„გაცივდა გული,
ვით თოვლის გუნდა
და მიკვირს დღემდე
როგორ ვიცხოვრე,
მაგრამ მოხვედით,
როგორც მესია
და აღადგინეთ ჩემი
სიცოცხლე;

და, მართალია,
ჟამიდან ჟამზე
სულს მწუხრის
ჟამი ზოგჯერ ანაზებს,
მაგრამ ნუგეშად ისიც
მეყოფა,
თქვენ რომ არსებობთ
ამ ქვეყანაზე".

ხოლო რამდენიმე წლის წინათ გაიოზ შარაშიძეს ლექსი უძღვნა ქართული პოეზიის მეტრმა, უბრწყინვალესმა შემოქმედმა და მოქალაქემ ბატონმა თამაზ ჩხენკელმა:

„მრავლის მნახველს
და ჭირში გამოცდილს,
აჰა, მოგიხტა წელი
სამოცი.
გამოცლილია რამდენი
ჭიქა
ნეტარი დილის და
საღამოსი.

მაგრამ გულს იგი
ღვინო სწყურია,
რომელიც ჯერ არ
დაგვიწურია...
გაიოზ, — მამულს
კვლავ ემსახურე
ისე, ვით დღემდე
გემსახურია".

გაიოზს უყვარს თავისი შეხედულებებისა და ანაზდად მოსული აზრების, როგორც ახლა ამბობენ, „დაფიქსირება" ქაღალდზე. ეს მხოლოდ მედიცინას, ფსიქიატრიას როდი ეხება. მოვიყვან ერთ ძალზე საინტერესო ჩანაწერს, რაც მოწმობს მისი აზროვნების თავისებურებას, მის საოცარ კაცთმოყვარეობას (ჩანაწერი რუსულად არის გაკეთებული და შემეშინდა, ვაი თუ თარგმანში რამე ნიუანსი დაიკარგოს:

„Жизнь многих коммунистов историческая трагедия (გაიოზის მამა იყო ეკონომისტი, გამოჩენილი მოღვაწე, კომუნისტი, რეპრესირებულია 1937 წელს). Множество людей нескольких поколений - подвижники честные, самоотверженные мученики _ ОТЯГОЩЕНЫ ТРАГИЧЕСКОЙ ВИНОЙ (ხაზგასმა ავტორისაა. — დ. ს.). из, как им казалось лучших побуждений, они участвовали в злодеяниях. Достигнут ли катарзис? Очищены ли страданиями и гибелью те, кто так и не осознали своей совиновности?„

ეს არის მოვლენისადმი, ადამიანისადმი ჭეშმარიტად ისტორიულად გააზრებული, სიღრმისეული მიდგომა და არა ზედაპირული, კონიუნქტურული განსჯა, აი დედაბრულ ქოქოლას რომ უტოლდება.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენს ნარკვევებში ნაკლებადაა მომარჯვებული ბიოგრაფიული ხასიათის მონაცემები. ეს, რა თქმა უნდა, შეგნებულად გავაკეთე, რათა წერილს საიუბილეო ტრაფარეტის დაღი არ დამჩნეოდა. ვეცადე გაიოზ შარაშიძის პორტრეტის მხოლოდ მონახაზი გამეკეთებინა.

და მაინც, სტატისტიკის მოყვარულთათვის რამდენიმე მონაცემი: 1967-1981 წლებში გაიოზ შარაშიძე თბილისის საქალაქო ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმია და იმავდროულად საქართველოს ფსიქიატრთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი. ამჟამად ამ ასოციაციას უძღვება მისი ქალიშვილი — ფსიქიატრი მანანა შარაშიძე. დღეს გაიოზი მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დიაგნოსტიკური განყოფილების გამგეა. თავის მასწავლებლად ასახელებს ცნობილ ქართველ ფსიქიატრებს — ლილი ნაკაშიძესა და ამირან ალშიბაიას. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც გაიოზ შარაშიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. მისი მეუღლე — ქალბატონი როზა — იმავე ფსიქიატრიის ინსტიტუტში ქალთა განყოფილებას განაგებს. აქვე მოღვაწეობს მისი ქალიშვილი მანანა შარაშიძეც, რომელსაც ჰყავს ერთი ვაჟი, მოსწავლე, სახელითა და მამის სახელით — ჩემი სეხნია — დევი გიორგის ძე, რაც ასევე ჩემი თაობის ლიდერის, განუმეორებელი თემიკო ჩირგაძის ამოუწურავი იუმორის ერთ-ერთი ობიექტია.

* * *

სულ ახლახან შევხვდი შესანიშნავი ქართველი მთარგმნელისა და ჟურნალისტის, ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავლის, დიდებული მანდილოსნის — ელისაბედ ბაგრატიონის საიუბილეო საღამოზე (ქალბატონ ლიზიკოსთან ერთად ორი წელიწადი ვიმუშავე გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში). იუბილარს მხარს უმშვენებდნენ მისი თანატოლი ჭაღარა მანდილოსნები, — გეგონებოდა, კავკასიონის ლამაზ დათოვლილ მწვერვალებს ჭვრეტდი.

— ხედავ, რა სახეებია? აი, ესაა საქართველოს მადლი და ღირსება, — მითხრა გაიოზმა, — მათ რომ ვუყურებ, დიდი სიმშვიდე მეუფლება, სულიერი კომფორტის მათრობელი შეგრძნება. არაფერია ამ ქვეყნად ადამიანის სიწმინდის ფასი...

დევი სტურუა.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება №669

1999 წლის 5 ივნისი ქ. თბილისი

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის რეაბილიტაცია-განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის რეაბილიტაცია-განვითარებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვის მიზნით და მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნის მესამე კრედიტის მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. შეთავაზებულ იქნეს პოტენციური ინვესტორებისათვის ჟინვალის ჰიდროკომპლექსის ძირითადი ფონდები იჯარით, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამის განხორციელების პირობით.

2. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ (მ. უკლება) და ქალაქ თბილისის მერიამ (ი. ზოდელავა) სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად ერთ კვირაში უზრუნველყონ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნონ შეტყობინება ჟინვალის ჰიდროკომპლექსის ძირითადი ფონდების იჯარით გადაცემის შესახებ წინადადებათა წარმოდგენის თაობაზე.

3. გაუქმდეს „ჟინვალჰესის წყალგამყვანი გვირაბის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 იანვრის №29 განკარგულება და „ქალაქ თბილისის, მცხეთის, დუშეთისა და გარდაბნის რაიონების სასმელ-სამეურნეო წყლით უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 15 თებერვლის №111 განკარგულების მე-2 პუნქტი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ბრძანება №1-3/328

1999 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 13.05.99 წლის №1-3/229 ბრძანებაში „დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროგამანაწილებელი კომპანიებისა და ელექტროგენერაციის ობიექტების განსახელმწიფოებრიობის წინადადებების წარმოდგენაზე მოთხოვნის შესახებ" დამატების თაობაზე

„საქართველოს ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიებისა და გენერაციის ობიექტების რეაბილიტაცია-განვითარების სამოქმედო პროგრამის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 14.02.99 წ. №58 ბრძანებულებისა და 5.06.99 წლის №669 განკარგულების „ჟინვალის ჰიდროკომპლექსის რეაბილიტაცია-განვითარების ღონისძიებათა შესახებ" (თან ერთვის) საფუძველზე, მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნის მესამე კრედიტის მოთხოვნათა შესაბამისად და საინვესტიციო ბანკ „მერილ ლინჩის" რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ვბრძანებ:

1. დაემატოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 13.05.99 წლის №1-3/229 ბრძანებას „დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროგამანაწილებელი კომპანიებისა და ელექტროგენერაციის ობიექტების განსახელმწიფოებრიობის წინადადებების წარმოდგენაზე მოთხოვნის შესახებ" დანართი №2-ის II პუნქტის პირველ აბზაცში შემდეგი სიტყვები: „დაინტერესებულ პრეტენდენტებს აგრეთვე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ და გააკეთონ განაცხადი შპს „თბილწყალკანალის" საწესდებო კაპიტალში შემავალი ჟინვალის ჰიდროკომპლექსის ძირითადი ფონდების იჯარით, არანაკლებ 25 წლით გადაცემაზე, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამის განხორციელების პირობებით".

2. დაევალოს ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტს (რ. ოქრუაშვილი) ამ ბრძანების (დანართთან ერთად) გაზეთებში „მესაკუთრეში" და „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნება, აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდეს ინტერნეტის საშუალებით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბატონ დ. გელაშვილს.

მინისტრი
მ. უკლება.

სიახლე

ვერის პარკში — ქართული ლუდის ზეიმზე

გასულ კვირას დიდი ხალხმრავლობა იყო ვერის პარკში — იქ ქართული ლუდის დღეს ზეიმობდა თბილისი.

ულამაზესი შადრევანი და მის ირგვლივ გაშლილი ყვავილების ნამდვილი სამეფო, იმ დღეს ყველასთვის კარგად ცნობილი ფირმის „ყაზბეგის" მომხიბლავად გაფორმებულმა საჩრდილობლებმა და მაგიდებმა კიდევ უფრო გაამშვენიერეს. იქვე შადრევანთან სახელდახელო სცენა იყო მოწყობილი, რომელზეც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჩვენი ესტრადის ცნობილი მსახიობები და ლუდის სმის კონკურსის მონაწილენი...ასპარეზობას აფასებდა სახელოვან თბილისელთაგან შემდგარი კომპეტენტური ჟიური მსოფლიო ჩემპიონის გურამ საღარაძის, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის, მსახიობ ვახტანგ ცხადაძისა და სხვათა შემადგენლობით, მაგრამ იმ დღის ყველაზე მთავარი ატრიბუტი მაინც იყო ქართული ლუდი, რომელსაც უფასოდ სთავაზობდნენ თბილისელებსა და მათ სტუმრებს ყაზბეგელები. ცხადია, ამ საზეიმო დღეს თბილისელთა მთავარი მასპინძელი ფირმა „ყაზბეგკასტელის" პრეზიდენტი, ჩვენი ცნობილი მეწარმე გოგი თოფაძე გახლდათ. რა თქმა უნდა, იგი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში იყო და უგემრიელეს ლუდთან ერთად ხალისით არიგებდა ინტერვიუებსაც.



— ეს რა, თქვენი პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წინასაარჩევნო აქციაა, თუ? — არ ცხრებოდნენ ცნობისმოყვარე ჟურნალისტები...

— არა, ეს უკვე ტრადიციად ქცეული ქართული ლუდის ზეიმია, — ამბობდა გოგი თოფაძე — განა არ შეიძლება, ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე, ასე თბილისურად შევიკრიბოთ, მოვეფეროთ ერთმანეთს? ლუდი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ საბაბია, რომელიც ცოტა ხნით მაინც დაგვავიწყებს იმ პრობლემებს, რაც ასე გვაღელვებს უკანასკნელ წლებში. რაც შეეხება პოლიტიკას, როგორც ხედავთ, არც წინასაარჩევნო ლოზუნგებითა და მოწოდებებით და არც სამიტინგო დეკლარაციებით არავის ვაწუხებთ.

ერთადერთი ზემოქმედება, რომელიც დღეს ამ ზეიმის ჟიურისა და წამყვანთა მიერ განხორციელდება, იქნება პირამდე სავსე ლუდის კათხები და „ხელჩართული ომი" იმისათვის, თუ ვინ რამდენს დალევს... დღეს ეს არის მთავარი — ამბობს გოგი თოფაძე.

სცენაზე განლაგებულ მაგიდებზე სავსე კათხების მთელი ჯარია გამოლაგებული... მის მიღმა თბილისის ყველა უბნიდან საპაექროდ მოსული „ლუდის ყოჩებიც" განლაგდნენ. აი, სასტვენიც და, იწყება რაც იწყება — სულმოუთქმელად, ზედიზედ იცლება კათხები... არის ერთი ჟრიამული, გამხნევება, შეძახილები... ვაჟებში პირველობა „ნახალოვკელებს" დარჩათ, ქალებში კი პირველობა არავის დაუთმო ჩვენმა გერმანელმა სტუმარმა ქალბატონმა მარგარეტმა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ვაჟებში — 7 კათხა იყო, ქალებში — ოთხი. ეს ჟიურიმ ძალზე დაბალ მიღწევად შეაფასა, მაგრამ... რას ვიზამთ, „ყაზბეგი" იყოს და ლუდის სმასაც ვისწავლოთო, გულს იკეთებდნენ თბილისელები.

ვუცქერდი და ჩემთვის ვფიქრობდი — თურმე რა ცოტა რამ არის საჭირო იმისათვის, რომ ცხოვრებას მომავლის იმედის თვალით შევხედოთ და ვივარაუდოთ, რომ ქართულ ლუდს, თუ თოფაძესავით მოვინდომებთ, აუცილებლად უნდა მოჰყვეს ქართული ტრაქტორი, თვითმფრინავი, ავტომანქანები, გლეხური საწარმოები.

სწორედ ამაზე იყო საუბარი გაშლილ მაგიდებთან ჩვენი სახალხო არტისტი ბორის წიფურია მისთვის ჩვეული ხალისით „ქოთქოთებს", ვატყობ, ძალიან მოსწონს აქაური ატმოსფერო. ჯერ ლუდს ითხოვს, მერე კი — სიტყვას. სცენაზეც გადის და:

— ეს დღე მარტო ქართული ლუდის, მისი სმის დღე არ არის — ეუბნება იგი საზოგადოებას, — ეს იმედის დღე არის. ჩვენ აქ სწორედ იმედმა მოგვიყვანა... როცა თოფაძის ნახელავს ვსვამთ, ცხადია, — უპირველესად იმაზე ვფიქრობთ, რომ თურმე შეგვწევს უნარი სხვაზე არანაკლებ ხარისხიანი პროდუქტი ვაწარმოოთ, მოვიხმაროთ და ჩვენს ბაზარზეც დავამკვიდროთ... სწორედ ამ იმედისთვის ვუხდით უღრმეს მადლობას ბატონ გოგი თოფაძეს, რომელმაც დღეს ასეთი ლამაზი ზეიმი გვაჩუქა...

ქართული ლუდის ზეიმი ვერის პარკში დიდხანს გაგრძელდა სიმღერებით, კონკურსებით, ხალისიანი საუბრებით. ლუდის დღეს ზეიმობდა თბილისი.

გია ჭელიძე.
ჯემალ კასრაძის ფოტო

ჩვენებურები

„ოქროს საწმისი" ციმბირშიც ყოფილა

ამას წინათ, რედაქციაში ახალგაზრდა კაცი გვესტუმრა — ბესიკ ფაცაცია; გაცნობის შემდეგ თქვა, მინდა „ოქროს საწმისის" შესახებ გიამბოთ ცოტა რამ და თუ მიიჩნევთ, რომ მკითხველი დაინტერესდება, ეგებ, მომცრო ინფორმაცია გაუზიაროთო. კი ვიფიქრე, ოქროს საწმისზე ახალი რა უნდა თქვას-მეთქი, მაგრამ საუბრის დასაწყისშივე ყველაფერი გაცხადდა — „ოქროს საწმისი", თურმე, ჩელიაბინსკში გახსნილი ქართული ეროვნული კულტურის ცენტრისთვის დაურქმევიათ, ბესიკ ფაცაცია კი, ამ ცენტრის პრესსამსახურს ხელმძღვანელობს.

ქალაქ ჩელიაბინსკში, რუსეთის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან, დიდ ინდუსტრიულ ცენტრში, და მის შემოგარენში, თურმე, რამდენიმე ათასი (ხუთი ათასზე მეტი) ქართველი ცხოვრობს. ამ უკვე მკვიდრ მოსახლეობას, 1993 წლიდან ორი ათასამდე ლტოლვილიც შემატებია აფხაზეთიდან. ცხადია, შორეულ ციმბირში, მათი მთავარი იმედი და დასაყრდენი სწორედ ადგილობრივი ქართველობა იქნებოდა. არც შეცდნენ, — თანამოძმეებმა შეძლებისდაგვარად იმთავითვე გაუმართეს ხელი. თანდათან, ჩელიაბინსკის ქართულ სათვისტომოსაც ჩაეყარა საფუძველი, პერიოდული თავშეყრის ადგილად კი, ჩელიაბინსკის საბავშვო თეატრი ქცეულა, სადაც მთავარ რეჟისორად თენგიზ მახარაძე მოღვაწეობს. თანდათან ჩამოყალიბებულა აზრი, რომ ქართული სათვისტომოსთვის უპრიანი იქნებოდა საკუთარი კერის შექმნა, საკუთარ ჭერქვეშ დაბინავება. ეს აზრი გაუთავისებია იქ მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს ვლადიმერ პერტიას და თანამემამულეებს დაპირებია, რომ ქალაქის ცენტრში ააგებდა (ცხადია, საკუთარი სახსრებით) ხუთსართულიან შენობას, რომელშიც განთავსდებოდა ქართული კულტურის ცენტრი. მალე, სიტყვა საქმედ ქცეულა და წლეულს გაზაფხულზე, ჩელიაბინსკელმა ქართველებმა ახალსახლობაც იზეიმეს. ქართული ეროვნული კულტურის ცენტრის შექმნაში ვლადიმერ პერტიასთან ერთად (რომელიც დღეს უკვე ამ ცენტრის თავმჯდომარეა), დიდი წვლილი შეუტანიათ რუსეთის ფედერაციის დამსახურებულ მშენებელს ზაურ ბესელიას, თენგიზ მახარაძეს, ექიმს, პროფესორ არსენ დარჯანიას, ბიზნესმენ თამაზ გოგოლაძეს. ამ წამოწყებას ყურადღებას არ აკლებდნენ, თურმე, ჩელიაბინსკის მერი ვიაჩესლავ ტარასოვი და მერიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი იური შიშოვი.

ჯერ კიდევ არ ყოფილა დასრულებული მშენებლობა, როდესაც მისი ნაწილი სპორტულ კომპლექსს დათმობია — საცურაო აუზს, კრივის რინგს, საჭიდაო ტატამს, საბილიარდოებს. მალე ქართული, ეროვნული ქორეოგრაფიული ჯგუფიც დაარსებულა. ქართველი ბავშვები დიდი სიხარულით ეუფლებიან, თურმე, მშობლიური ცეკვის საიდუმლოებას (თუმცა, ჯერჯერობით, ეროვნული სამოსის უქონლობის გამო, მათ შემოქმედებას ჯერ არ იცნობს აუდიტორია). წლეულს ამოქმედებულა ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის შემსწავლელი კურსებიც, შემდგომ კომპიუტერული კლასებიც. და აი, გაზაფხულზე მარტის მიწურულს, საზეიმოდ გახსნილა ქართული ეროვნული კულტურის ცენტრი „ოქროს საწმისი", რაშიც რუსეთის სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე ქართველებს, ხელოვნების მოღვაწეებსაც მიუღიათ მონაწილეობა, პრეზენტაცია ამავე ცენტრში გახსნილ რესტორან „საქართველოში" დაგვირგვინებულა, რომლის კედლების მოხატულობა თურმე სტუმრებს საქართველოს აცნობს. მას შემდეგ, „ოქროს საწმისში", რომლის შენობის სახურავზე საქართველოს და რუსეთის დროშები ფრიალებს, არაერთი კულტურული ღონისძიება გამართულა, რომელთაც არც აუდიტორია მოკლებია.

სამომავლოდ „ოქროს საწმისის" მესვეურთ გადაწყვეტილი აქვთ კულტურის ცენტრის ბაზაზე ქართული სკოლის გახსნა, ვოკალური ანსამბლის ჩამოყალიბება, სურთ ქართული გაზეთის დაარსებაც, უფრო მეტიც, კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ალბათ მალე, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც აშენდება.

არსებობის ამ მოკლე დროში „ოქროს საწმისს" საქმიანი, შემოქმედებითი კავშირი დაუმყარებია რუსეთში არსებულ სხვადასხვა ხალხთა, ეროვნებათა კულტურის ცენტრებთან, მათ შორის, გერმანულ, ებრაულ, უკრაინულ და სხვა ცენტრებთან, რაშიც ქმედით დახმარებას, თურმე, მოსკოვის ქართული სათვისტომოც უწევს.

„ოქროს საწმისში" არის ბიზნეს-განყოფილებაც, რომელიც ეხმარება ქართველებს ყოფითი პრობლემების მოგვარებაში და რომელსაც სურს მჭიდრო კომერციული კავშირი, ურთიერთობა საქართველოს საქმიან წრეებთან.

დაბოლოს, როგორც ბესიკ ფაცაციამ აღნიშნა, „ოქროს საწმისის" უმთავრესი მიზანი, ჩელიაბინსკში მცხოვრები ქართველების კეთილდღეობაზე ზრუნვასთან ერთად, ქართული ფენომენის საუკეთესო სახით წარმოჩენაა.

როგორც ჩანს, ჩელიაბინსკის ქართული ეროვნული კულტურის ცენტრს კარგი მისია უკისრია და ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ზურაბ ოიკაშვილი.

ელცინის „იზვესტიისადმი“ მიცემული დაკარგული ინტერვიუ,

რომელშიც შეიძლება პრეზიდენტმა განაცხადა პოსტის ვადამდე დატოვების შესახებ

ბორის ელცინის მიერ „იზვესტიის“ შაბათის ნომრისათვის ჯერ კიდევ პარასკევს მიცემული და დღემდე გამოუქვეყნებელი ინტერვიუ რუსეთის პოლიტიკური სცენის მოსალოდნელი ძვრების ეპიცენტრშია: ელცინის შესაძლო გადადგომა და პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები, რომელიც ასეთ შემთხვევაში წელსვე გაიმართება სათათბიროს არჩევნებთან ერთად ან უფრო ადრეც კი. „იზვესტიის“ ხელმძღვანელობასთან დაახლოებული წრეების ცნობით, შეფერხების მიზეზი გახდა ის, რომ ელცინმა შეასწორა გაზეთის მთავარი რედაქტორის მიხეილ კოჟოკინის მიერ მისთვის დასმულ ბოლო კითხვაზე თავისი პასუხის ტექსტი. თავდაპირველ რედაქციაში, რომელიც „იზვესტიის“ რედაქციამ წარუდგინა პრეზიდენტს ვიზირებისათვის, ბოლო კითხვა და მასზე გაცემული პასუხი ასე ჟღერდა:

მ. კოჟოკინი: და ბოლო კითხვა, ბატონო პრეზიდენტო. გიფიქრიათ თუ არა, რომ ოდესმე მემუარებს ჩაუჯდებით? მათ ხომ, ალბათ, მთელი მსოფლიო დაელოდება...

ბ. ელცინი: ახლა ვფიქრობ, რომ ჯერ ნაადრევია. ასეთი სამუშაოსათვის დრო არ მაქვს. მაგრამ მომავალ წელს, როგორც ჩანს, ასეთი შესაძლებლობა მომეცემა. მაგრამ შემდეგ პრეზიდენტმა იმავე ფრაზის სხვა რედაქცია შესთავაზა გაზეთს, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება:

„მაგრამ მომავალი წლის დამდეგიდან ასეთი შესაძლებლობა გამიჩნდება...“

ამ ფორმულირებით ელცინი პირველად ადასტურებს საჯაროდ ბოლო დროს მოარულ ხმებს, რომ იგი გადადგომას აპირებს, რაც, კონსტიტუციის თანახმად, რუსეთისთვის ნიშნავს „დროებითი მთავრობის“ წარმოქმნას და პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს (მაგალითად, სათათბიროს არჩევნების ერთდროულად). პოსტიდან ელცინის ვადამდელი („აქტიური“) წასვლის პროგნოზს შეიცავდა, კერძოდ, ალექსანდრე გუდბერგის სტატია „ელცინი კარტს გირევს“, რომელიც „მოსკოვსკი კომსომოლეცმა“ გამოაქვეყნა ამა წლის 25 ივნისს.

ჩვენი ინფორმაციით, „იზვესტიაში“ ინტერვიუს გამოქვეყნების დაყოვნება დაკავშირებულია სწორედ იმ ცდასთან, რომ შეათანხმონ ერთმანეთთან ელცინის პასუხის ორი ვერსია. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ცდილობს დაარწმუნოს ელცინი, რომ ინტერვიუს ტექსტში დატოვოს ნეიტრალური ფორმულირება და თავი შეიკავოს ვადამდე გადადგომის გამოცხადებისაგან. რადგან ეს ცდები გრძელდება, „იზვესტიაში“ ინტერვიუს გამოქვეყნებას უმკაცრესი ემბარგო ადევს და „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის ხელთ არსებულ ტექსტს ჯერ არა აქვს ელცინის ხელის მოწერა, თუმცა, გაზეთის ბოლო გამოშვებაში მკითხველს შეჰპირდნენ, რომ პრეზიდენტის ინტერვიუ „გაზეთის უახლოეს ნომერში“ დაიბეჭდებოდა.

GAZETA. RU.

ნატოს დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა კოსოვოს შესახებ მოლაპარაკებისათვის

კვირას მოსკოვში ჩავიდა ნატოს უმაღლესი დონის დელეგაცია, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი ოფიციალური ინფორმაცია არ არის კოსოვოში რუს მშვიდობისმყოფელთა როლის შესახებ მოლაპარაკების დაწყებასთან დაკავშირებით. შეერთებული შტატების მოსკოველ ელჩს მიაჩნია, რომ მოლაპარაკება, რომლის მიზანია გადაწყვიტოს მოსკოვსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის წარმოქმნილი უთანხმოება, ორშაბათს დილისით დაიწყება. განვლილ უქმე დღეებში ალიანსმა გზა გადაუკეტა კოსოვოსაკენ რუს სამხედროებსა და სატრანსპორტო თვითმფრინავებს და თხოვნით მიმართა უნგრეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს, დაეხურათ საჰაერო დერეფანი, სანამ არ მოწესრიგდებოდა რუსეთელ მშვიდობისმყოფელთა განლაგებასთან დაკავშირებული უთანხმოება. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იტყობინება, ძირითადი საჯილდაო ქვა არის კვლავ რუსეთის კონტინენტის დაქვემდებარების საკითხი.

ცნობილი სერბი ოპოზიციონერი ბელგრადში დაბრუნდა

ცნობილი სერბი ოპოზიციონერი, დემოკრატიული პარტიის ლიდერი ზორან ჯინჯიჩი ბელგრადში დაბრუნდა, სადაც მას აღფრთოვანებით შეხვდნენ მისი მომხრეები. ბელგრადის აეროპორტში გამოსვლისას, ჯინჯიჩმა კვლავ გაიმეორა, რომ სლობოდან მილოშევიჩმა უნდა დატოვოს თავისი პოსტი და ქვეყანაში გამოცხადდეს თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები, მანამ კი ძალაუფლება გარდამავალ მთავრობას უნდა გადაეცეს. დემოკრატიული პარტია, რომელსაც ჯინჯიჩი უდგას სათავეში, გარდაქმნის მომხრე პროდემოკრატიული ალიანსის მოკავშირეა, რომელიც ანტისამთავრობო დემონსტრაციების სერიას აწყობს მთელ სერბეთში. როგორც კორესპონდენტები იტყობინებიან, ჯინჯიჩის დაბრუნება საფრთხეს უქმნის მილოშევიჩს. მთავარი საკითხია ახლა გაერთიანდება თუ არა იგი ოპოზიციის ისეთ ლიდერებთან, როგორიც არის ვუკ დრაშკოვიჩი, რომელიც ვიცე-პრემიერის პოსტიდან გაათავისუფლეს იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს კამპანიის დროს.

მშვიდობიანად დამთავრდა პროტესტანტთა მარში ჩრდილოეთ ირლანდიაში

NO SURRENDER FOR SINN FEIN-IRA

ორანჟისტთა პროტესტანტული ორდენის აღლუმმა ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობიანად ჩაიარა. იმ საშიშროების მიუხედავად, რომ შეიძლებოდა შეტაკება მომხდარიყო მარშის მონაწილეებსა და უმიშროების ძალების წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც სპეციალური ბარიკადები აღმართეს და გზა გადაუღობეს კოლონას კათოლიკური კვარტალებისაკენ. ორანჟისტთა ორდენის ლიდერებმა მოუწოდეს თავიანთ მომხრეებს, თავი შეეკავებინათ ძალადობისაგან. მას შემდეგ, რაც მათ სამხედროებს გადასცეს წერილობითი პროტესტი მარშრუტის გადაკეტვის გამო, დემონსტრანტები მშვიდობიანად დაიშალნენ. ღამით მაინც მოხდა შეტაკებები პროტესტანტებსა და პოლიციელებს შორის, მაგრამ ეს არაფერი იყო წინა წლების მღელვარებასთან შედარებით, როცა უშიშროების ძალების წინააღმდეგ იყენებდნენ ტყვიებს და ასაფეთქებელ მოწყობილობებს. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტმა თქვა, ახლა ყურადღების ცენტრში იქნება ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობათა წინადადებები, რომელთა მიზანია კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა ჩრდილოეთ ირლანდიაში.

სტამბოლში აფეთქება მოხდა

თურქეთის უდიდეს ქალაქ სტამბოლში აფეთქება მოხდა. ერთი ადამიანი დაიღუპა და სულ ცოტა ოცი დაიჭრა, თანაც, აქედან ხუთი მძიმედ არის დაჭრილი. აფეთქება მოხდა ხალხმრავალ დასვენების პარკში. სტამბოლის ადმინისტრაციის მეთაურმა ეროლ ჩაკირმა დაჭრილების მონახულების შემდეგ თურქეთის ტელევიზიით განაცხადა, რომ ეს იყო, ალბათ, დატოვებული ნაგვის ყუთში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. ჯერჯერობით არაფერს ამბობენ ამ აფეთქების შესაძლო ორგანიზატორებზე. მაგრამ, როგორც კორესპონდენტები იტყობინებიან, ეჭვი დაუყოვნებლივ მიიტანეს ქურთ მუშათა პარტიის სეპარატისტებზე. მათ ლიდერს აბდულა ოჯალანს გასულ კვირას თურქეთის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ძალადობის კამპანიისათვის, რომელიც ხორციელდებოდა დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის მიღწევის მიზნით.

შეერთებული შტატებისა და პაკისტანის დეკლარაცია ქაშმირთან დაკავშირებით

პრეზიდენტ კლინტონისა და პაკისტანის პრემიერმინისტრის ნავაზ შარიფის ვაშინგტონში მიმდინარე სამსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ მხარეებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელიც შეიცავს ვალდებულებას, გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ინდოეთისა და პაკისტანის ქაშმირის ნაწილებს შორის გამყოფი ხაზის აღდგენის მიზნით. განცხადებაში არაფერია ნათქვამი სავარაუდო ღონისძიებების დეტალებზე, მაგრამ, როგორც ამერიკის ოფიციალურმა პირებმა თქვეს, პაკისტანი ყოველ ღონეს იხმარს ისლამისტ ბოევიკთა გასაყვანად, რომლებსაც, მაისიდან მოყოლებული, დაკავებული აქვთ პლაცდარმი ინდოეთის ქაშმირის ნაწილში. როგორც ბი-ბი-სისათვის ინტერვიუში განაცხადა მაღალი თანამდებობის პაკისტანელმა ჩინოვნიკმა, ისლამაბადის მთავრობა შეეცდება დაარწმუნოს ბოევიკები, რომ დათმო პოზიციები. როგორც მან თქვა, მათ მიაღწიეს მთავარ მიზანს — მსოფლიო საზოგადოებრიობამ შეიტყო, თუ რა გაჭირვება ადგას ქაშმირელ ხალხს. დელის თანახმად, ბოევიკებს აქტიურად უჭერს მხარს პაკისტანის არმია, მაგრამ პაკისტანი უარყოფს ამას.

რასისტმა მკვლელმა თავი მოიკლა

შეერთებული შტატების დასავლეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, ბენჯამინ სმიტმა, რომელიც რასობრივ ნიადაგზე მკვლელობათა სერიის ჩადენაში იყო ეჭვმიტანილი, თავი მოიკლა, როცა მის მანქანას პოლიცია მისდევდა. როგორც დაზვერვის ფედერალური ბიუროს წარმომადგენელმა განაცხადა, სმიტმა გაიტაცა ავტოფურგონი და დიდი სიჩქარით ცდილობდა დასხლტომოდა პოლიციას. სმიტი იყო იმ ავტომობილის მფლობელი, რომელიც პარასკევს დაწყებულ თავდასხმათა სერიის დროს გამოიყენეს. ამ თავდასხმების შედეგად კი დაიღუპა ორი კაცი: ზანგი, კალათბურთის ყოფილი მწვრთნელი ჩიკაგოში და კორეელი ბლუმინგტონში (ინდიანას შტატი). კიდევ ექვსი ორთოდოქსი ებრაელი და ერთი აზიური წარმოშობის ადამიანი დაჭრეს. ცოტა ხნის წინათ, სმიტი აშკარად რასისტული დაჯგუფების წევრი იყო, რომელიც შემოქმედის მსოფლიო ეკლესიის სახელით არის ცნობილი. როგორც ამბობენ, იგი ანტისემიტურ ლიტერატურას ავრცელებდა ინდიანას უნივერსიტეტში.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან
ლია გოგიჩაიშვილი, კახა ძორიძე.

რაგბი

და აიჭრა ცაში ოვალური ბურთი

უნებურად „პირველი მერცხალი“ გამახსენდა: მზე დასავლეთისკენ გადაიხარა თუ არა, მალთაყვის სასტუმრო კომპლექსის ტერიტორიაზე ჯგუფ-ჯგუფად მომავალი, კუნთმაგარი, გარუჯული, ფეხშიშველა ბიჭები გამოჩნდნენ. მათ ქოლგიანი მანდილოსნები და ჯოხზე დაყრდნობილი ბერიკაცებიც მოჰყვნენ, მერე მსუბუქი ავტომანქანებიც მოთუხთუხდნენ, ზღვისპირა მოედნის კიდესთან ძალუმად ამოიხვნეშეს და მიყუჩნდნენ. სამაგიეროდ, მოედნის ირგვლივ თავმოყრილი ხალხის ქოთქოთს არ უჩანდა ბოლო. მოზრდილები მალიმალ იხედებოდნენ საათზე: ისინი არაჩვეულებრივი მოვლენის მოწმენი უნდა გამხდარიყვნენ.

და აი, საღამოს ექვს საათზე ჰაერში აიჭრა ოვალური ბურთი და ფოთის სპორტის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა — პირველ სარაგბო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ფოთის „კოლხი რაინდები“ და ქუთაისის „აია“...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქუთაისის „აიას“ ყოფილი მორაგბე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების კავალერი ამირან შავგულიძე და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი **რამაზ ბერაძე** ფოთის მერს აკაკი დარჯანიას ეწვივნენ ქალაქში სარაგბო გუნდის ჩამოყალიბების იდეით. მერმა ქალაქის სპორტკომიტეტის მესვეურებს უხმო, ითათბირეს და... ფოთში პირველად შეიქმნა რაგბის სპეციალიზებული სკოლა (დირექტორი ვალერი კუპრეიშვილი), რომელშიც 1983 წელს და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები მიიღეს.

აკაკი დარჯანია, ფოთის მერი: სპორტი სოლიდურ დაფინანსებას მოითხოვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით საამისო ბიუჯეტი არ გაგვაჩნია. ამის მიუხედავად, მაინც შევძელით, შეძლებისდაგვარად შევშველებოდით ენთუზიასტებს. ამირანს და რამაზს დიდი დახმარება გაუწიეს, აგრეთვე, სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ ხომერიკმა და სასტუმრო „მალთაყვის“ გენერალურმა დირექტორმა გივი ხომერიკმა, რომელმაც სასტუმროს ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედანი სარაგბო მოედნად აქცია. შედეგიც სახეზეა: ფოთს ჰყავს პირველი მორაგბეთა გუნდი, რომელიც ნოყიერ ნიადაგზე იშვა. მართალია, ზღვისპირელებს რაგბის ტრადიცია არა აქვთ, მაგრამ სამეგრელოსა და გურიაში ხომ უხსოვარი დროიდან თამაშობდნენ ლელოს. უკვე გარკვეულ შედეგებს ვხედავთ, ამიტომ ქალაქის მერია მეტ ყურადღებას დაუთმობს სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის განვითარებას და, იმედია, ფოთელი მორაგბეებიც არ გვიმტყუნებენ.

ამირან შავგულიძე, „კოლხი რაინდების“ მთავარი მწვრთნელი: მარშან, სექტემბერში, ბიჭების შერჩევა რომ დავიწყეთ, ბევრმა სკეპტიკურად შეხედა ჩვენს ინიციატივას. თუმცა, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ხელი გაგვიმართეს, მორალურად გაგვამხნევეს. უპირველესად ეს ითქმის ქალაქის მერზე, რომელიც რამდენჯერმე ვარჯიშზეც კი გვესტუმრა. სანამ ოთარ და გივი ხომერიკები მოედნის საკითხს მოგვიგვარებდნენ, სამხედრო ლიცეუმის დირექტორმა კოტე ჭანტურიამ სასწავლებლის სპორტული დარბაზი და მოედანი დაგვითმო სავარჯიშოდ. მეცენატობას გვიწევს ყოფილი მორაგბე თამაზ ხომერიკი. ჩვენც ვცდილობთ ვალში არ დავრჩეთ. ჩამოვაყალიბეთ გუნდი 1985-1986 წლებში დაბადებული ბიჭებისაგან. პირველი ოფიციალური მატჩები თბილისში ვითამაშეთ — 14-15 ივნისს. „თბილისურ ზაფხულში“ 12 „მეიდკაცა“ მონაწილეობდა, რომლებიც ოთხ სამგუნდიან ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველი პაექრობა „ყოჩებთან“ გვქონდა, ცხადია, თანატოლებთან და მოვუგეთ, მერე დედაქალაქის „მარდთან“ დავმარცხდით. საბოლოოდ, მე-8 ადგილი დავიკავეთ, რაც ურიგო დებიუტი სულაც არ არის. ახლახან 1985-1986 წლებში დაბადებულ მორაგბეთა საქართველოს პირველობაში ჩავებით. დასავლეთ ზონაში მხოლოდ ოთხი გუნდი ასპარეზობს — ქუთაისის „აია“, ზესტაფონის „მეტალურგი“, სენაკის „ტექნოირსი“ და ფოთის „კოლხი რაინდები“, რადგან ბათუმელებმა და ქობულეთელებმა შეჯიბრებაზე უარი თქვეს. პირველი მატჩი „ტექნოირსს“ მოვუგეთ სტუმრად 21:17, რაც უკვე გვაძლევს შანსს ფინალში მოსახვედრად.

ოთარ ხომერიკი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე: სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარება სათანადო ბაზის უქონლად წარმოუდგენელია. რადგანაც ფოთში რაგბის დანერგვა გადავწყვიტეთ, ხელიც უნდა შევუწყოთ მას. ამ მოედანს რომ უყურებთ, უწინ აქ ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ ჭაობიანი ადგილია და წვიმის შემდეგ გუბეები იდგა. აკაკი დარჯანიას და გივი ხომერიკის დახმარებით, 600 მანქანა ქვიშა შემოვზიდეთ და აქაურობა მოვზვინეთ, მერე ძელები დავდგით. სუფსის ტერმინალიდან ერთი სპეციალური ვაგონი შევიძინეთ, რომელშიც სულ მალე მწვრთნელთა ოთახს, გასახდელსა და სამხაპეს მოვაწყობთ. ტერმინალში ერთი ახალზელანდიელი ყოფილი მორაგბე გავიცანით, რომელმაც ბურთი გვაჩუქა და რამდენიმეს კიდევ დაგვპირდა. ბიჭებს ფორმებიც შევუძინეთ. მალე სტადიონს ტრიბუნები და მსაჯთა ოთახიც ექნება. სტუმრების მისაღებად სასტუმრო არა გვაქვს საძებნი და აქტიური დასვენებისთვის — ზღვა და ქვიშა. წყალსათხილამურო ბაზაც აქვეა. იმასაც გაგიმხელთ, რომ აქაურობის საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტულ კომპლექსად გადაქცევა გვინდა, თუ სათანადო ფინანსური დახმარება იქნა...

რაც შეეხება პირველ სარაგბო მატჩს ფოთში, მისი საზეიმო გახსნისას შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმნენ ქალაქის მერი აკაკი დარჯანია, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ხომერიკი, ფოთის განათლების, ინოვაციისა და კოორდინაციის ცენტრის დირექტორი ნუგზარ კეკელია, საქართველოს რაგბის კავშირის ალმასრულებელი კომიტეტის წევრი, გაზეთ „ოვალური სამყაროს“ რედაქტორი ალექსანდრე ქურდღობაძე.

...და აიჭრა ოვალური ბურთი ჰაერში. დაეჯაჯგურნენ ჯანმაგარი ბიჭები ერთმანეთს. „აია“ უფრო მობილური აღმოჩნდა. „კოლხ რაინდებს“ არ ეყოთ ბოლომდე ძალა და გამოცდილება, აკი დამარცხდნენ კიდეც — 5:19. თვალცრემლიანებმა გააცილეს ავტობუსისკენ ხტუნვა-ხტუნვით მიმავალი რიონისპირელი თანატოლები, გულში კი უკვე რევანშზე ფიქრობდნენ.

კვლავ „პირველი მერცხლის“ კადრები ამიდგა თვალწინ...

ვაჟა დანელია,
„სრ“ სპეც. კორ.
ფოთი.

სურათებზე: და აიჭრა ცაში ოვალური ბურთი; ქალაქისა და სპორტკომიტეტის მესვეურები (ცენტრში ფოთის მერი აკაკი დარჯანია) თვალყურს ადევნებენ „კოლხი რაინდებისა“ და „აიას“ მატჩს; „კოლხი რაინდები“.

ავტორის ფოტო.

კალათბურთი

ოთხმოციანელთა ნაკვალევზე

გახსოვთ იტალიური კალათბურთის „ოქროს ხანა“? დიახ, იმ თაობას ვგულისხმობ, რომელმაც „სკუადრა აძურას“ 1983 წელს ევროპის ჩემპიონობა მოუპოვა. მარზორატი, მენეგინი, ვილალტა, საკეტი, ბრუნამონტი და ძმანი მათნი ოლიმპზე საფრანგეთში ავიდნენ.

და აი, 16 წლის შემდეგ, ისევ საფრანგეთში, გამოჩენილი ტაქტიკოსი მწვრთნელის ბოგდან ტანიევიჩის ბიჭები ფინალში სწორედ მაშინდელ მეტოქეს — ესპანეთის გუნდს მორიგ დაუვიწყარ გაკვეთილს უტარებენ და იმეორებენ წინამორბედთა წარმატებას. მაიერსი, აბიო, ფუჩკა, დე პოლი, მარკონატო, გალანდა, ბაზილე, კვლავ მენეგინი (ამჯერად ანდრეა — ლეგენდარული დინოს ვაჟი)... აი, ის ბიჭები, რომლებმაც დაამსხვრიეს ყველა პროგნოზი და საკუთარ თავზე ამაღლდნენ.

გათამაშების დებულებით, სავსებით შესაძლებელია ტურნირის განმავლობაში ორი მატჩი წააგო და, მაინც, ფინალისტი გახდე. ტრიუმფატორებმა ხორვატებთან და ლიტველებთან წაიფორხილეს, იბერიელთა ძლევა კი სლოვენიელებმა და ასპარეზობის მასპინძლებმა (ქვეჯგუფში) მოახერხეს. ასე რომ, მათს მიღწევას უდავოს ნამდვილად ვერ უწოდებს კაცი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ გადამწყვეტ ეტაპზე, როცა ბრძოლა ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა, თითოეულმა მათგანმა სამაგალითო ნებისყოფა გამოამჟღავნა და ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან ფავორიტები. ახლა კი მოკლედ დასკვნითი დუელის შესახებ.

თამაშის პირველი და მეორე ტაიმების სცენარი ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს: აპენინელთა სასტარტო შტურმი და მეთოთხმეტე წუთზე ისინი 15 ქულით გადიან წინ — 24:9. ესპანელთა გამოფხიზლება სხვაობის განახევრებით მთავრდება — 24:32. მსგავსი სურათია მესვენების შემდეგაც — 50:30 იტალიელთა სასარგებლოდ 32-ე წუთზე. დროის დარჩენილ მონაკვეთში ლოლო საინსის განწირულ შეგირდთა უკანასკნელი გაბრძოლება და ტაბლოზე, ასე თუ ისე, საპატიო საბოლოო შედეგი ფიქსირდება — 64:56.

იტალია ევროპის ჩემპიონია!

უპირველესმა ფავორიტმა — იუგოსლავიამ 74:62 სძლია საფრანგეთს და ბრინჯაოს მედლების მოპოვებით ოდნავ თუ დაიკმაყოფილა ამბიციები.

საუკეთესოთა ხუთეულში ლიტველებიც დამკვიდრდნენ, რომლებმაც რუსები დაჯაბნეს — 103:72.

ფეხბურთი

სეზონი არ მთავრდება

ვინ თქვა, საფეხბურთო სამყაროში საზაფხულო არდადეგები დაიწყოო? ნურას უკაცრავად, დასასვენებლად არავის სცალია. პარაგვაიში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი იკრებს ძალებს, აშშ-ის სტადიონებზე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში კი ეროვნული ჩემპიონატებია გახურებული, თანაც, პოპულარული საკლუბო ტურნირებიდან ერთ-ერთმა — ინტერტოტოს თასის გათამაშებამ აიღო სტარტი. უკვე მეორე ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„პერუჯა“ — „პობედა“ 1:0, „არარატი“ — „სენტტრუიდენი“ 0:2, „ბაზელი“ — „ბობი“ 0:0, „ჩახლაული“ — „ედინსტვო“ 2:1, „ცემენტარნიცა“ — „როსტსელმაში“ 1:1, „იოკერიტი“ — „ფლორიანა“ 2:1, „ყარაბაღი“ — „მონპელიე“ 0:3, „ვენტსპილსი“ — „ქოჯაელისფორი“ 1:1, „კოპენჰაგენი“ — „პოლონია“ 0:3, „ჰამარბიუ“ — „გომელი“ 4:0, „ლოკერენი“ — „აკრანესი“ 3:1, „ქილინა“ — „მეცი“ 2:1, „დუისბურგი“ — „ნური თაუნი“ 2:0, „ქსამაქსი“ — „ვამაში“ 0:2, „რუდარი“ — „ლუსტენაუ“ 1:2, „ბრანი“ — „ვარტექსი“ 3:0.

ჭადრაკი

გიგანტების პაექრობა დამთავრდა



გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში დამთავრდა ჩვენი პლანეტის თანამედროვე ოთხი უძლიერესი მოჭადრაკის სუპერტურნირი სწრაფ ჭადრაკში. თითოეული პარტია გრძელდებოდა 25 წუთს.

მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი შედარებით იშვიათად მონაწილეობს ასეთ ტურნირებში და დიდი წარმატებებითაც ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ამჯერად მან სხვებზე უკეთ ითამაშა. ოთხწრიან შეჯიბრებაში გარიმ ქულანახევრით გაუსწრო ჩემპიონის გვირგვინისათვის თავის მთავარ მეტოქეს ვიში ანანდსა და ვლადიმერ კრამნიკს, რომლებმაც 6-6 ქულით მე-2-მე-3 ადგილები გაიყვეს. ბოლო ადგილზე გამოვიდა სწრაფ ჭადრაკში მრავალჯერ გამარჯვებული, პლანეტის მე-12 ჩემპიონი ანატოლი კარპოვი (5,5 ქულა ცამეტიდან).

როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, იქვე მიმდინარეობდა მეორე მაღალი კატეგორიის ტურნირიც — „მასტერს“, რომელშიც საქვეყნოდ ცნობილ დიდოსტატებთან ერთად მონაწილეობდა ელექტრომოჭადრაკე, კომპიუტერული პროგრამა „ფრიტც-6“. ამ ტურნირზე სწორედ მან გაიმარჯვა — 14 შესაძლებლიდან 9,5 ქულა დააგროვა და ნახევარი ქულით ჩამოიტოვა ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი და უნგრელი პეტერ ლეკო, მეოთხე ადგილზეა პეტერბურგელი პიოტრ სვიდლერი (7,5 ქულა).

მართალია, ეს დიდი ტურნირები დამთავრდა, მაგრამ ამით საჭადრაკო სეზონი როდი ამოიწურა, პირიქით, წინ უფრო დიდი ბატალიები მოგველის. ფიდეს მსოფლიო პირველობა ლასვეგასში, კასპაროვისა და ანანდის მატჩი ჩემპიონის გვირგვინისათვის, ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი კიშინიოვში, იქამდე კი მატჩი მსოფლიო საჭადრაკო დედოფლის ტახტის დასაპყრობად. ასე რომ, წლევანდელი ზაფხულ-შემოდგომა მძაფრი საჭადრაკო ბრძოლების ასპარეზი იქნება.

სპორტის რედაქცია.

ახალქალაქელი მითვისებლები

160 ათასი ლარის ოდენობის გადასახადების დამალვისათვის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ახალქალაქის რაიონის სოფელ კულიკანის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი, ბუღალტერი, ფერმის გამგე და ახალქალაქის გამგეობის ბუღალტერი, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს შსს პრესსამსახურში.

მეურნეობის დირექტორმა 35 წლის ნორიკ არაქელიანმა, იმავე მეურნეობის ბუღალტერმა 73 წლის არსანუშ მეკოიანმა, ახალქალაქის გამგეობის ბუღალტერმა 44 წლის სეტა აივაზიანმა 1996-97 წლებში სახელმწიფოს დაუმალეს 160 ათასი ლარის გადასახადი.

ხოლო იმავე მეურნეობის ფერმის გამგემ, 49 წლის გიორგი მენთოლიანმა მიითვისა მეურნეობის კუთვნილი 450 ლარის ღირებულების საქონლის ხორცი.

გამოძიებას აწარმოებს საოლქო პროკურატურა.

ყაჩაღობის მცდელობისათვის დააკავეს

ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის გაძარცვის მცდელობისათვის გლდანის პოლიციის თანამშრომლებმა სამი ახალგაზრდა დააკავეს, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

გიორგი ჩლაიძეს, ზვიად არაბულს და სახელმწიფო სპეციალური სამსახურის რიგით ვასილ გომაძეს დაკავებისას აღმოაჩნდათ 2 გადაჭრილი თოფი 4 ვაზნით, ორლესული ფიქსატორიანი დანა, ცრემლსადენი გაზის ბალონი და სამი ცალი ნიღაბი.

წინასწარი მოკვლევით დადგინდა, რომ მათ განზრახული ჰქონდათ თავს დასხმოდნენ მეტრო ახმეტელთან მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მომუშავე ბადელა ამირიანს. დადგინდა ისიც, რომ 20 მაისს, ღამით, მძარცველებმა შეაღწიეს 167-ე საშუალო სკოლის შრომის კაბინეტში, საიდანაც მოიპარეს სხვადასხვა დასახელების საზეინკლო ხელსაწყოები და გადამალეს ერთ-ერთი კორპუსის სარდაფში. ნივთმტკიცება ამოღებულია, გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!
თბილისის მართვის ინსტიტუტი
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1999-2000 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:
იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა სამართლისმცოდნეობა — 20-20 ადგილი;
ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობა საბაჟო საქმე (საბაჟო საქმიანობის ეკონომიკა და მართვა) — 20-20 ადგილი.
საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 11 სთ-დან 15 საათამდე. მისაღები გამოცდები 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე.
სტუდენტები გაივლიან სამხედრო მომზადებას — წოდების მინიჭების მიზნით, აგრეთვე სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას საქართველოს პროკურატურასა და საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტში.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრორაიონი, III კვარტალი, საბურთალოს გამგეობის ყოფილი შენობა. საკონტაქტო ტელეფონები: 53-65-46, 38-74-82.
რექტორატი.

ღიმილის დოზა

სამედიცინო ცნობიდან: „წარმატებული მკურნალობის შემდეგ ავადმყოფი გაეწერა პათოლოგანატომის მეთვალყურეობის ქვეშ“.

* * *

გერმანული იუმორი: — უკაცრავად, თქვენ გჯერათ პირველი ნახვით სიყვარულის, თუ ხელ კიდევ შემოვიარო?

* * *

მათხოვარი იმპოზანტურ მამაკაცს:

— უკაცრავად, სერ, ხომ არ მომცემდით 500 დოლარს ფინჯანი ყავისთვის?

— რაო?! განა 500 დოლარი ღირს ერთი ფინჯანი ყავა?

— თქვენის ნებართვით, ამ ყავას პარიზში დავლევდი.

* * *

კაცი პეიჯინგის კომპანიაში რეკავს:

— ალო, ქალიშვილო! 1114-ე აბონენტისთვის გადასაცემად ჩაიწერეთ: შვილო, პეიჯერი სახლში დაგრჩა!

გახსენება

თარიმან მაღრაძე

40 დღეა, რაც უშენოდ თენდება და ღამდება. მე კი მაინც ვსუნთქავ, დავდივარ, ვშრომობ... ცხოვრება გრძელდება, მაგრამ სული სიცარიელეს და მარტოობას დაუმძიმებია, გული კი მკვდარი იმედის სამარედ ქცეულა. უდროო და ყველასათვის მოულოდნელი იყო შენი სიკვდილი. ძლიერი, ახოვანი, ჯანსაღი და ლამაზი კაცი იყავი. სახელიც გამორჩეული გერქვა და სენიც ასეთივე შეგეყარა — უცნობი, თითქმის გამოუკვლევი, ვერაგი და უკურნებელი. მამასავით მოგიარა და ბოლომდე გიპატრონა შენმა სიძემ — მერაბმა, ზრუნვა და მცდელობა არ დაუკლიათ მის კოლეგებსა და თანამშრომლებს, რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელოვნური თირკმლის განყოფილების მუშაკებს, მაგრამ ამაო გამოდგა მათი ძალისხმევა. განგების წინაშე უძლურნი აღმოვჩნდით. სიკვდილმა გვაჯობა შენს სიყვარულში, დაგისაკუთრა და ჩვენგან წაგიყვანა...

თითქმის მთელი გაზაფხული საავადმყოფოში გაატარეთ. ეს პირველი გაზაფხული იყო, რომელიც შენს გაშენებულ ბაღში არ გაგიტარებია, სადაც გიყვარდა შრომა, ფუსფუსი, სადაც ყველა მცენარეს შვილივით ზრდიდი და ეფერებოდი. ბუნება გიყვარდა ძალიან, განსაკუთრებით შენი მშობლიური ბორჯომის ხეობა. იქ გინდოდა სიბერე გაგეტარებინა, შვილიშვილებში გეხარა, მათთვის ბუნებისა და სამშობლოს სიყვარული და შრომა გესწავლებინა. არ დაგცალდა.

ოცდაათი წელი ბურჯად ედექი ჩვენს თბილ ოჯახს. სხვათა ჭირის გაზიარების დიდი უნარი გქონდა, ყველასათვის ძლიერი დასაყრდენი და იმედის მიმცემი იყავი, ბევრი სიკეთე და კარგი საქმე აკეთე ამ ქვეყნად. ჩვენ ახლა მხოლოდ ერთად ყოფნა და სიმშვიდე გვინდოდა. რა ვუყო შენს მონატრებას, რით ამოვავსო ეს უზარმაზარი სიცარიელე სულში? ვიდრე ცოცხალი ვიქნები, ჩვენთან დარჩება შენი ტკივილებით გატანჯული მზერა, ბოლომდე მოთმენის შენეული უნარი და ის, საგანგებოდ ჩემთვის განკუთვნილი ღიმილი, რითაც ჩემს დამშვიდებას და გამხნევებას ცდილობდი და ახერხებდი კიდეც. მე ისევ შენი ძლიერი სულის იმედით ვარ, რომელიც იმ ქვეყნიდანაც მანუგეშებს და დამეხმარება. მარტო ოჯახს კი არა, ყველას დააკლდი, მთელს ნათესაობას, ყველა შენს მეგობარს და ნაცნობს. ყველას ენატრები, ბუნების დიდო ტრფიალო, ყველასათვის საყვარელო და ერთგულო ადამიანო. დაე, ბუმბულივით მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

მეუღლე ნანა ობოლაძე.

გიური თოდაძე

ერთი წელი გავიდა, რაც უბედურმა შემთხვევამ წაგვართვა შენი თავი. უსაზღვროა ჩვენი ტკივილი და მონატრება. სიკეთითა და სითბოთი სავსე გულით ალამაზებდი სამყაროს ყოფას. შენი სიყვარული მოაკლდა ყველას — ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ახლობლებს.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული, მსუბუქი იყოს შენთვის მადლიანი ქართული მიწა, რომელიც შენ ასე თავდადებით და ძლიერ გიყვარდა.

შენი ოლია და შვილები.

ანზორ, დათო, მანანა, კოტე, მიშიკო, ირმა ბალუაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძის
რაფი ბალუაშვილის (ბარლავის)
გარდაცვალებას.

გია შალამბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
რაფი ბარლავი (ბალუაშვილი)
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია თანაუგრძნობს საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალურ დირექტორს ბატონ ივერი შალამბერიძეს დედის
ვერა მიქიანი-შალამბერიძის
გარდაცვალების გამო.

რესპუბლიკური საზოგადოება „საქსოფლმშენკომპლექსი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „საქსოფლმშენკომპლექსის“ ბოლნისის ფილიალის დირექტორი
მიხეილ ლიპარტელიანი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

რომან ჩიჩუა

მოულოდნელად, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი, ისნის რაიონის გამწვანების სამსახურის უფროსი **რომან პავლეს ძე ჩიჩუა.**

რომან ჩიჩუა დაიბადა თბილისში, 1937 წელს. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1956 წლიდან 1966 წლამდე მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. შემდეგ სამუშაოდ გადავიდა ქალაქის გამწვანების სამსახურში და პარალელურად დაუსწრებლად დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სიცოცხლის ბოლომდე რომან ჩიჩუა დიდი სიყვარულით ემსახურებოდა ქალაქის გამწვანებასა და კეთილმოწყობას, არაერთი შესანიშნავი და საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმეს დაადგა თავი, რითაც ქალაქის მოსახლეობასა და გამწვანების მუშაკთა შორის დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა.

რომან ჩიჩუას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების ხსოვნაში.

ისნის რაიონის გამგეობა და გამწვანების სამსახური.

მარიამ (მალალო) ჩხეიძე

გარდაიცვალა ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომისა და ომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი **მარიამ (მალალო) ჩხეიძე.**

დაიბადა 1912 წელს ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1934 წლიდან 1988 წლამდე მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს ჰიდროლოგიისა და სახელმწიფო წყლის კადასტრის განყოფილებაში.

ჰიდრომეტსამსახურის სისტემაში მუშაობის პერიოდში მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლის საქმეში. მისი აქტიური მონაწილეობით გამოიცა ჰიდროლოგიური მონაცემების ცნობარები და წელიწდეულები, რომლებსაც ფართო გამოყენებითი ხასიათი აქვთ ეროვნული მეურნეობის მრავალ დარგში. ძირითადი მუშაობის პარალელურად, აქტიურად მონაწილეობდა სამსახურის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მალალო ჩხეიძე გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგულებით, მაღალი კულტურით, ღრმა ერუდიციითა და გულისხმიერებით. იყო ახალგაზრდა სპეციალისტების დამრიგებელი და აღმზრდელი. ის იყო ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება თავისი თაობის ადამიანებს შორის. სპეტაკი ზნეობისა და გამორჩეული სიკეთის მქონე, სიცოცხლით სავსე, სამშობლოს მოსიყვარულე. ის იმ ადამიანთა წრეს ეკუთვნოდა, რომელიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა გარშემომყოფებზე, რითაც დაიმსახურა დიდი ავტორიტეტი კოლეგებსა და მეგობრებს შორის. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის, ქალბატონო მალალო, მშობლიური მიწა.

ახლობლები, მეგობრები და კოლეგები ყოველთვის თბილად გაგიხსენებთ, როგორც შესანიშნავ, გულისხმიერ და საყვარელ ადამიანს.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი რადიოჟურნალისტი, შესანიშნავი კოლეგა და მეგობარი
მედეა ზეზეშიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი მარინე, სიძე დავით მამაცაშვილი, შვილიშვილები ათინათ, გიორგი, რძალი ნათელა იანქოშვილი უწყებიან, რომ გარდაიცვალა
აპოლონ შალვას ძე ავალიანი
პანაშვიდი 6, 7 VII, 5 სთ. გამოსვენება 8 VII, 2 სთ. ჭონქაძის ქ. 10ა. II სადარბაზო.

საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
რომან პავლეს ძე ჩიჩუა
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ თენგიზ ბაქანიძეს დედის
ნუნუ ბაქანიძის
გარდაცვალების გამო.

შვილი ლევან მინდელი, ძმა შოთა, რძლები ცაცა, თამარ, ძმისწულები გოგი, მანანა, ქეთინო ახვლედიანები ოჯახებით, მაზლიშვილები ხათუნა, ირინე, გივი, პაპუნა, მამუკა, ბერიკა, თამაზ მინდელები, მულიშვილები ლამარა ჭიპაშვილი, ნელი გვენცაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამარ ნიკოლოზის ასული ახვლედიანი-მინდელი
პანაშვიდი 7 VII, 6 საათზე. გამოსვენება 8 VII, 4 სთ. ირ. აბაშიძის ქ. №10

მიხეილ გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება კლინიკის თანამშრომლის ელისაბედ ჩუბინიშვილის ძმის
გიორგი (გოგა) ჩუბინიშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ოთარ, შვილი ლელა ვაჩიბერიძეები, და ნინო ზაქარიაძე, სიძე გიორგი შერაძე, შვილიშვილები ნინო, თათია, ნიკა შერაძეები, დისწულები მერი, დოდო, ვახტანგ გოთუები ოჯახებით, რძალი მზია ქუთათელაძე, მული ეთერ, მაზლი დემნა ვაჩიბერიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ლიდა ერემის ასული ზაქარიაძე-ვაჩიბერიძე.
პანაშვიდი 7 VII, გამოსვენება 8 VII, 5 სთ. ოზურგეთი, გოგებაშვილის ქ. №82

საქართველოს გენერალური პროკურატურა თანაუგრძნობს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ბატონ ვახტანგ გვარამიას დედის
ლიდა გვარამიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ტატიანა შარია-აბლოთია

ტატიანა იროდიონის ასული შარია-აბლოთია დაიბადა 1922 წლის 30 ივლისს გალის რაიონის სოფელ თაგილონში. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1938 წელს. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო თაგილონის არასრულ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სრულიად ახალგაზრდა ტატიანა აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატად, შემდეგ კი რაიონული საბჭოს დეპუტატადაც. სამამულო ომის პერიოდში სისტემატურად იყო ზურგიდან ჩაბმული ქართველი მეომრებისადმი მატერიალური დახმარების ორგანიზაციაში. 1944 წელს თავისი ბედი მირიან აბლოთიას დაუკავშირა და სამუშაოდ გადავიდა გალის მეორე საშუალო სკოლაში, ხოლო 1948 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში და მუშაობა დაიწყო მეექვსე საშუალო სკოლაში, სადაც იმუშავა 1988 წლამდე.

ტატიანა შარია ნახევარი საუკუნე ემსახურა თავის საყვარელ — ბავშვთა სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. დაჯილდოებული იყო მედლებით. მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დატოვა მშვენიერი ოჯახი, სამი შვილი — ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი, სამივე უმაღლესი განათლებით, აგრეთვე ხუთი შვილიშვილი.

ქალბატონი ტატიანა მოწოდებით მასწავლებელი იყო: მას გულთბილი დამოკიდებულება, ყოველდღიური კეთილი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვებთან, რომლებიც დიდებულად გრძნობდნენ მასწავლებლის მშობლიურ მზრუნველობას, რაც სამუდამოდ დაამახსოვრდათ მის მრავალრიცხოვან აღზრდილებს. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან თავადაც გაზრდილი იყო გმირი დედის გრაშა (ცაბუა) სოფრომის ასულ სორდია-შარიას ოჯახში, რომელმაც აღზარდა რვა საკუთარი და ორიც ახლო ნათესავის — პეტრე შარიას შვილი. ის, ფაქტობრივად, 10 შვილის გამზრდელი სახელოვანი დედა იყო. სწორედ მისგან მომდინარეობდა ქალბატონი ტატიანას გულთბილი და ფრიად სათუთი დამოკიდებულება ყველასადმი, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონია.

ტატიანამ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს, ერისა და ოჯახის წინაშე.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

მირიან, ზურამ, დოდო, მანანა აბლოთიები.

კაცია ცინცაძე

საქართველოს ენერგეტიკულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი ენერგეტიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს საპატიო ენერგეტიკოსი, მთავრობის მრავალი ჯილდოს მფლობელი **კაცია ცინცაძე.**

დაიბადა 1930 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ წარჩინებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ-ენერგეტიკოსის დიპლომი.

1955 წელს განაწილებით დაიწყო მუშაობა საქენერგოს სისტემაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა დისპეტჩერად, ხრამჰეს-2-ის დირექციაში უფროს ინჟინრად, ხრამჰეს-2-ის უფროსად, ხრამჰესის კასკადის მთავარ ინჟინრად, ენგურჰესის მშენებლობის დირექციის მთავარ ინჟინრად, საქენერგოს ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობის დირექციის მთავარ ინჟინრად, მაღალი ძაბვის საქსელო საწარმოს დირექტორად, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსად. სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობდა სახელმწიფო კომპანია „ელექტროგადაცემის“ კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში.

წავიდა ჩვენგან სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი, დიდებული ოჯახის მამა, ხოლო ჩვენ მეგობრებმა დავკარგეთ ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზად იყო, მოეცა გონივრული რჩევა და გამოეწოდა დახმარების ხელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო,
სახელმწიფო კომპანია „ელექტროგადაცემა“,
სახელმწიფო კომპანია „საქენერგო“,
სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაცია“.**

არჩილ ჯავახიშვილი

ქართველ სამართალდამცავეთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი იურისტი **არჩილ გიორგის ძე ჯავახიშვილი.** იგი დაიბადა 1926 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს პროკურატურის ორგანოებში: იყო გორისა და სიღნაღის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, ხოლო შემდეგ — პროკურორის თანაშემწე.

1960 წელს ა. ჯავახიშვილს აწინაურებენ რესპუბლიკის პროკურატურის უფროს საქმეთა გამომძიებლად, სადაც მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გაიხსნა და გამოძიებულ იქნა არაერთი უმსხვილესი დანაშაული. მისი, როგორც იურისტის, ნიჭი და უნარი სრულყოფილად გამოვლინდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის დროს. 1965-1974 წლებში იგი იყო კასპის რაიონის პროკურორი, ხოლო თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს იურიდიულ სამსახურს. ბატონი არჩილი იყო თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, საქმისადმი ერთგული და თავდადებული მუშაკი, გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანი, რის გამოც ყველასგან დაიმსახურა დიდი სითბო და სიყვარული.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი სპეციალისტი და მოქალაქე, ბრწყინვალე მეოჯახე და კარგი შვილების აღმზრდელი კაცი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

მეგობრებისა და კოლეგების ჯგუფი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

სიახლე თბილისში
კონცერნ VOLKSWAGEN-ის ოფიციალური დილერი კომპანია „ნოვამენეჯმენტჯორჯია“
ავტომობილები ყველასათვის და ყველაფერი ავტომობილებისათვის
გერმანული ხარისხი საქართველოში
ავტოსალონი
ახალი ავტომანქანები გარანტიით!

მისამართი: თბილისი, ორთაჭალა, გულიას №1
ტელ/ფაქსი: 75-51-82
თქვენი პრობლემები — ჩვენი საზრუნავია!
საუკეთესო ავტომობილები და მომსახურების სრული კომპლექსი
1 ივლისიდან ქ. თბილისში, ორთაჭალაში, გულიას ქ. №1-ში იხსნება „ფოლქსვაგენ“-ის ავტოცენტრი სადემონსტრაციო დარბაზითა და ავტოსალონით.
ავტოცენტრში გთავაზობენ თქვენთვის ხელსაყრელ ფასებში:
❖ „ფოლქსვაგენ“-ის ნებისმიერი მარკის, მათ შორის, მეჯავშნულ და სპეცდანიშნულების ავტომანქანებს
❖ მომსახურების მაღალ დონეს
❖ ნებისმიერ სათადარიგო ნაწილებს მ. შ. შეკვეთით.
❖ თქვენთვის სასურველი მანქანის შეკვეთას (ჩამოყვანის ვადა 1 თვე)
❖ ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს
❖ საგარანტიო მომსახურებას
❖ ავტომობილის გარეცხვას და სალონის ქიმწმენდას
❖ „ფოლქსვაგენ“-ის კლუბის წევრებზე მომსახურებას 15 პროცენტი შეღავათებით.
ყურადღება!
ა/მ „ფოლქსვაგენ“-ის ყველა მოდელი მაღალი კლასის ავტომობილები

გაყიდვა, სერვისი, გარანტია

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“
სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.
დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები
ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.
ინდექსი 66434
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.